# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 78 კვირა, 29 მარტი 1909 წ. № 78

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ღირება.

ხელის ძოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეთ ღირს 1 მან., ხოლო ხზვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



**THE ROYAL VIO**

TRADE MARK

ძმ. ნიკიტინების ცირკში, გოლოვინის პრ., ყოველ დღე წარმოდგენები საღამოს $8^{1}/_{2}$ ს.

**სეზონის გახსნა**

ორშაბათს 30-ს, სამშაბათს 31, მარტს, ოთხშაბათს 1-ს, ხუთშაბათს 2-ს, პარასკევს 3-ს, შაბათს 4-ს და კვირას 5 აპრილს

**დიდი სადღესასწაულო წარმოდგენები**

დღისით დაიწყობა ნაშუადღევის $2^{1}/_{2}$ ს. | საღამოთი დაიწყობა $8^{1}/_{2}$ საათზე.

**ივერია**

სამ განყოფილებად

წარმოდგენა გასტანს სამ საათს. კვირაობით და უქმეობით ნაშუადღ. $2^{1}/_{2}$ ს.

**საოჯახო წარმოდგენები**

რომელზედაც ყველა მოზრდილს უფლება აქვს შეიყვანოს უფასოდ ერთი ბავშვი 10 წლისაზე არა დიდი.

**საკუთარი ორკესტრი**

THE ROYAL VIO დიდის წარმატებით წარმოდგენებს სდგავს პეტერბურგში მარსის მოედანზე.

THE ROYAL VIO ერთ-ერთი დაწესებულებაა ევროპაში.

კასსა ღია იქნება კვირიდან 29 მარტიდან დილის 11 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

**ადგილების ფასები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოჟა 4 კაცისთვის | 5 მ. 40 კ. | 5 რიგი | — „ 75 კ. |
| 1-ლი რიგი | 1 „ 50 „ | 6 „ | — „ 50 „ |
| 2 „ | 1 „ 20 „ | 7 „ | — „ 50 „ |
| 3 „ | 1 „ — „ | | |
| 4 „ | — „ 85 „ | | |

ადგილები მანეჟში 1, 2, 3, 4 და 6 რიგი 1 მან. 7, 8, 9, 10, 11 და 12 რიგი 50 კ. გალერეია—30 კ.

„დროების“ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

„დროების“ კანტორა აცხადებს, რომ იმ ხელის-მომწერლებს, ვისაც სამ მანეთზე მეტი არა აქვთ შემოტანილი, პირველ აპრილიდან გაზეთის გზავნა მოესპობათ.

წარმოდგენა № 7. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 7

ოთხშაბათს, 1 აპრილს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა კ. შექსპირისა.

ბენეფისი კ. ს. მესხისა

**„ჭირვეული ცოლის მორჯულება“**

კომ. 5 მოქმედებად თარგ. კ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. ✦ დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად «ქორწილის ...», „მეჯლიში იტალიანებით“, „მოტყუებული ქმარი“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „ტიკინი“.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭომ გადასწყვიტა გამოსცეს ახლო მომავალში

**სალიტერატურო კრებული.**

განზრახულ კრებულში დაიბეჭდება როგორც ბელეტრისტული თხზულებანი, ისე კრიტიკული წერილები და სტატიები ხელოვნების შესახებ. აუწყებს რა ამ გადაწყვეტილებას ქართველ მწერლებს, საბჭო სთხოვს მათ, წარმოადგინონ თავიანთი ნაწარმოებნი.

30 მარტს, აღდგომის მეორე დღეს, ტფ. საარტისტო საზოგადოების დარბაზში

ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ გაიმართება

**ბალი**

შემდეგის პროგრამით:

1. თალი „ქრისტე აღსდგა“.
2. სააღდგომო სუფრა „კაფე“.
3. „კავკასიის დუქანი“.
4. ცეკვა.
5. სცენა ოპერიდან „მხიარული ქვრივი“.
6. ბედის ქვევრი.
7. ამერიკული აუქციონი.

მოცეკვავე სამხედრო პირთათვის მუნდირი, არა სამხედროთათვის—ფრაკი.

ბალი დაიწყება საღამოს 10 საათზე.

შესასვლელი ბილეთის ფასი 2 მ. 20 კ. (2—უ.—2)

**მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ**

იყიდება საგანგებოდ, ძალზე ფრთხილად გამზადებული საუკეთესო აბრეშუმის თესლი, პაპილიანა კაკიძის ფირმისა. სამიწლის ზედიზედ გამოცდილებამ ნათლად გვაჩვენა: ქქსძა ძისნალმა თესლმა მოგვცა საუკეთესო პარკი სამ ფუთ ნახევრიდან ოთხ ფუთ ნახევრამდის. ფასი ამ თესლისა შედარებით ხსკა ფირმის თესლზე იაფია.

ამ თესლის საწყობი არის ბათუმში ფირმის წარმომადგენლებთან: ახილეს დიმიტრიადთან და მქვ. ბერძენიშვილთან.

ეს თესლი იყიდება ქუთაისში ნ. ჯანელიძესთან, სამტრედიაში—თოდუა რამესთან და კაცაძესთან, ოზურგეთში—დ. ცეცხლაძესთან, ჩახატაურში—კ. სიხარულიძესთან და გ. ციცაძესთან, ხაგუ [illegible]—ა. ნიკოლაძესთან, კვლეჯანიძე—იაკობ. შახავასთან. (23—121—11)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ი. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. კბილების გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ბალლის ქუჩა, სახლი N 14, [illegible]. (ს—586—111)

**ექიმი** ა. თ. **ტყეშელაშვილი** ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, ხუსუსატი, საშარდე ბილის, შუბის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—92)

**ექიმი** მ. ს. **მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გიორგის, N 9. (უ)

**ექიმი** ი. **ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგქალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** მ. **ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. [illegible] სახლში. იღებს საღამოთი 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ა. ნ. **დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყოლოდანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **მ. წერეთელი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, ხაბსიო აიდუმელიძვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. [illegible]. (6—88)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. ბაქრაძევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—ს. ვერა ყორღანოვის ქუჩა, ხაკუპ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6. 28)

**ექიმი** მ. ნ. **მელიქიშვილი**

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—43)

ახლად გახსნილი

ტფილისის

**კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ.; № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**მ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—24)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგუსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ჩერნიავსკაია**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—23)

**სახალხო სახლი**

ორშაბათს, 30 მარტს. საოპერო არტისტების ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

**„ფაუსტი“**

ოპერა, 4 მოქ. და 5 სურ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბეაერი, ზასლავსკაია, კოშელევა; ბ-ნნი აგასოვი, პლეშოვი, დანოვსკი და ნესტეროვი.

ხორო და ორკესტრი თეატრისა,

**დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზე.**

ბილეთების ფასი 5 კ. 60 კაპ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში: დილის 12—2-მდის. საღამოს 6—8-დის.

დაწვრილებით აფიშებში.

(2—175—2) გამგე **თ. დოლიძე.**

ტფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოების

**გამგეობა**

აცნობებს საზოგადოების წევრთ, რომ წლიური საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, 5 აპრილს დილის 11 საათისთვის სამეურნეო ბანკის ბინაზე.

განსახილველი:

1. საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1908 წ.
2. 1909 წლისთვის ხარჯთ-აღრიცხვა.
3. საზოგადოების წევრთა არჩევანი. (3—ნ.—3)

ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხ.

**„კოლხიდაში“**

იყიდება პარიზიდან გამოწერილი **იონჯა** (провансальская люцерна) **შემოწმებული აბრეშუმის გრენი** საიმედო ფირმებისა **„პასხალიდი“** და სხვა ხეხილის ნერგები და სხვა. საჭირო ცნობები და პრეის-კურანტების მიღება შეიძლება გამგე **გ. მ. ჩიკვაძისაგან.** (20—6—15)

საჭიროა გაზეთის გასასყიდად ქ. ოზურგეთში **აგენტი**

გირაო უნდა იქნეს წინდაწინვე წარმოდგენილი 30 მან. დაწვრილებით პირობა: ტფილისი, ამხ. „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძე. (5—4)

ამხ. „სორაპანის“ გამოცემა

**მოლიერის თხზულებანი**

დღესასწაულების გამო 1 აპრილისთვის ვერ დამზადდა, მიღებულია ზომები, რომ 12 აპრილამდის დაურიგდეს წიგნებ ხელის მომწერთ. (1—ნ.—1)


**ამ ნომერში რვა გვერდია**

# ტფილისი, 29 მარტი

მკითხველთ არ დავიწყებიათ, რასაკვირველია, დეპ. გეგეჭკორის გამოსვლა სათათბიროს მ მარტის სხდომაზე პოლონეთის საქმეების გამო. ს.-დ. ფრაქციამ მაშინ, მემარჯვენეებთან ერთად, უარჰყო დიმშას ფორმულა, რომლითაც კოლო მოითხოვდა, პოლონეთში პოლონელთ ნება მისცემოდათ სასამართლო დაწესებულებებში სამსახურისა. ჩვენ მაშინ აღვნიშნეთ, რა აღშფოთება გამოიწვია პოლონურ პრესაში მემარცხენეთა ამგვარმა საქციელმა, აღვნიშნეთ ფრაქციის შეცდომა და ის ფრიად უხერხული მდგომარეობა, რომელშიაც მან თავისი თავი ჩააყენა მოუფიქრებელის ვოტუმით, პურიშკევიჩების პარტიასთან თანხმობით, შჩეგლოვიტოვსთვის მხარის დაჭერით.

სამწუხაროდ, იმ ხანებში არ გამოდიოდა მეორე ქართული გაზეთი, ს.-დ. ფრაქციის თანამოაზრე და მისი ერთგული დამცველი, თორემ, უეჭველია, მიდგომას, შოვინისტობას, ნაციონალისტობას და, ვინ იცის კიდევ რას, გვიკიჟინებდა. ასეთია მათი ადათი: თავიანთი თავი უცოდველ პაპებად მიაჩნიათ და კრიტიკას ვერ იტანენ.

გარემოებამ მოიტანა და ეს საკითხი კვლავ აღიძრა. ფრიად საყურადღებოა, რომ ამ ხანად თავიანთი აზრი თვით ს.-დემოკრატების უცხოელმა ამხანაგებმა გამოსთქვეს. სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის საქციელს ამ შემთხვევაში სხვა სახელმწიფოს ს.-დემოკრატებიც კი აუღელვებია და ველარ მოუთმენიათ: ფრაქციისათვის მეტად მკაცრი საყვედური გამოუგზავნიათ. ავსტრიის პოლონელი ს.-დ. სწერენ ფრაქციას: თუმცა გეგეჭკორიმ საჭიროდ დაინახა თავის ფრაქციის გამოცხადება პოლონელ პროლეტარიატის წარმომადგენლად, მაგრამ ჩვენ, პოლონელი ს.-დ., ნამდვილი წარმომადგენელნი პოლონელ პროლეტარიატისა, იძულებულნი ვართ გამოვთქვათ ჩვენი ღრმა რწმენა, რომ პოლონელთ პოლონეთში არა თუ სასამართლოში სამსახურის ნება უნდა ჰქონდეთ, არამედ სრულის თვითგამორკვევის უფლებაც და რომ ამაზე უარის თქმა ძალმომრეობაც არის და ბოროტ-მოქმედებაც. აღმოჩნდა, რომ სათათბიროს ს.-დ. ფრაქცია ამ საკითხში მთავრობასთანა და შავაზმელებთან ერთად მოქმედებდა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ არც ერთი პოლონელი ს.-დემოკრატი ამ საკითხში გეგეჭკორის თანამოაზრე არ გახდებოდა...

როგორც, ჰხედავთ, დაშინსკის ფრაქცია ძრიელ აღელვებული ჰგმობს გეგეჭკორის უხერხულ გამოსვლას, ბოროტ-მოქმედების სახელით ნათლავს სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის პოზიციას ხსენებულ საკითხში და თითქმის „სამოზვანცობას“ უკიჟინებს: პოლონელთა პროლეტარიატის **ნამდვილი** წარმომადგენელნი ჩვენა ვართ და არა ისინი, ვინც პოლონელ ერის მტრებთან ერთად მოქმედებს ჩვენს წინააღმდეგო. როგორც წერილის კილოდან სჩანს, პოლონელ ს.-დემოკრატებს ფრიად აკვირვებთ გეგეჭკორის ვიწრო შეხედულება ეროვნულ საკითხზე და საქმეებზე, მაგრამ ჩვენ ყველა ამებს შეჩვეულნი ვართ ჩვენის ს.-დემოკრატებისაგან. ათასჯერ გვითქვამს იგივე ფრაზა, რომელიც პოლონელ ს.-დემოკრატებს მოჰყავთ თავიანთ წერილში: „არც ერთი პოლონელი ს.-დ. ამ საკითხში გეგეჭკორის თანამოაზრე არ გახდება“. პოლონელი ს.-დ. ვერასოდეს ვერ გაიგებს, ვერ ახსნის და ვერ გაამართლებს ჩვენის ს.-დ. პოზიციას ეროვნულ საკითხში. რასაკვირველია, პოლონელთ არ აინტერესებთ და არ აღარდებთ ჩვენის ს.-დ. პოზიცია და შეხედულება ჩვენს საკუთარს ეროვნულს საქმეში, მაგრამ ისინი არ ძოითმენენ, რომ გეგეჭკორებმა თავიანთის პრინციპებისა და თავიანთ ტაქტიკის თვალთსაზრისით აფათურონ ხელები პოლონურს ნაციონალურს საქმეში. აქ არც მოითმინეს და სასტიკად დაჰგმეს...

ისარგებლებენ თუ არა გეგეჭკორი და მისი ქართველი ამხანაგები ამ გაკვეთილით, არ ვიცით, უფრო კი ვფიქრობთ, რომ არა და რომ ისინი კვლავ განაგრძობენ პოლონელ პროლეტარიატის სახელით ლაპარაკს. გაკვეთილი-კი დიდად საგულისხმიეროა და თან იმის მომასწავებელი, რაც ჩვენ არა ერთხელ გვიწინასწარმეტყველნია ჩვენის ესდეკებისთვის: მოვა დრო, როცა თვით რუსი ს.-დემოკრატები აუკრძალავენ მათ რუსის პროლეტარიატის სახელით ლაპარაკს და ჩვენის ს.-დ. ლიდერობას ითაკილებენ. ეს მოხდება მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ს.-დ. თავიანთი ეროვნული პიროვნება უარჰყვეს და მონურად ფეხქვეშ ეგებიან რ. ს.-დ. პარტიას. მხოლოდ მაშინ მიჰხვდებიან ჩვენი ს.-დ., რატომ არსებობს რუსეთში პოლონელთა, ლიტველთა, მალოროსთა, ებრაელთა და სხვათა ეროვნული ს.-დემოკრატია და რატომ ესენიც, ქართველებივით, არ გაითქვიფნენ სრულიად რუსეთის ს.-დ. პარტიაში...

## სააღდგომო ფიქრები

აღდგომა უდიდესი საქრისტიანო დღესასწაულია. იყო დრო, როდესაც ქრისტეს სჯულის მიმდევარნი იდუმალის სულიერის თრთოლვით ელოდნენ ამ დღეს და უზენაეს სიხარულით აღსავსე გულით ახარებდნენ ერთმანეთს ქრისტეს აღდგომას. ჩვენს დროში ამ დღესასწაულს ეს სულიერი ხასიათი აღარა აქვს. ეხლა იგი მხოლოდ განმეორებაა იმ ფორმებისა, რომლებიც უწინ რელიგიურ აღმაფრენის გარეგნობას შეადგენდნენ.

ბრწყინვალე დღესასწაული დღესაც არა ჩვეულებრივს ელფერს აძლევს ჩვენს ცხოვრებას; აღდგომის დღეს ეხლაც განსაკუთრებითი ხასიათი აქვს; ვინ იცის, იქნება ეხლა უფრო მდიდარიც იყოს იგი გარეგანის ბრწყინვალებით, ვიდრე წინად, მაგრამ, როგორც სარწმუნოებრივი დღესასწაული, იგი მაინც აღარ არსებობს. უფრო მეტს ვიტყვით, სარწმუნოებრივი სიმბოლონი სააღდგომო დღესასწაულისა, ტრადიციის ძალით, აუარებელს ხალხს ამოძრავებენ საერთო მიმართულების ხაზზე და ეს გარეგანი ნიშნები რელიგიურ რწმენის ძლიერებისა ურწმუნო ადამიანთაც კი ჰხიბლავს ხშირად, იმათაც კი თითქოს მორწმუნეთა სადღესასწაულო მხიარულების სულიერ მონაწილედ ჰხდიან, მაგრამ ეხლანდელი სააღდგომო სულის განწყობილება მაინც ისეა დაშორებული უწინდელ სარწმუნოებრივ სულის თქმას, როგორც მიწა ცას.

წარსულ საუკუნეთა განმავლობაში სარწმუნოებას საერთოდ და ქრისტიანობას კერძოდ მრავალი პირდაპირი და ფარული მტერი ჰყავნდა. მრავალკეც და მრავალმხრივ ებრძოდნენ ზოგნი სარწმუნოების შინაარს და ზოგნიც იმის გარეგანს გამოხატულებას. ბრძოლა ფარული და ბრძოლა პირდაპირი ერთი თაობიდან მეორეზე გადადიოდა და გადაჭრით შეიძლება ვსთქვათ, რომ

ჩვენს დროში იგი უკვე დასრულებულია. სარწმუნოებათა და რელიგიის კრიტიკამ თანამედროვე კაცობრიობა უკვე იმ უფსკრულის პირას მიიყვანა, რომელიც თავის არარაობით საზარელს საშინელებას ასადგურებს ადამიანის გულში და მედგარის ბრძანებით მოითხოვს დაკარგულ რელიგიის მოძებნას. ჩვენს დროს სწორედ რელიგიის ძებნა ახასიათებს. გაამაყებულ გონების მიერ უარყოფილი რელიგია და მეტაფიზიკა ეხლა სწრაფად იბრუნებენ უკან ერთხელ ჩამორთმეულს მიმზიდველობას და იმედია ემზადებიან ახალ ბატონობისთვის. რელიგიის ძებნა ახასიათებს ახალ აზროვნების მიმართულებას განათლებულ ქვეყნების მაღალ წრეებში და რელიგიის მაგიერობას სწევსიმავე ქვეყნების მშრომელ ხალხში სასოებით სავსე და მოქმედებით მდიდარი რწმენა აწინდელ სოციალურ ცხოვრების ძირითად შეცვლის შესახებ.

სარწმუნოებისა და რელიგიისაგან განუშორებელია სასწაულებრივი მომენტი. სასწაული კი ისეთი აქტია, რომელიც ადამიანურ გონების საზღვრებში ვერ ეტევა. ცხადია აქედან, რომ გონების მეცადინეობა რელიგიის შესაქმნელად ან შესათვისებლად ყოველთვის უნაყოფო იქნება. სადაც გონებაა, იქ სასწაული არ შეიძლება იყოს, ხოლო სადაც სასწაული არ არის, იქ არც სარწმუნოებაა. რელიგიის საჭიროება ერთის მხრივ და გონების უძლურება დააკმაყოფილოს ეს საჭიროება მეორეს მხრივ—აი ჩვენი დროის და აზროვნების ტრაგიზმი. „ნეტარ არიან მორწმუნენიო“, ამბობს სამღვთო წერილი და ჩვენს დროს გაცილებით უკეთ ესმის ამ სიტყვებში ჩაქსოვილი სიბრძნე, ვიდრე იმ დროს, როცა სარწმუნოების საჭიროება მთლად დაკმაყოფილებული იყო.

ახალი რელიგია ხალხთა ცხოვრებაში ყოველთვის ახალს ისტორიულს ხანას ანუ ერას იწყებდა. ეს უბრალო შემთხვევა არ არის. ახალს რელიგიას ვერც ღრმად განსწავლული მეცნიერი გამოიგონებს თავის კარჩაკეტილ კაბინეთში, ვერც მდიდარ ფანტაზიის პატრონი თავის ოცნებებში ხეტიალით. ახალი რელიგია მხოლოდ ახალ ცხოვრების კალოზე შეიძლება გაჩნდეს. ახალი რელიგიის საფუძვლად მხოლოდ ცხოვრების **განახლების საიდუმლოება** შეიძლება გახდეს; განახლება, როგორც სასწაული, ახალ ისტორიულ ხანას დასაბამად შეიძლება გაუხდეს...

ჩვენი დროის სარელიგიო პრობლემა ვერც ძველ სარწმუნოებათა აღდგენით გადასწყდება, ვერც ხელოვნურად გამოგონილ რაიმე მოძღვრებით, იგი უნდა გადასწყდეს თვით ცხოვრების ფორმათა განახლებით.

ქრისტიანობა, როგორც ისტორიულ ეპოქის დასაბამი, ქვეყანას კაცთა შორის სიყვარულის ქადაგებით მოევლინა. ქრისტიანობის შინაგანი ძალა სწორედ ეს ზნეობრივი სიყვარული და სათნოებაა. ახალი სარწმუნოება მხოლოდ მაშინ შეიქნება აუცილებელ ისტორიულ საჭიროებად, როცა სიყვარულისა და სათნოებისაკენ სწრაფვა თავის დროს მოსჭამს იმით, რომ ეს პრინციპები ადამიანთა ურთიერთობაში უკვე ნამდვილად განხორციელდებიან. ქრისტიანობის ისტორიულ ეპოქას ჯერ კიდევ არ აუსრულებია თავისი დანიშნულება, ჯერ ადამიანთა ცხოვრება კიდევ მეტად შორს არის ქრისტიანულ იდეალების განხორციელებისაგან. ჯერ კიდევ არ შეცვლილა კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრება იმ ზომამდე, რომ მას ქრისტიანობის სარწმუნოებისთვის გაესწროს წინ და ახალ რელიგიურ მოძღვრებისთვის გაემზადებინოს ნიადაგი. მაგრამ ჩვენი დროის მშრომელ ხალხისთვის ქრისტიანული იდეალები უკვე საყოველდღეო ბრძოლის იდეალებად არიან ქცეულნი. ძველმა სარწმუნოებამ უკვე დაჰკარგა თავისი რელიგიური მიმზიდველობა, ახალ სარწმუნოებისთვის კი ჯერ შესაფერი ახალი ცხოვრება არ დაწყებულა. ეს არის მიზეზი, რომ თანამედროვე რელიგიური ძებნა უნაყოფოსა ჰგავს. იგი ნაყოფიერი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება განხორციელდება. იმ დრომდე კი ჩვენ იძულებულნი ვართ ჩვენის სარწმუნოებრივ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამაოდ ავედევნოთ იმ წესებს და რიტუალებს, რომელნიც ოდესმე ადამიანთა გულში ღასადგურებულ წრფელ სარწმუნოებრივ გრძნობების გარეგანს გამოთქმას წარმოადგენდნენ.

„ნეტარ არიან მორწმუნენიო“, ამბობს სამღვთო წერილი. ნეტარ არიან ისინი, შეგვიძლიან დავძინოთ ჩვენ, ვინც დღევანდელს დიდს დღესასწაულს სარწმუნოებრივის სიხარულით ეგებება და რელიგიურ კმაყოფილებას განიცდის; ნეტარ იქნებიან ისინი, ვინც განახლებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას ჰნახავს და იმ ახალს ნიადაგზე ამოსცენებულს ახალს რელიგიურ მოძღვრებას გაიზიარებს.

# პოლონელ სოციალ-დემოკრატების წერილი

ავსტრიის პარლამენტში პოლონელ სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს ცალკე კლუბი აქვთ. ამ კლუბს წერილი გაუგზავნია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისათვის. მოგვყავს ეს წერილი სავსებით:

„თუმცა დეპუტატმა გეგეჭკორმა საჭიროდ სცნო სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია პოლონეთის პროლეტარიატის წარმომადგენლად გამოეცხადებინა, მაგრამ ჩვენ, პოლონელი სოციალ-დემოკრატები, ნამდვილი წარმომადგენელნი პოლონეთის სოციალისტურ პროლეტარიატისა, იძულებულნი ვართ გამოვთქვათ ჩვენი ღრმა რწმენა, რომ პოლონეთში პოლონელებს უფლება აქვთ არა მარტო სასამართლოში ადგილის მიღებისა, არამედ სრულის თვით-გამორკვევისა და ამ უფლების უარისყოფა ძალ-მომრეობა და ბოროტმოქმედებაა.

„ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ პოლონეთის პროლეტარიატის არც ერთი ნამდვილი წარმომადგენელი ამ საკითხში გეგეჭკორის აზრისა არ იქნება.

„დეპუტატ დმშას განცხადება სათათბიროში ეხებოდა მარტო პოლონეთს, ებრაელები-კი მოკლებულნი არიან ელემენტარულ მოქალაქობრივ უფლებებს მთელ რუსეთის იმპერიაში. ამხ. გეგეჭკორიმ და სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ სათათბიროში უარჰყვეს პოლონელთა მოთხოვნილება და ამავე დროს არ აღნიშნეს ისე, თუ რა თვალით უყურებენ ისინი ებრაელების სწორ-უფლებიანობას.

„რაც შეეხება პოლონელთა კოლოს პოზიციას, ეს პოზიცია არავის არ აძლევს უფლებას დაადასტუროს პოლონელების წინააღმდეგ ძალ-მომრეობა.

„ამიტომ ჩვენ, პოლონელი სოციალისტი დეპუტატები, ვეკითხებით სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, როგორ გაამართლებს იგი თავის საქციელს ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიის თვალთსაზრისით.

ამ წერილზე ხელი უწერია ავსტრიის პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის შემდეგ წევრებს: იგნატი დაშინსკის, დ-რ დიამანდს, გუდეცს, დ-რ კუმიცკის, დ-რ ლიბერმანს და ანდრია მორაჩევსკის.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 მარტი

## სპარსეთი

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თავრიზიდან დეპეშით ატყობინებენ: 24 მარტს ეინუდ-დოვლემ დიდი ზარბაზნებიდან სროლა აუტეხა თავრიზს. სროლა უწეს-რიგოდ სწარმოებდა და გასტანა სამ საათს. ამ სროლამ საგრძნობელი ვნება ვერ მიაყენა ქალაქს.

ურმიაში რევოლიუციონერებმა ხელთ ჩაიგდეს არსენალი და შვიდი ზარბაზანი.

იმავე სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: 24 მარტს ისპაჰანიდან მიღებულ დეპეშის თანახმად, სამსამუს-სალტანეს უთქვამს, ვფიქრობ, როდესაც ჩემი ძმა სერდარ-რასსადა მოვა, თეირანზე გავილაშქრო. როგორც ამბობენ, სერდარ-რასსადა ცხენოსან ჯარს მოიყვანს და სამხედრო მასალას მოიტანს.

## ბალკანეთი.

**ვენა.** ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩმა ჩერნოგორიის მთავრობას გადასცა საპასუხო ნოტა. ჩერნოგორიის მთავრობამ თავის ნოტაში კმაყოფილება გამოსთქვა ბერლინის ტრაქტატის მე-29 მუხლის შეცვლის განზრახვის გამო და განაცხადა, მზადა ვარ დავემორჩილო სახელმწიფოთა გარდაწყვეტილებას ტრაქტატის მე-25 მუხლის გამოო. ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობა თავის ნოტაში ამის გამო ამბობს: მოხარული ვარ, რომ ავსტრო-ჰუნგრეთსა და ჩერნოგორიის შორის კეთილი მეზობლობა განახლდაო. რაც შეეხება ბერლინის ტრაქტატის მე-29 მუხლს, ავსტრო-ჰუნგრეთმა ჯერ კიდევ შემოდგომაზე განაცხადა თანხმობა ამ მუხლის შეცვლაზეო.

**სტამბოლი.** ბოლგარიის რწმუნებულის ლიაპჩევის სიტყვით, ოსმალეთი და ბოლგარია ყველა მუხლში შეთანხმდნენ. ვერ შეთანხმებულან მხოლოდ ვაკუფების საკითხის გამო. ამ საკითხის გადაწყვეტა ოსმალეთმა მოითხოვა. საკითხი რკინის გზების შესახებ გადაწყვეტილი იქნება მხოლოდ პეტერბურგის პროტოკოლის მიღების შემდეგ. აღმოსავლეთ რუმელიის რკინის გზაში ბოლგარია გადაიხდის ორმოც მილიონს, ხოლო ბელოვა-ვაკარელის რკინის გზაში—ორ მილიონს. ამას გარდა ბოლგარიამ უნდა გადაიხადოს რკინის გზების ქონების ფასი. ბოლგარია უარს აცხადებს ვარნარუშჩუკის რკინის გზის ვალის (28 მილიონის) გადახდაზე, ოსმალეთი—რაიმე ვალის გადახდაზე.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** დღეს ახალგაზრდა ოსმალთა მოწინააღმდეგე გაზეთები სამგლოვიარო არშიებში გამოვიდნენ. მოკლულ ჟურნალისტის დასაფლავებამ მიიზიდა დიდ ძალი ახალგაზრდობა, სამღვდელოება და სტუდენტობა. შემთხვევით პროცესიას შეეხჩა დიდი ვეზირი. მისი კარეტა ხალხში შეიჭრა. დიდ ვეზირს ყვირილით დაჰხვდნენ და ემუქრებოდნენ ცხენების გამოშვებას. ის იყო უწესოება დაიწყო, მაგრამ შემთხვევით მიმავალმა დეპუტატებმა დააშოშმინეს ხალხი. როდესაც ცხენოსანი ჯარი მივიდა, აღარავინ დაჰხვდა.

„იკდამის“ რედაქტორმა ალი-ქემალმა დასტამბა ღია წერილი იუსტიციის მინისტრის მიმართ. ალი-ქემალი სთხოვს მინისტრს, დაიცვას მისი სიცოცხლე, რადგან ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტისაგან სიკვდილის განაჩენი მომელისო.

**სტამბოლი.** ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტმა გაზეთებში წერილი დაბეჭდა. კომიტეტი აცხადებს, რომ მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ჟურნალისტის ჰასან-ფეჰმის მოკვლაში. კომიტეტმა საჩივარი აღძრა გაზეთ „იკდამის“ რედაქტორის წინააღმდეგ, რომელმაც ღია წერილით მიჰმართა იუსტიციის მინისტრს და განაცხადა, ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტი მოკვლას მიპირებსო. კომიტეტი ამას ცილის წამებად სთვლის.

## საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** დილის გაზეთებში დაბეჭდილია: ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაავალა თავის პეკინელ ელჩს, გამოუცხადოს ჩინეთის მთავრობას მტკიცე პროტესტი იმის გამო, რომ ჩინეთმა კანტონ-ხანკოუს რკინის გზის გასაყვანად სესხი ინგლისის დაუკითხავად გერმანელ ფინანსისტებისაგან აიღო. ამის გამო ინგლისის დეპუტატთა პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწემ სთქვა, რომ გერმანია და ჩინეთი სესხის შესახებ ჯერ საბოლოოდ არ შეთანხმებულანო.

**მესსინა.** 22 მარტს, საღამოს ცხრა საათსა და 45 წუთზე, მესსინაში დიდი მიწის ძვრა მოხდა, მიწის-ძვრის წინ ქუხილისებური გვრგვინვა ისმოდა.

**პარიზი.** საფრანგეთის მთავრობამ ამბავი მიიღო, რომ ვენესუელის რესპუბლიკის პრეზიდენტად ნამყოფი კასტრო მარტინიკის კუნძულზე მივიდაო. მთავრობამ ბრძანება გასცა, კასტრო განდევნონ კუნძულიდან.

**შანჰაი.** მანჯურიის გენერალ-გუბერნატორმა ჩინეთის მთავრობის ბრძანება მიიღო, შეადგინოს სამი პროვინციის რუკა.

**რომი.** ბორგონიოს ქუჩაზე, ვატიკანიდან ნახევარ კილომეტრის მანძილზე, აფეთქება მოხდა. სამი კაცი დაშავდა, ამათგან ერთი მძიმედ. აფეთქება მოხდა თევზის დასაჭერ დინამიტის პატრონების დამზადების დროს.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**ახალი სამინისტრო.** პეტერბურგის გაზეთები დაჟინებით სწერენ, რომ მალე ახალი სამინისტრო შესდგება და ამ სამინისტროში სულ მემარჯვენენი შევლენო. პრემიერად ასახელებენ თურმე კრივოშეინს, შინაგანა საქმეთა მინისტრათ—შტიურმერს, ფინანსთა მინისტრად—ხარიტონოვს, იუსტიციის—მაკაროვს და გარეშე საქმეთა მინისტრად—დოლგორუკოვს.

**მშვიდობიანობა კავკასიაში.** როგორც გაზეთ „კასპ“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ, კავკასიის ნამესტნიკს და გუბერნატორების უმრავლესობას უმაღლეს მთავრობისთვის მოუხსენებიათ, რომ კავკასიაში მყუდროება და მშვიდობიანობა ჩამოვარდაო.

**საზოგადო კურსები მასწავლებელთათვის.** როგორც ვწერდით, წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ გადასწყვიტა, გამართოს ამ ზაფხულს სოფლის მასწავლებელთა კურსები. სასკოლო სექციის აზრით, კურსების მოსაწყობად საზოგადოებას წელს 600 მანეთი დასჭირდება. გამგეობამ დაადგინა, კურსებისათვის საჭირო ფული დახარჯოს პროფესორ პეტრიაშვილის ფონდიდან, რისთვისაც კურსებს დაერქვას პეტრიაშვილის სახელი. კურსები გაიმართება ქართულ გიმნაზიის სადგომში. ლექტორებად მიიწვევენ გიმნაზიის მასწავლებლებს. კურსების მოსაწყობად სამზადის გამგეობა ახლო მომავალში შეუდგება. ამავე სხდომაზე გამგეობამ დაადგინა, სოფ. კულაშში დაარსოს სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

**ბოქაული მიქიაშვილი და ერმოლოვი.** გაზეთ „რეჩში“ დაბეჭდილია კორესპონდენცია ოდესიდან. კორესპონდენტი მოგვითხრობს, ჩვენში კარგად ცნობილ მიქიაშვილისა და ერმოლოვის საქმეებს. როგორც ვიცით, მიქიაშვილი გენერალმა ტოლმაჩევმა საქართველოდან თან წაიყვანა. მისვლისათანავე ტოლმაჩევს მიქიაშვილი დაუნიშნია ბოქაულად და ოდესსის პოლიციის მოწყობა მიუნდვია. მიქიაშვილს მალე ისეთი ამბები ჩაუდენია, რომ ტოლმაჩევი იძულებული გამხდარა სხვა ადგილზე გადაეყვანა იგი. მიქიაშვილს აქაც არ მოუსვენია და ბოლოს ტოლმაჩევს რევიზია დაუნიშნავს. რევიზიას აღმოუჩენია, რომ მიქიაშვილს 22,000 მანეთი გაუფლანგავს (და არა 12,000 მანეთი, როგორც ვწერდით). მიქიაშვილი სასამართლოში ჩაუშწყვდევიათ. მას გამომძიებლისთვის განუცხადებია, მე მტყუანად არა ვცნობ თავს, რადგან ყველაფერს ტოლმაჩევის ნებართვით ვაკეთებდიო. ამის შემდეგ ტოლმაჩევს მიქიაშვილი იმ საპოლიციო უბნის კანცელარიასთან დაუტუსაღებია, სადაც მან „ისახელა თავი“. მიქიაშვილის გადაყვანისთანავე ოდესაში ხმა გავრცელებულა, რომ ტოლმაჩევმა იმიტომ გადაიყვანა მიქიაშვილი პოლიციაში, რომ უნდოდა იმის გაქცევისთვის ხელი შეეწყოო. მართლაც მიქიაშვილი მალე სადღაც გამქრალა. საინტერესოა აგრეთვე ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფის ერმოლოვის ბედი. როგორც ვიცით, ერმოლოვი საქართველოდან გაანდევნეს, როგორც მექრთამე. ერმოლოვი ტოლმაჩევის მახლობელი ნათესავი ყოფილა და ამიტომ ტოლმაჩევს განუზრახავს, მიეცა მისთვის ოდესსის პოლიცმეისტრობა. ამ დროს პოლიცმეისტრად კისლიაკოვი ყოფილა. აი სწორედ ამის გაგდება მოუნდომებია ტოლმაჩევს. კისლიაკოვს ერთი გაზეთის კორესპონდენტისთვის გადაუცია, რომ ერმოლოვი მექრთამეობისათვის სამართალში მისცესო. ტოლმაჩევს ამაზე კისლიაკოვი სამსახურიდან დაუთხოვნია, მაგრამ თავის სურვილი კი ვერ აუსრულებია, რადგან ერმოლოვზე ისეთი ამბები გავრცელებული, რომ მისი დანიშვნა შეუძლებელი გამხდარა.

**ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების კრება.** 5 აპრილისთვის დანიშნულია კრება ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა, რომელმაც უნდა განიხილოს ანგარიში გაიცნოს სამუსიკო სკოლის მდგომარეობა და მოახდინოს არჩევნები საზოგადოების ახალ წევრებისა.

**სამკითხველო ავლაბარში.** როგორც გადმოგვცეს, ავლაბრის სახალხო სამკითხველო დიდს გაჭირვებას განიცდის. ერთი წელიწადია, რაც სამკითხველო დაარსდა და დეფიციტი უკვე 30 მანეთს აღემატება. წერა-კითხვის საზოგადოება ყოველ თვიურად 15 მანეთს აძლევს სამკითხველოს, მაგრამ ეს არა ჰყოფნის, რადგან ყოველ-თვიური ხარჯი ბიბლიოთეკისა 33 მანეთია. ავლაბარი ერთი დიდი ნაწილია ქალაქისა. ქართველ მცხოვრებთა რაოდენობა იქ 10,000 სულს აღემატება და სამწუხაროა, რომ ამოდენა ხალხს ერთი სამკითხველო ვერ შეუნახნია, მაშინ, როცა ღარიბი და მიყრუებული სოფლები ახერხებენ სამკითხველოს შენახვას. ეხლა ავლაბრის მოწინავე წრეებს მოლაპარაკება აქვთ, დაარსონ წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება, როგორც სამკითხველოს შესანახად, ისე სკოლების და სხვა კულტურულ დაწესებულებათა დასაარსებლად ავლაბარში.

**მოიჯარადრე.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, მუხრანის ხიდის ქვის ნაწილის ამოშენება იჯარით აიღო იასე მეხუზლამ და ამხანაგობამ. ქალაქის თავს დეპეშა მოუვიდა ბ-ნ მეხუზლასაგან, რომელიც ატყობინებს, მოიჯარადრეობას თავს ვანებებ და დამბების ამოშენების საქმეს „გეორგია“-ს ვუთმობ იმ პირობით, რა პირობითაც მე მქონდა საქმე აღებულიო. მტკვრის ორივე მხარეს უკვე ამოაშენეს ქვის დამბები, ასე რომ წყალი კიდეც რომ მოდიოდეს, მუშაობას ხელს ვერ შეუშლის.

**ობოლ ბავშვთა თავშესაფარი.** როგორც „კავკ.“ გადმოგვცემს, ტფილისის მახლობლად „აკაურტას“ მამულში პირველ მაისიდან არსდება თურმე სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო თავ-შესაფარი ობოლ ბავშვთათვის. თავშესაფარში უნდა ასწავლონ: სასოფლო-მეურნეობა, მერძეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა და სხვა ხელოსნობა.

**მელლერ ზაკომელსკი.** როგორც ვწერდით, აუქმებენ ბალტიის მხრის საგენერალ-გუბერნატოროს. იქაურ გენერალ-გუბერნატორს მელლერ-ზაკომელსკის, რუსეთის გაზეთების სიტყვით, დანიშნავენ ან ფინლიანდიაში ან კიდევ კავკასიაში.

**საჩუქრები რკინის გზის მოსამსახურეებს.** საკითხი რკინის გზის მოსამსახურეთა საჩუქრების შესახებ დღესასწაულების დროს სამინისტროში მოსამსახურეთა სასარგებლოდ გადასწყდა. გზათა მინისტრმა რუხლოვმა საჭიროდ სცნო რკინის გზაზე საჩუქრების იმ წესის შემოღება, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს კანცელარიაში არსებობს. რკინის გზებზე საჩუქრები მიეცემათ, ვისაც 2,500 მანეთზე ნაკლები ჯამაგირი აქვს. მიეცემათ თვიურ ჯამაგირის ოდენა ორჯელ წელიწადში—აღდგომას და შობას.

**ჩეჩნების წერილი.** როგორც მკითხველმა იცის, თერგის ოლქის ჩეჩნების სოფლებში დამსჯელი ექსპედიცია გაიგზავნა. ამის შესახებ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს გაიდაროვს ჩეჩნებისგან წერილები მიუღია. ჩეჩნები ექსპედიციას უჩივიან, ძალიან სასტიკად გვეპყრობაო.

**საპოლიციო დარაჯი.** თერგის ოლქში დღემდე არსებობს მუდმივი მილიცია. სამხედრო სამინისტროს შეუდგენია კანონ-პროექტი ამ მილიციის საპოლიციო დარაჯად გადაქმნის შესახებ.

**ფილარმონიულ საზოგადოების სკოლა.** ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას აზრად აქვს სთხოვს ქალაქის საბჭოს, სამოცი თუმნით დაეხმაროს საზოგადოების სამუსიკო სკოლას. ფილარმონიულ საზოგადოების სკოლაში სწავლის ფასი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა მუსიკალურ სასწავლებლებში. ხსენებულ სკოლაში სწავლობენ ყველანი, ეროვნების განურჩევლად.

**მექრთამე ბოქაული.** როგორც „კასპი“ გადმოგვცემს, ამ დღეებში ბაქოს გრადონაჩალნიკ მარტინოვთან მისულან კაფაროვის ნათესავები და შეუჩივლიათ, მესამე უბნის ბოქაული ალექსეევი ჩვენი ნათესავის გასანთავისუფლებლად 200 მანეთსა გვთხოვსო. გრადონაჩალნიკს დაურიგებია 100 მანეთი მიეცითო, მერე გამოურთმევია ოთხი 25 მანეთიანი, ჩაუწერია მათი ნომრები, ფული უკან დაუბრუნებია და უთქვამს, ბოქაულს წაუღეთო. სამი საათის შემდეგ გრადონაჩალნიკი თვითონ მისულა მესამე საპოლიციო ნაწილის კანცელარიაში. ბოქაულს მოუხსენებია, რა მდგომარეობაში იყო ნაწილი, შემდეგ მარტინოვს უკითხავს — „წვრილი ფული ხომ არ გაქვთ ჯიბეში ან არა და მომეცით ერთი თუმანი და სალამური გამოგიგზავნითო“. ბოქაულს იმწამსვე ქისა ამოუღია. გრადონაჩალნიკს დაუკითხავად გამოურთმევია ქისა და იქიდან ოთხი 25 მანეთიანი ამოუღია. „ეს ხომ კაფაროვების ფულია?“ მიუხლია პირში გრადონაჩალნიკს. ბოქაულს უთქვამს, მართალია ფული მამცეს, მაგრამ რაპორტთან ერთად თქვენთვის უნდა გამომეგზავნა და ჯერ ვერ მოვასწარიო. გრადონაჩალნიკს იმწამვე კანცელარია ბოქაულის თანაშემწესთვის ჩაუბარებია და ბოქაული დაუთხოვნია. ბოქაული ალექსეევი 15 წელიწადი მსახურებდა პოლიციაში.

**ნიფიც ვექილთა კრება.** ამას წინად მოხდა ტფ. ნაფიც ვექილთა, კრება თანამდებობის კაცთა ასარჩევად. აირჩიეს: თავმჯდომარედ ნ. ა. ქალანთარი, იმის ამხანაგად ი. ი. ზურაბიშვილი, წევრებად მ. გრუზენბერგი, პ. დოლუხანოვი. ვ. ეგიაზაროვი და სპენდიაროვი- კანდიდატებად—ლ. ბახტაძე და გ. ბეჟანოვი.

**ალ. ხახანაშვილის ლექციები.** როგორც ვწერდით, ტფილისში ჩამოვიდა პროფ. ხახანაშვილი. პირველ რუსულ ლექციას უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად ბ-ნი ხახანაშვილი წაიკითხავს ზეგ, 31 მარტს. შემდეგ ლექციები იქნება 1, 2 და 3 აპრილს. პროგრამმა ლექციებისა:

საქართველოს მდგომარეობა და მისი ლიტერატურა მეცამეტე საუკუნიდან მეჩვიდმეტე საუკუნემდე; ისტორიული ზაფუძველი და მქმადგენლობა „რუსუდანიანი“-სა და „აღლუზიანი“-სა; ახალი ხანა მეჩვიდმეტე საუკუნის ლიტერატურის ისტორიაში და მეფე არჩილ პირველის მოღვაწეობა; მეფე არჩილი და იმისი ღვაწლი ქართველთა კულტურულ ცხოვრებაში; თეიმურაზ მეორე; სპარსეთის პოემა „მაჯ ნამე“ ქართულად თარგმნილი; არაბული ზღაპრები „1001 ღამე“ და «ქილილა და დამანა“. ისტორია მათის გავრცელებისა აღმოსავლეთსა და დასავლეთში; განათლების საქმე საქართველოში მეთვრამეტე საუკუნეში. ეპოსი და ლირიკა; დავით გურამიშვილი და მისი პოეზია.

**„ფასკუნჯი.“** გამოვიდა „ფასკუნჯის“ მე-13 ნომერი შემდეგის შინაარსით: აკაკის „უცნაური ამბავი“.—განდეგილის ლექსი ***. ა. შანშიაშვილის „პოეტის აჩრდილი“.—ვ. შალიკაშვილის „დიმიტრია მეიშვილი“.—კ. ყიფიანის „ჩემი არტისტობის თავგადასავალი.“—ა. სარაჯიშვილის „ხოჯაბარ იდათლელი“, ავარული სიმღერა. ა. ხახანაშვილის „სალირიკო პოეზია.“—სიტყვას „ღლიური.“—ახალი ამბავი.—სურათები ქართველ მწერლებისა (16 პატარა სურათი).

**„იალქანი.“** დღეს გამოვიდა მესამე ნომერი ჟურნალ „იალქნისა“ შემდეგის შინაარსით: მეთაური.—„ჯვარცმული ქრისტეც აღდგება“, ლექსი ვ. რუხაძისა.—„Materialismis militans“, გ. პ—სა.—„ისევ აღსდგება!“ ლექსი ვანელ ბაგრატასი.—„მესაფლავეს“, ლექსი იასამანისა.—წერილი პარიზიდან, არისტიდისა.—„ეჰ, რათ დაჰქრიხარ ნიავო,“ ლექსი ბაბ—ისა.—„აღდგომა დღეს“, ლექსი დ. თუდოსპირელისა.—წერილი გურიიდან, ჰ.—სა.—შინაური ამბები.—რუსეთი.—სპარსეთი.—„ჩვეულების მსხვერპლი“ (პიესა ბინინა ყოჩიევისა). ქართლელ ოსისა.—პროვინცია.—„სააღდგომო სართეველი“, მიმინოსი.

გვთხოვენ დავბეჭდოთ: „უმორჩილესად გთხოვთ, ნება მომცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და დახმარება გაუწიეს აბადეთის უფასო სამკითხველოს, როგორც ფულით ისე წიგნებით. სია შემომწირველთა: ს. ბანძიდან: ბეგლარ ხაინდრავამ 1 მან., ვალ. სულაქველიძემ 50 კაპ., რაჟდენ კუხალეიშვილმა 25 კაპ., ს. ციხისთავმა 2 მან., მასწ. რაჟდენ კეკელიამ ფულად 1 მან., წიგნები—2 მან. 50 კ., ივანე იოსელიანმა 50 კაპ., მასწ. ლავრენტი გვალიამ 50 კაპ., თელაპელმა 50 კაპ., იასონ ქაჯაიამ 5 კაპ., ფილიპე გაბუნიამ 20 კაპ., არჩილ ჟღენტიმ 50 კაპ., ფილიპე შართაიამ 40 კაპ., გუგუ საჯაიას ასულმა 20 კაპ., დიმიტრი საჯაიამ 20 კაპ., სირდიონ გაბუნიამ 20 კაპ., „X X“ 30 კაპ., № 50 კაპ., დ. ახალ-სენაკიდან: ო. ქ. ფულად 50 კაპ., წიგნებით 2 მან. 50 კაპ., ალექსანდრე ჰანტურიამ წიგნები 2 მან. 33 კაპ., ერასტო შურღაიამ წიგნები 1 მან. 54½ კაპ., პლატონ როფაქიძემ წიგნები 50 კაპ., ერმილე შუშანიამ წიგნები 2 მან. 86 კაპ., თ. ჩიქვანაიამ წიგნები 1 მან. 11 კაპ., რ. ჩოჩიამ წიგნები 50 კაპ., პეტრე დგებუაძემ წიგნები 2 მან. 30 კაპ., გაბრიელ კვირაიამ წიგნები 1 მან., ნინუცა ჩემიას ასულმა წიგ. 1 მან. 68 კაპ., ბეგლარ კალანდარიშვილმა ფულად 50 კაპ., ლუკა მიქავამ 50 კაპ., მღ. ვარლამ ბოკუჩავამ 20 კაპ. გვსურდა ცალ ცალკე მადლობა გამოგვეცხადებია თვით აბედათის საზოგადოების იმ პირთათვის, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს თავიანთი წვლილი სამკითხველოს და მით ხელი შეუწყვეს მის დაარსებას, მაგრამ რადგან მათი ცალ ცალკე აღნიშვნას დიდი ადგილი დასჭირდებოდა, ამისათვის მადლობას ვუცხადებთ პატივცემულ შემომწირველთ აბედათის საზოგადოებისას. აბედათის უფასო სამკითხველოს გამგე ილია ანჯაფარიძე.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრისტე აღსდგა!

## გიგლიურ ჰანგზე

### გეთსემანია.

შუა ღამეს ცოტა აკლდა. სხვა დროს ქალაქი იერუსალიმი მიძინებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ დღეს, პასექის დღესასწაულის დაწყებისა გამო, ბევრგან ცეცხლი ბჟუტავდა და ხმაურობაც მოისმოდა. ქალაქის მიკიტნები დიდს ფაცა ფუცში იყვნენ, რადგან ამ დღისთვის მართლ-მორწმუნე ებრაელები უცხო ქვეყნებიდანაც ბლომად მოდიოდენ და სამიკიტნოებში კაი ძალ ფულს სტოვებდნენ.

იერუსალიმის ვიწრო და მოუკირწყლავ ქუჩებში საკმაოდ ბნელოდა, ასე რომ ათიოდე ადლის მანძილზე პირუტყვისა და კაცის გარჩევა ძნელი იყო. ერთი ქუჩის მოსახვევიდან ჩუმი ხმაურობა მოისმა და კაცთა რამდენიმე აჩრდილი გამოჩნდა. ეტყობოდათ, ეს ადგილები გაცნობილი ჰქონდათ, რადგან მიუხედავად სიბნელისა უშიშრად მიაბიჯებდნენ და ქუჩიდან ქუჩაში თამამად უხვევდნენ.

მგზავრები აჰყვნენ ზემო უბანს და ზეთის ხილის მთის კალთებზე გაშენებულ გეთსემანიის ბაღის კარებს მიადგნენ.

— აქ შევიდეთ,—დინჯად სთქვა ერთმა, რომელსაც ხმაზე ეტყობოდა, დანარჩენთა მეთაური უნდა ყოფილიყო.

ბაღში კი უკუნეთი სიბნელე იყო. ხშირ-ფოთლიანმა წალკოტმა ადამიანთა აჩრდილიც ღამის წყვდიადში თითქო გახსნა, მხოლოდ კანტი-კუნტად-ღა ისმოდა მათი ჩუმი ლაპარაკი.

— ისევ ჩვენი გეთსემანია! ჩვენი მუქთი სასტუმრო,—სთქვა ერთმა.— რამდენჯერ გაგვითევებია აქ ღამე. ეს წალკოტი რომ არ იყოს, ჩვენისთანა ხელ-მოკლე ხალხს რა ეშველებოდა! ნაცნობთან კი ამდენი კაცის სტუმრობა ხუმრობა საქმეა? ღმერთმან აკურთხოს ამ წალკოტის დამსხმელის მარჯვენა!

— მოძღვარო, დღეს გვიამბობ რასმე?—იკითხა მეორემ,—გუშინდელი შენი ნაამბობი სამარადისოდ აღბეჭდილია ჩემ გულზედ.

— ღმერთო შენით, ეს მეოთხე პასექს ვატარებთ მოძღვართან ერთად.—ჩაილაპარაკა მესამემ.

— მოძღვარო, რისთვისა ხარ მოწყენილი და დაფიქრებული?—გაკვირვებით ჰკითხა მეოთხემ.

— რაბბი, აი იმ წალკოტის ქვიან-ლოდებიან კუთხისკენ წავალთ? შენ რომ გიყვარს ხოლმე სუროთ შექარგულ ლოდზე ჩამოჯდომა და ქადაგება.

— ჰო, იქ მარტო მე წავალ, თქვენ აქ მოითმინეთ,—წარმოსთქვა მოძღვარმაც. ეს იყო რაბბი იიშუ.— მინდა რამდენიმე ხნით მარტოდ-მარტო დავყო. ძმებო, ჩემი სიჩუმე და მოწყენა სხვაფრივ არ ჩამომართვათ. გული ჩემი საშინლად ღელავს. გამოუთქმელ სულიერ აღშფოთებას ვგრძნობ, სანამ ცოტად დავმშვიდდებოდე, განმარტოვება მესაჭიროება. თქვენც იფხიზლეთ... ვინ იცის, იქნებ უკანასკნელია ჩვენი ერთად ყოფნა...

თუმცა რაბბი იიშუს განმარტოებით ყოფნა ხანდის ხან ჩვეულებად ჰქონდა, მაგრამ დღეს მაინც იმის კილოსა და ქცევაში ბევრი რამ არა ჩვეულებრივი, მათთვის გაუგებარი იყო. ყველა რაღაც შიშმა მოიცვა. რაღაც საბედისწერო შემთხვევის მოლოდინი მოსვენებას არ აძლევდათ მათ, თუმცა ამაზე ერთმანეთთან ლაპარაკსაც ვერა ჰბედავდნენ.

ბუნებამ თავისი გაიტანა. ისინი ჩვეულებრივად გაგორდნენ მწვანე მდელოზედ და სიამოვნებით შეიყნოსეს გაზაფხულის ნორჩი ბალახის კეთილ-სურნელება.

რაბბი იიშუ მართლაც ბაღის იმ კუთხისაკენ გაეშურა, სადაც ხეებსა და ბუჩქებს შორის აქა-იქ ეყარა სხვა და სხვა ზომის და სახის ლოდის ნატეხები და ერთ ერთზე ჩამოჯდა მეტად დაფიქრებულ-დაძმარებული.

„შეუძლებელია მე რომ შევცდე,—გაიფიქრა რაბბი იიშუმ;—ჩემ მიერ ალებული ალღო, მუდამ გამართლებულა და უეჭველად ახლაც გამართლდება... ნამდვილად უკანასკნელი ღამეა ჩემის ცხოვრებისა, უკანასკნელი წუთებია ჩემის თავისუფლებისა“...

იიშუს მთელ ტანში გააჟრჟოლა, ხელები აუკანკალდა, ოფლმა დაასხა. „ბრიყვი ხალხის ზურგზე მობუქნავე სამღვდელოება არაფრის გზით არ მაპატიებს იმის წინააღმდეგ ჩემ მიერ ესოდენ მკაცრად და პირდაპირ გალაშქრებას. ჩემი წუთები დათვლილია, ამას ნათლად ვგრძნობ. ღმერთო, მომეც ძალი თამამად გადავიტანო ეს საშინელი წუთები! ღმერთო, შემაძლებინე, ბოლომდე ვიყო მშვიდი და მტკიცე, მგრძნობიერი, მაგრამ სასტიკი ორგულთა მიმართ, სულ-გრძელი, მაგრამ შეურყეველი ჩემს რწმენაში. ღმერთო, ჩამინერგე სიმხნე, თამამად შევსვა ჩემთვის განმზადებული სასმელი“.

პირველმა მხლავრმა მღელვარებამ გაუარა. ოფლი მოიწმინდა, ზეზე წამოდგა და მოწაფეებისკენ გაემართა.

— მეგობრებო! ხომ ფხიზლობთ? ხომ მაგრა ხართ?—ტკბილად, მაგრამ რაღაც სასო-წარკვეთილის კილოთი წარმოსთქვა იიშუმ, როცა იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც მოწაფენი დასტოვა

პასუხი არავინ არ გასცა.

მძინარეთა ხვრინვა და არღვევდა წყდიადით მოცულ არე-მარეს სიჩუმეს.

— უკვე გძინავთ?—გულ-ნატკენად წარმოსთქვა მოძღვარმა.—გაიღვიძეთ, მეგობრებო! შეიძლება ხვალ ამ დროს ყველასაგან თავმინებებული უსულოდ ეგდოს ჩემი გვამი. პეტრე, შენ მაინც რა მოგივიდა! მღვიძარე იყავ, განსაცდელი მოახლოვებულია.

იიშუმ კვლავ მიაშურა საყვარელ ლოდს. ჯერ კიდევ ღელავდა, ოფლიც წურწურით ჩამოსდიოდა. ლოდზე ჩამოჯდა, იდაყვზე დაეყრდნო და დაფიქრდა.

ელვის სისწრაფით გაირბინა იმის წინ მისმა ცხოვრებამ.

გაახსენდა ბავშობა, ხელ-მოკლე დედ-მამა, რომელთაც თავის ძალღონით ადრევე მიეშველა. პირველი მისი შთაბეჭდილება იერუსალიმის ტაძარში, სადაც მშობლებმა ჯერ კიდევ ნორჩი ჭაბუკი სალოცავად წაიყვანეს. მისმა ზეგარდმონიჭით უხვად დაჯილდოვებულმა გრძნობა-გონებამ ერთის თვალის მოვლებით გაითვალისწინა და შესაფერად ასწონ-დასწონა ყოველივე, რაც იმ ტაძარში ხდებოდა. იქ ნანახ გაგონილისაგან ერთი უცვლელი საბოლოო დასკვნა გამოიყვანა. თვალ-წინ დაეხატა ორი ბანაკი. ერთ მხრივ იერუსალიმის სამღვდელოება, ურწმუნო, გარყვნილი და ანგარების მოყვარე. მისი დამქაშები ლებიტელები, მუქთა ხორობას ჩვეულნი, ხალხთაგან ათის თავის აღებით ხახა კმაყოფილნი. მათივე მოსარჩლე ფარისევლები, ეს ებრაელების ყალბი პატრიოტ-ნაციონალისტები. მეორე მხრით ხალხი, მრავალ-ტანჯული ებრაელი ხალხი, მორწმუნე და შრომის-მოყვარე მაგრამ დაუსამართლებული, დამონებულ-დამცირებული. პირველი ბანაკი ითვლიდა თავისს წევრთ ათობით და ასობით, მეორე ათასობით და ათი ათასობით. პირველი მაძღარი იყო, მეორე ნახევარ მშიერი. პირველი განცხრომაში, იყო მეორე ტანჯვაში.

იიშუ შეიქმნა დაუძინებელი მტერი პირველ ბანაკისა და აშკარად დაიწყო პირველის გაკიცხვა, მეორის ქომაგობა. იცოდა, რომ ასეთ უსწორ-მასწორობის მიზეზი უმრავლესობის შეუგნებლობა, უმეცრება იყო და ამიტომ იიშუმაც უმთავრესი ყურადღება ხალხის გაწვრთნას მიაქცია, მის სულიერად ამაღლებას, მის განვითარებას. იიშუს წარმოუდგა ყველა თავისი მოგზაურობა სამშობლო ქვეყნის კიდით-კიდე. თუ როგორ აღტაცებით უსმენდა ხალხი, თუ როგორ სწყუროდა მას, დაჩაგრულ-დაუძლურებულს, უკეთეს პირობების შექმნა... „მაგრამ ხალხი? უპირო ხალხი, დაჩაგრული ხალხი? მწუხარედ გააქნია თავი იიშუმ და ორივე ხელით თავი დაიმაგრა,—ერთ-მანეთის შურით და მტრობით გამსჭვალული ხალხი? როდის ელირსება ხსნა“!

წარმოუდგა გენისარეთის ტბის პირად ქადაგების სასმენად მოზღვავებული ხალხი, მისი აღტაცება, როცა იიშუს ქადაგებით აღფრთოვანებულმა მას მეფედ არჩევა მოუნდომა. წარმოუდგა „ოსანა“-ს მომღერალი ხალხი როცა მან იიშუ „კიცვსა ზედა კარაულისასა“ მჯდომარე ბზა-ბაიას ქვეშ ფენით ჩამოატარა იერუსალიმში. წარმოუდგა რჩეული ბიჭებიც, რომელთაც მარჯვე იერიში მიიტანეს ტაძრის ეზოში დაბუდებულ სიყალბეზე და... იიშუს გული ერთ წამს სიხარულმა მოიცვა.

„არა, ცოცხალ-არს ერი! შეისისხლხორცებს საერთო ძალის სიძლიერობას. შეიგნებს, თუ რამდენად დამღუპველია მისთვის ერთმანეთთან შური და მტრობა. ერთხელაც იქნება მათ გზას გაუნათებს, მათ სხივს მოჰფენს დაუშრეტელი სიყვარული“...

„მაგრამ როდის“? წასჩურჩულა იიშუს იდუმალმა ხმამ. გაახსენდა, თუ როგორ დაფრთხა აღფრთოვანებული ხალხი ჯარის-კაცთა მოახლოვებაზე, თუ როგორ მიიმალნენ, გულ-გახეთქილები, გარბოდნენ და დედა-კაცთა შორის ერეოდნენ, ვითომ ჩვენ არავითარ საწინააღმდეგო საქმეში არა ვრეულ ვართო.

რაბბი იიშუ ისევ მწუხარებით ალივსო“. უბედური „ადამიანი! როდის... როდის შეიგნებს იგი“... ნაღვლიანად წარმოსთქვა მან და ისევ მოწაფეებისკენ წავიდა.

— ძმებო! იაკობ, იოანე, ხმა გამეცით! მეგობრებო!—ხმის განკალით ამბობდა იიშუ.—ძვირფასნო, დღის სინათლეზე იქნებ ვერც კი ვნახოთ ერთმანეთი.

ხმა არავინ გასცა. ყველას ეძინა.

— იაკობ, ძმაო! პეტრე?—უფრო ხმა აიმაღლა რაბბი იიშუმ.

— უ...უ...ა...უ!—ნელ-ნელა წაიკრუსუნა ვიღამაც და ტანისამოსის შრიალზე ეტყობოდა, რომ მეორე გვერდზე გადაბრუნდა.—ა...აჰა... ჰა!..—ერთიც დაამთქნარა და ისევ ძილმა შეიპყრო.

— ის...ის...ის, ბეთსაიდის კარებთან... შენ ესროლე ბადე, შენ ესროლე!—ბოდავდა მეორე.

— თქვე უბედურებო, არა გრცხვენიანთ, რომ ერთი ღამეც ვერ იფხიზლეთ ჩემთან?! ერთი, ერთი, ისიც უკანასკნელი ღამე... აგერ საცაა ჩემი გამცემელიც გაჩნდება. ძმებო, თქვენთან უკანასკნელ ამბორის ყოფასაც ვერ მოვასწრებ, მგონია, მშვიდო...ბით... ძმებო!—მწუხარედ წარმოსთქვა იიშუმ და კვლავ განშორდა.

მწარედ ქვითინებდა და თან „უბედური ხალხი“-ო იმეორებდა

რაბბი იიშუ ისევ ლოდზე ჩამოჯდა.

„იქნება ამშორდეს განსაცდელი?—გაიფიქრა მან.—არა! ყოვლად შეუძლებელია! სანამ ვაჭრები არ გადამემტერებოდნენ, ასე თუ ისე შეიძლებოდა ხიფათის თავიდან აცდენა. ახლა კი სულ ერთია! რა დღეს, რა ხვალ. დაე შესრულდეს! მოვიდეს. რაც მოსასვლელია. მე უკვე მოვიხადე ჩემი ვალი... უეჭველია, გამცა უბედურმა იუდამ. ვერცხლის მოყვარეობამ დააბნელა. ცოტა გულ-ნატკენიც იყო ჩემზედ. სვიმონ ფარისევლის სახლში ჩემი ნათქვამისა გამო გული დასწყდა... სწორედ აქ მოიყვანს შემპყრობლებს. უკეთეს დროს და ადგილს ვერ იშოვნის. უბედური ჩემი მოწაფეები, რა გულ-უბრყვილოები არიან! მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, რა უნდა მოხდეს ამ მოკლე ხანში...“

იიშუ ღრმად დაფიქრდა. ისევ ოფლმა გადაასხა.

„შემდეგ რა იქნება, რა იქნება?—დაეკითხა თავისს თავს.—უმნიშვნელოდ ჩაივლის ყოველივე, თუ ფესვს გაიდგამს, გაიხარებს, გაიზრდება, აღყვავდება და ნაყოფს გამოიტანს რაბბი იიშუს მოძღვრება?! არა ვგონებ, რომ უკვალოდ გაჰქრეს ჩემი შრომა და ღვაწლი. არა ვგონებ, რომ კეთილი თესლი ერთი მაინც არ დავარდნილიყოს სადმე კეთილ ნიადაგზე. ყველა ხომ არ გაითელებოდა, ყველა ხომ არ დაილუპებოდა. ყველა ხომ არ გამოშთებოდა. არა ვგონებ, რომ ხალხმა, რომელიც მიუხედავად ათას გვარ გასაჭირისა, ათასობით უკან დამდევდა, ჩქარა დაივიწყოს რაბბი იიშუ და მის მიერ ნამოძღვრევი ურთიერთ სიყვარული. არ უნდა გაჰქრეს ის რწმენა...“

„...ეს რა ფიქრი მომივიდა,—გაოცებით წარმოსთქვა რაბი იიშუმდა ზეზე წარმოიჭრა—ვითომ, ჩემზედაც განმეორდება ის...“

მაგრამ იიშუს ამისი ფიქრიც არა სურდა. ამ ფიქრის თავიდან მოშორებას სცდილობდა, მაგრამ ამაოდ. იდუმალი ხმა, რომელიც ხშირი სტუმარი იყო მისი, ახლა აშკარად და გარკვევით ჩასჩურჩულებდა:

„გაიხსენე ილია, ისაია და სხვა დიდებული მოღვაწენი, ხალხის საბედნიეროდ თავ-განწირულნი. მათ თანამედროვე სამღვდელოება და მთავრობა სდევნიდა... დიდებული ისაია ხომ ხერხით შუაზე გადახერხეს მეფე მანასიას ბრძანებით და მღვდელთა ნება-დართვით. რა იყო მიზეზი? მხოლოდ ის, რომ ჩაგრულთა ქომაგი იყო. ხოლო ახლანდელი სამღვდელოება კი, შთამომავალი იმ ძველისა, სისხლი და ხორცი მისი, ისაიას აქებს და ადიდებს წმიდანად ხდის, მისი ნაწერი კი, საღმრთო წიგნად აქვს აღიარებული. ის ნაწერი, სადაც დიდებული წინასწარმეტყველი უშიშრად ჰქუხს: მძულს თქვენ მიერ შეწირული მსხვერპლი; ზვარაკები და ჭამებული თქვენი ეზიზღება ჩემ სულსაო. ვითომ შესაძლებელია, რომ ჩემზედაც განმეორდეს იგივე? შეიძლება, რომ წამებულ იიშუს (მე რომ მაწამებენ უეჭველია და ამისი სრულებით არ მეშინია) სახელიც გაიხადონ ოდესმე მღვდელთა ხალხის საწუწნელ იარაღად, როგორც ახლა მოშეს და მათ წინაპართა მიერ წამებულ წინასწარმეტყველთა სახელი? მათ სახელს გუნდრუკს უკმევენ, რომ ამით ხალხის საუკეთესო ხბორები და ვაცები თავიანთ სუფრის დამამშვენებელი გაიხადონ. ნუ, ნუ იქნება ასე! ცაო, ჩემი უკანასკნელი სათხოვარია ეს. უკეთესია რაბი იიშუს ხსენება სრულებით გაჰქრეს, ვიდრე იმის სახელს ამოეფარნენ ხალხის საყვლეფავად, იმათ შთამომავალნი, ვინც დღეს მზად არს რაბბი იიშუს სისხლი სიამოვნებით მაჰარივით შესვას.

„დედა მიწაზე ერთი კანონია ყველასათვის, არა ვგონებ, რომ შენც აგცდეს სხვათა ბედი!“ თავისას არ იშლიდა იდუმალი ხმა.

— ოჰ, ნუ იქნება ასე! თუ ეს აუცილებელია, მაშინ, ჰოი ცაო, განრისხდი, იორდანე უკუ-იქეც, ვაზო, ნუ მოსცემ მტევანსა, ნაძვო ლიბანისავ, გახმი!“

იიშუ უცბად გამოირკვა ფიქრისაგან. მისი ყურადღება მიაქცია ბაღის კარებისკენ რაღაც ხმაურობამ და სინათლემ.

— ერთი შენცა, სად მიდიხარ?— მოისმა ვიღაცას უხეში ხმა.

— მან უკეთ იცის, ხელს ნუ უშლით!—სთქვა მეორემ.

— ამ ჯოჯოხეთურ სიბნელეში ერთი უმართლოს ვისმეს არა ვტაცოთ ხელი, კაცო?

— ვაიმე, ვაიმე, ეს რა ამბავია!— აღრიალდნენ იიშუს მოწაფეები:— მე აქ მხოლოდ მეძინა... მე.. არა, იეღოვას ვფიცავ!...

— ჯერ ნურავის გაუშვებთ!— ისმოდა აგრეთვე ბრძანების კილო.

რაბბი იიშუ საჩქაროდ მათკენ გაეშურა. **უიარაღო.**

## ცოდვილი სული

(ლეგენდა)

ქედლის ჭუჭრუტანაში გამაგრებულ ანთებულ კვარის სინათლე ბარბაცებდა და მკრთალ ნათელს ჰფენდა პაწია ოთხკუთხ სახლს.

ირგვლივ სიჩუმე იყო და მხოლოდ ტახტზე მწოლიარე მოხუცის, სულთმობრძავ დედაკაცის კვნესა არღვევდა მყუდროებას. კერასთან ჩუმად მიმჯდარიყო ორი მეზობელი დედაკაცი და დრო და დრო მთქნარებით ბირჯვარს იწერდა.

ავადმყოფმა ღრმად ამოიოხრა და, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო, ტუჩები გაატოკა.

— მგონი სული ებრძვის ხორცს,— სთქვა ერთმა დედაკაცმა და პირჯვარი გადაიწერა,—კარგად მოვიქცეთ, რომ დავრჩით და ღამე ვუთიოთ.

— დაე გაუყაროს!—მიუგო მეორემ,— ერთობ აწვალა და დასტანჯა ამ უბედურმა ღვთის ნადგომილი სული თავის ხორცი, გაუმაძღარ ხორცით. არავის არაფერი სიკეთე არ გახსოვს ამისაგან.

კვნესა ისევ გაისმა, მაგრამ რაღაც უცნაური და გულ-საკლავი. დედაკაცები შეკრთნენ და მიაპყრეს თვალები ავადმყოფს, რომელმაც სწორედ ამ დროს ამოისუნთქა უკანასკნელად და განუტევა სული.

დედაკაცებმა სწრაფად გადაიწერეს პირჯვარი და მიუახლოვდნენ ცხედარს.

— მადლობა ღმერთს!—სთქვა პირველმა დედაკაცმა,—ღმერთო, შეუნდევ და განუსვენე სასუფეველსა შენსა... უთუოდ მისი ანგელოზი ტიროდა და ის შემოგვესმა...

— ამბობენ, მთავარ-ანგელოზი გაბრიელ შეუბრალებლად ჰგლეჯს ადამიანის სულს და არასოდეს არა ტირისო, მაგრამ ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი ყველას სულის ამოხდას ესწრება და, თუ ნაწყმედილია, მწარედ სტირის,— მიუგო მეორემ,— მაგრამ, ვინ იცის, იქნება თითონაც დაიკვნესა, განა შეგვიძლიან რამე გამოვიცნოთ!.. მოდი გავაბანოთ ეს უბედური და მეზობლებს დავუძახოთ. ეს ზანდუკები გავტეხოთ: შიგ ოქროები აქვს შენახული. აბა, დახე, მთელ სიცოცხლეში აგროვებდა, ერთ ფულსაც კი არავისთვის არ იმეტებდა და ახლა სულ სხვებს უნდა დარჩეს. არავისაც კი არ დაენანება ეს საბრალო. არც ერთი მოსიყვარულე ცრემლი არ გაუნათებს ამას საიქიოს გზას.

ასე მსჯელობდნენ მეზობლები. მოხუც დედაკაცის ცოდვილი სული კი, რომელიც ამოხდა თუ არა მთავარ-ანგელოზმა, ცეცხლის ასოებით დაწერა „ჯოჯოხეთი“, გამალებული მიირბოდა უსაზღვრო სივრცეში. სწორედ ეს საშინელი სიტყვა იყო მიზეზი, რომ ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს სიბრალულის ქვითინი წასცდა.

— დაგეხმარები, დაგეხსნები, საბრალოვ,— უთხრა მან დედაკაცის სულს და თითონაც გაჰფრინდა ცის უსაზღვრო სივრცეში სხვა გზით, მაგრამ თვალსკი არ აშორებდა დედაბრის სულს, რომლის საშინელი წარწერა საზარლად ანათებდა ღამის წყვდიადში. სული ბეწვის ხიდისაკენ მიფრინავდა.

ღვთის-მშობელმა დაინახა, როგორ შესდგა სული ბეწვის ხიდზე, როგორის წკრიალით გაწყდა ეს ხიდი და როგორ დაქანდა საბრალო სული თავდაყირა ჯოჯოხეთის ჯურღმულისაკენ. ღვთის-მშობელი ატირდა. იმის სხივოსან თვალებიდან გადმოცვივნული ცრემლები, განთიადის ვარსკვლავებად ქცეულნი, ცის კამარაზე ატიმტიმდნენ.

განთიადი უკვე მოახლოვებული იყო, როცა ყოვლად წმიდა მარიამმა დაუკაკუნა სამოთხის მაღალ, ნათელ ჭიშკარს.

იმ წამსვე მოციქული პეტრე გამოვიდა და მიესალმა.

— პეტრე,—უთხრა ყოვლად-წმიდამ პეტრეს,—სად არის ჩემი შვილი? გთხოვ, დაუძახე, პეტრე, საქმე მაქვს.

— რა საქმე, ყოვლად-წმიდაო დედავ?

— როცა ჩემი შვილი მოვა, მაშინ გეტყვი, პეტრე. ჩემ წილ-ხვდომილ ქვეყნიდან, საქართველოდან, მოვდივარ და ისევ იქვე უნდა დავბრუნდე. უნდა წავიდე საჩქაროდ, რადგან, ამთავრებს თუ არა მზის პირველი სხივი, ერთი სული უნდა მოშორდეს სხეულს და მინდა იმ დროს იქ ვიყო.

— ეხლავე, ყველას ნუგეშო!—მიუგო პეტრემ და თვალის დახამხამებაზე მოიყვანა მაცხოვარი, რომელიც მორიდებით ალერსიანად უღიმოდა დედას.

— შვილო ჩემო,—უთხრა მას დედამ,—შვილო ჩემო, წარიწყმიდა სული, რომელიც იყო დედაკაცი ჩემ წილხვდომილ ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, რომელსაც შენ სიუხვის კალთა დააბერტყე, სადაც შენის ნაკვალევით ჩვენი საყვარელი ნინო გავგზავნე საქადაგებლად...

— ერთის სიტყვით,—სთქვა მაცხოვარმა,—იმიტომ ჩამოსთვალე ყველა ეს, რომ გსურს, როგორც ყოველთვის, ეს დედაკაციც ვაცხონოთ, სამოთხეში მივიღოთ? ეს ჩვენ საყვარელ პეტრეზეა დამოკიდებული,—და მან შეხედა პეტრეს.

პეტრემ კი წმიდა მარიამს მიაპყრო თვალები, გაიფითრდა, მაგრამ მტკიცედ სთქვა;

— შეუძლებელია ეგ, საყვარელო მასწავლებელო! გთხოვ, ნუ შემრისხავ, ჩვენო საყვარელო დედავ, მაგრამ მე მოვიტან იმ დედაკაცის ბედის წიგნს და იმასაც, რომელიც დილით უნდა მოიყვანო, და თითონვე დაინახავ, რომ შეუძლებელია!

პეტრემ გამოიტანა ორი წიგნი: ერთი ბრილიანტით გამშვენიერებული, სხივის ასოებით დაწერილი, ხოლო მეორე შავი, კუპრის ასოებით დაწერილი.

შავ წიგნში ეწერა: „დედაკაცი ბოროტი, ავ-სიტყვა, ძუნწი, ცრუ, მოღალატე, არავისათვის არავითარი სიკეთე არ უქნია არასოდეს.“

— აი, ჰხედავ, საყვარელო მასწავლებელო, განა შესაძლებელია ამის სამოთხეში შემოყვანა?

— დაღონებულმა მარიამმა არ იცოდა, რა ეთქვა. უზომო მწუხარება იხატებოდა იმის ნათელ სახეზე.

— მაგრამ, ჩვენო საყვარელო პეტრევ, იქ რაღაც კიდევ სწერია,—სთქვა იესომ და შეჰხედა დედას.

— სწერია, სწერია, მასწავლებელო, მაგრამ ისეთი უმნიშვნელო, რომ წაკითხვადაც არა ღირს...

— ჩვენთვის ადამიანის ცხოვრებაში არა არის რა უმნიშვნელო, საყვარელო პეტრევ,—მიუგო იესომ.

პეტრე შეკრთა, მაგრამ მაინც მტკიცედ წაიკითხა:

„მხოლოდ ერთხელ თავის მიწიერ სიცოცხლეში დედაკაცმა ერთი ძირი ხახვი მისცა მშიერ მათხოვარს.“

— აი, ჰხედავ, პეტრე!—წარმოსთქვა გახარებულმა მარიამმა.

— ოჰ, ისეთი პაწაწკინა ძირია... სწორედ დედაკაცის სულის ხორცისაგან გაძრისას მოიტანა იმ მათხოვარმა და იქვე ჰგდია...

— ჩვენო საყვარელო პეტრე,—უთხრა ღმობიერად იესომ,—სიკეთე სიდიდით როდი გაიზომება, არამედ თვისებით. ხოლო ის სიკეთე, რაც ადამიანმა ჩაიდინა მიწიერ ცხოვრებაში, თუ ისეთის თვისებისაა, რომ შეიმაგრებს, ზიდავს იმის სულს და ამოიყვანს სამოთხეში, უნდა მივიღოთ. გაუწოდოს ჩვენმა დედამ ის ხახვი დედაკაცს და, თუ დაიმაგრებს, ამოიყვანოს. გახსოვდეს, ჩვენო საყვარელო პეტრევ, რომ სიკეთეს, რა პაწიაც უნდა იყოს იგი, დიდი ფასი აქვს.

პეტრე გაწითლდა. დარცხვენილმა გამოიტანა ხახვი.

მართლა რომ პაწაწკინა და საცოდავი, წვრილ ფოთლიანი ძირი იყო ეს ხახვი.

— ამოზიდვით კი ამოზიდავს,— სთქვა პეტრემ ეჭვით.

— მაშ მე წავალ, დროა სხივები გავუგზავნო მზეს,—სთქვა იესომ და წავიდა.

ყოვლად-წმინდა ღვთის-მშობელი და პეტრე კი ავიდნენ სამოთხის მთაზე და გადაიხედეს ჯოჯოხეთის თვალუწვდენ უფსკრულისაკენ. ცოდვილთა საშინელი გმინვა, გულსაკლავი კვნესა-ტირილი და გოდება ამოჰქონდა მაღალ კვამლსა და ჟანგს ცეცხლის მორევის უფსკრულიდან.

დედაკაცის სული უკვე მისულიყო. რქიანი ხახა-დაღებული, შავი ეშმაკები ხარხარით ეჭიდებოდნენ და სძირავდნენ ცეცხლის ტბაში. მისი ტანჯული, შეშინებული სახე, ზევით უმწეოდ აპყრობილი ხელები ჯერ კიდევ მოჩანდა ცეცხლის ენებს შორის.

ღვთის-მშობელმა სწრაფად გაუწოდა ხახვი. ხახვი გაიზარდა, გაგრძელდა და ჩასწვდა ჯოჯოხეთს.

გახარებულმა დედაკაცმა იცნო თავისი ხახვი და საჩქაროდ სტაცა ხელი.

ღვთის-მშობელმა სიხარულით ამოსწია ხახვი. მთელი ჯოჯოხეთის ცეცხლი შეიძრა, აზვირთდა და აღელდა. ეშმაკები დაწრიალდნენ, ჩაიძირნენ და გაჰქრნენ ცეცხლის მორევში, საშინლად როდ სიხარულის კივილი მოისმა. აღტაცებული, იმედით ადსავსე ტანჯული ცოდვილები მოეჭიდნენ დედაკაცს ყოველის მხრით, იმათ კიდევ სხვები დაეჭიდნენ, და, ამნაირად, მთელი ჯოჯოხეთის ცოდვილები ამოჰყვნენ დედაკაცის ხახვს სამოთხეში.

უოვლად-წმიდა დედას ძალა უორკეც-დებოდა, სწევდა მსუბუქად, გახარებუ-ლი. კიდევ ცოტა და უველანი სამოთ-ხის კართან ც ჩნდებოდნენ. მაგრამ სწორედ ამ დროს ჰრასაზე მოჭიდე-ბულმა დედაბერმა ძირს ჩაიხედა, შიშ-მა და სიხარბემ შეიპყრო და გაანხხ-ლებულმა დაიყვირა:

— რას შვრებით! მომშორდით!.. რო-გორ გაჰბედეთ და მომეჭიდეთ! პრასა ჩემია, მარტო ჩემი!.. მე მივეცი მა-თხოვარს!..

პრასა შეინძრა. ვედარ ზიდა ეს უკა-ნასკნელი ცოდვა და გასწყდა. დედაბერი და იმასთან სხვა ცოდვილები, შემზარა-ვის დრიალით დაჰქანდნენ უფსკრული-საკენ და ხმაურობით ჩაცვივდნენ წუმ-წუმის მორევში, რომელმაც ერთი სა-შინლად იფეთქა და ყველანი ჩანთქა.

— საბრალო შემცდარო სულო!— აღმოხდა ღვთის-მშობელს სიბრალული გულის სიღრმიდან.

„განთიადია, განთიადი! მოგვაქვს სხივები“!—გაისმა სივრცეში ანგელო-ზთა გუნდის წკრიალა ხმა. სასწრაფოდ სტყორცნის მთას გადაღმა ჭაეროვან ღრუბლების ქვემაგებში დამინებულ მზეს სხივის კონები და გახძახეს: „გა-იღვიძე მზევ და გაალვიძე ქვეყნიერე-ბა, ტყე-მინდორ-ველი, ადამიანი სი-კეთისათვის... დასთრგუნე წყვდიადი ბნელი“...

მზე შეიშმუშვნა, გადაჰყარა ნაზი ღრუბლები და გაუცინა მთის მწვერვა-ლებს.

„უოვლად წმიდაო ღვთის-მშობე-ლო, შენ გაბარებ ჩემ სულს!“—გაისმა ნელი ხმა.

— აჰ, სული მეძახის,—წარმოსთქვა ღვთის-მშობელმა და დაეშვა დედამი-წისაკენ.

**ნინო ნაკაშიძე.**

# ტარტაროზი

(ვუძღვნი აზეფებს)

რამეთუ სადაც იყოს მძორი, მუნცა შეჰკრბეს ორბები.
ხოლო მეყსეულად, შემდ-გომად ჭირისა მის მათ დღე-თასა, მზე დაბნელდეს, და მთვარემან არა გამოსცეს ნა-თელი თვისი, და ვარსკვლავ-ნი დამოჰსცვნენ ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძრნენ.

**სახარება მათესი**, თავი 24, მუხ. 28, 29.

როდესაც პირველი ლურსმანი დაჰკრეს იესოს მარჯვენა ხელზე, გოლგოთამ საშინელის სიმწარით ამოიკვნესა. როდესაც მეორე ლურს-მანსაც მოჰხვდა ჩაქუჩი, გოლგოთა წითელის ღრუბლებით მოიბურა. გა-იკრიალა იერუსალიმის თავზე ელვამ, დაიგრგვინა ცამ და სისხლის ნაკა-დულები, შეერთებული დიდ მდი-ნარედ, საშინელის სისწრაფით და-ეშვნენ ძირს ქალაქისაკენ.

„აღსრულდა!“ დაიგრგვინა გრი-გალმა უკანასკნელად და წყნარის ნიავის ჩურჩულმა გადაატარა გეთ-სიმანიის ბაღზე ტკბილი ხმა:

„ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა“.

წითელი ღრუბლები ნელ-ნელა ვარდის ფრად ეშლებ[illegible]ენ დედა-მიწას. შარავანდედით მოსილი მზე მეხ-მედგართა ნაკვესებში დაბადებუ-ლი, სიცილით იმეორებდა ნიავის სიტყვებს და თავის სხივებს ატანდა ქვეყნის ყოველ კუთხისაკენ.

გოლგოთა ლიტანიობდა.

მაგრამ კვლავ გაისმა იქ ჩაქუჩის ხმა. იესოს წამების ჯვრის ორივე მხარეს ამართულიყო ჯვარი ბარა-ბას ამხანაგებისა. ყოველ ჩაქუჩის დაკვრაზე ხევთა უფსკრულიდან ქა-რიშხალს მოჰქონდა საშინელი სუნი მძოვრებისა, ყოველ ჩაქუჩის დაკვ-რაზე ემატებოდა სვავთა გუნდს, რომელიც მედიდურად დასტრიალე-ბდა გოლგოთას. ისმოდა საშინელი გმინვა, მაგრამ იგი იკარგებოდა სი-სხლის ღვართქაფის ღრიალში. აღარა სჩანდა შავს ღრუბელთ შორის ჯვარი იესოსი. ხოლო ყოველივე შეიღება სისხლით. ვეღარ მიიღეს პური და ვერ შესვეს წყალი. მამანი ცრემლ-თა თვისთა ისხურებდნენ და დედა-ნი ძუძუთა თვისთა დაჰკბენდნენ.

— იყავ წყეული იესო ნაზარე-ველო! იყავ წყეული იესო ნაზარე-ველო! რამეთუ პური ჩვენი ვითარცა ღვარძლი და წყალი ჩვენი ვითარცა სისხლი. იყავ წყეული!..—მოისმა განგაში გოლგოთის გარშემო.

ხოლო იესო სდუმდა ჯვარსა ზე-და წამებისასა და იტყოდა:

— აპატიე, უფალო, რამე თუ არ უწყიან, რასა იქმან!

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა!..—მოისმა ამ დროს მიწის წიაღიდან საშინელი ხარხარი.

შეირყა დედამიწა, უფსკრულმა გააღო პირი და გამოჩნდა იქიდან ტარტაროზი. იგი იუდას დაჰყრდნო-ბოდა მხარზე და სიცილ-ხარხარით ამოდიოდა ზევით.

— იყავ წყეული, იესო ნაზარე-ველო! იყავ წყეული!..

ისმოდა გოლგოთის გარშემო კბილთა ღრჭენით ხმა წყევლა-კრულვისა, ხოლო მას დაჰხარხარე-ბდა იუდას მხარზე დაყრდნობილი ტარტაროზი.

**ი. ევდოშვილი.**

# „აღსდგა?!“

მაღალი, ახოვანი, ჩასუქებული მღვდელ-მთავარი დღეს როგორღაც ფერმიხდილი იყო. ჩვეულებრივ წითუ-რი ლოყები უფერულად გასცრეცოდა, ხოლო გამჭრიახ, გონიერ, დიდრონ თვალებს დაჰკარგოდათ ის დაცინვითი გამომეტყველება და გამბედაობა, რი-თაც მღვდელ-მთავარი განთქმული იყო.

დაღონებულს ვეფხვის ჭროლა ტყავ-ზედ მოეკეცა. მაღალ შუბლზე წაკ-რული ჰქონდა თეთრი, ხვეული ბაზმან-დი, რომელშიაც შიგნით სქელ ტყავ-ზე დაწერილი ათი მცნება ეკერა. ეს ვითომდა ზნეობრივ უმანკოების და მოსეს სჯულისადმი მორჩილების მო-მასწავებელი იყო, თუმცა მღვდელ-მთავრის სახის გამომეტყველება და დარბაზის მორთულობა აშკარად ამტკი-ცებდა, რომ ამ საშკაულის პატრონი ხორციელზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე სულიერზე, და არავითარ სჯულის დე-ბულებას ისე ბეჯითად არ უგდებდა ყურს, როგორც საკუთარ პატივისა და თავმოყვარეობის ხმას. შავი, ხშირი თმა ფაფარივით გადაჰფენოდა განიერ მხარ-ბეჭზედ და თითქმის სწვდებოდა განი-ერ ტახტს, რომელზედაც მღვდელ-მთავარი იჯდა. დაფიქრებული შექცეო-და ლიბანის ტკბილ შარბათს, რომლის სმაც ძლიერ უყვარდა განსაკუთრებით ღვთის-მსახურების შემდეგ.

ამ ბოლო დროს კვლავინდელზე მე-ტი შრომა ერგო მღვდელ-მთავარს. რამდენიმე დღეა, რაც იგი გაფაციცე-ბით სცდილობს გალილეველ რაბიმის შეპყრობას, იმ იესო რაბიმისას, რო-მელმაც ბოლო ხანებში ძლიერ აამღვრი-ა ხალხი და კინაღამ ჩამოაშორა იგი კეთილ-მორწმუნე რაბიმებს. წუხელ მთელი ღამე ასამართლებდა მას და ვერ დაიძინა. მღვდელ-მთავარმა, რა-საკვირველია, გაიმარჯვა და მოუსვე-ნარ გალილეველს ჯვარზედ გაკვრა მი-უსაჯეს. მაგრამ ამას დიდი თადარიგი და მოხერხება დასჭირდა და მღვდელ-მთავარი მეტად დაიღალა. თანაც, მო-ახლოვებულ პასექისაგამო, ამ დილას თითონ წაუკიდა ცეცხლი ეგრედ წო-დებულ უოვლად დასაწველ მსხვერპლად მორთმეულ ზვარაკებს, ფეხზე დგო-მით მოისმინა ფსალმუნთა გალობა და მხოლოდ ახლახან დაბრუნდა შინ.

სწორედ ამიტომ იყო დღეს მისი უწმინდესობა ცუდ ფერზე და უგემუ-რად.

იგი თითქმის ძალით ჰყლაპავდა შუშ-ხუნა, სურნელოვან შარბათს და უმა-დოდ სციცქნიდა მოხლილ ნუშს. ოდ-ნავ ხმაურობაზე ჰკრთებოდა და მთლად სმენად იქცეოდა ხოლმე. სჩანდა, რომ რაღაცას თუ ვიღაცას მოელოდა.

დიდიხანს დიდ ხანს არ დასჭირდა. ჯერ კიდევ შუადღე არ იყო, რომ შო-რიდან მრავალხმოვანი გუგუნი მოისმა. უწმიდესი აღელდა, დაუცლელი ჭიქა გადადგა და სასწრაფოდ გავიდა აივანზე, სადაც მრავალი ყვავილი და ხე ერთმა-ნეთში გადახლართულიყო. ხმაურობა ახლოვდებოდა და მალე ცალკე ხმების გარჩევაც კი შესაძლებელი გახდა.

— გაუმარჯოს კეისარს!.. იდიდ-ღოს პილატემ!.. მრავალჟამიერ ჩვენს წმინდა, მართლმსაჯულ მღვდელ-მთა-ვარს!—დრიალებდა და იმეორებდა უთ-ვალავი ხმა.

„საძაგლები! — ცბიერად გაიღიმა მღვდელ-მთავარმა და აღელვებულმა შე-უგბენდად ტოტი მოამტვრია ვეებერთე-ლა ფორთოხლის ხეს, რომლის ქვე-შაც იგი ჩრდილში იდგა, რომ ერთ-ბაშად არ დაენახა ხალხს:—ეს რეგვე-ნი ბრბო ორიოდე ქანქარისთვის საკუ-თარ სულსაც კი გაჰყიდის. დღეს ჩემი სურვილი აასრულა, რადგან ჩემში ჰხე-დავს ძალას და მეტი ლუკმაც მიიღო ჩემგან. მაგრამ ხვალ მეც გამკრავს ჯვარზედ, თუ ვინმე ჩემზე უფრო ძლიერი და მდიდარი დაჭირდება რა-მეს... ფილისტი! მეფედ დასმას უპი-რებდნენ გალილეველ რაბიმს იესოს, რომელიც ახლა გოლგოთაზედ მიჰყავთ, როცა მან მშიერ უდაბნოში პურით გაამაძღო ისინი; შემდეგ კი, როცა მან სამართლიანად უშეცრები უწოდა მათ, კინაღამ ქვით ჩაჰქოლეს იგი, სულ ოთხი დღის წინად. დიდებულ მეფესა-ვით ჩაიცილეს იგი იერუსალიმს, დღეს კი, როცა დარწმუნდნენ, რომ მე უფ-რო ძლიერი ვარ იესოზე, დაჟინებით თხოულობდნენ იმის დასჯას, რომ ესი-ამოვნებინათ ჩემთვის...“

ამ ფიქრებში იყო გართული მღვდელ-მთავარი, როცა ხიშტებით და ცულე-ბით შეიარაღებული მხედრები და უსა-ქმური, ცნობის-მოყვარე ბრბო აიანს დაუშორდა შორდა. იესო რაბიმი შუაში მოექციათ და ყოველ მხრიდან მუჯლუ-გუნს სცემდნენ, რომ ჩქარა გადაედგა ნაბიჯი წამების ადგილისაკენ. ის კი ამა-ოდ, მაგრამ უძლურად მოკუზულიყო ნადლ ივნის კუნძის ჯვრის ქვეშ. მძიმედ ქშინავდა და ბორძიკობდა. სახეზე სვითქი გადასდიოდა. ოფლისაგან სველი ჰქონდა მთელი ტანისამოსი. ოფლს ურთდე-ბოდა სპეტაკ შუბლიდან ჩამომდინარე სისხლიც. თვალები დასივებოდა. აშკა-რა იყო, რომ ეკლის გვირგვინი, რო-მელიც თავს ედგა, არა თუ ჩხვლეტდა, უჭერდა კიდეც.

„მოჰკლავენ ეს ბრიყვები, სანამ გო-ლგოთას მიაღწევს და ჯვარცმის გემოს იწვნევს. საჭიროა, რომ ეწამოს, რაც შეიძლება ძლიერ დაიტანჯოს და გვიან მოკვდეს“,—გესლიანად წაიბუტბუტა მღვდელ-მთავარმა და გამოჩნდა.

უეცრად აღტაცებით დაიღრიალა ბრბომ უწმინდესის დანახვაზე, როცა მღვდელ-მთავარმა ბრძანებით ჩაიქნია ხელი და ხმა-მაღლა დაიძახა:

— კეთილ-მორწმუნენო! ცოდვაა ეს ადამიანი. მოხსენით ჯვარი... სხვამ წაიღოს... შეუმსუბუქეთ.

იესომ გაიღიმა. რაღაც დიდებული და საიდუმლო იყო ეს ღიმილი. თით-ქოს ძლევამოსილი გამარჯვებული უძ-ლურ დამარცხებულს დასცინოდა, თუმ-ცა წამების იარაღს გამარჯვებული მია-თრევდა.

„მიხვდა ის ცბიერი!“—თავში გაუ-ელვა მღვდელ-მთავარს. გაავთრდა და მზად იყო მთელი მთა წამოეკიდნა იე-სოსთვის ზურგზედ, რომ იქვე სული დაელია. მაგრამ ნება-უნებლიედ გაიღიმა, რადგან უგუნური ბრბო აღტაცებით დრიალებდა:

— გაუმარჯოს მღვდელ-მთავარს! გა-უმარჯოს! გულ-კეთილ და მოსიყვარუ-ლე უწმინდესს.

იესოს ჯვარი დაუყოვნებლივ მოხ-სნეს ზურგიდან, რომ შეესვენა და... უფრო მწვავედ ეგრძნო წამება.

„ვერც კი მიხვდნენ ეს რეგვნები ჩემს აზრს. იმან კი გაიგო“,—ჟამიანით წა-იდუდუნა მღვდელ-მთავარმა, ერთხელ კიდევ გადახედა უწეს-რიგოდ შიმავალ ბრბოს და გულნატკენი, თითქოს მარ-თლაც დამარცხებული, შებრუნდა შინ.

ხმაურობა შორდებოდა და მალე სრუ-ლად მიწყნარდა. მაგრამ მძიმე ჯვარი და იესო რაბიმის დამცინავი ღიმილი თვალიდან არა შორდებოდა მღვდელ-მთავარს. მოსვენებას არ აძლევდა. აზრს ურევდა. ყველგან და ყველაფერში ის ელანდებოდა.

არ გასულა ამის შემდეგ ერთი კვირა და მღვდელ-მთავარი რაღაცა გამოურ-კვეველ ავადმყოფობისაგან ლოგინად ჩავარდა.

— აღსდგა?! მართლა აღსდგა?!—ხვეწნით და გაკვირვებით ეკითხებოდა იგი სანახავად მოსულებს.

მაგრამ ყველა სდუმდა. არავის უნ-დოდა საწყენის პასუხით დღე შეემო-კლებინა სულთ-მობრძავ მღვდელ-მთავ-რისთვის, პირფერობას და ქვემძრომას მიჩვეულნი, მოახლოვებულ სიკვდილის აჩრდილსაც ვერ უბედავდნენ სიმართ-ლის თქმას და მნახველთა რიცხვი დღი-თი დღე ცოტავდებოდა.

გარშემო კი ახალი ცხოვრება დუღდა და გადმოდიოდა. იესოს მოძღვრების მიმდევარნი წუთობით მრავლდებოდნენ. „ძმობა, ერთობა, სიყვარული და თანა-სწორობა!“—აღტაცებით იძახდნენ მა-შვრალნი და ტვირთ-მძიმენი და უშიშ-რად აღიოდნენ წამების ძელზედ, რო-მლის იმედი ჯერ კიდევ ჰქონდათ მღვდელ-მთავრის თანამოაზრეთ.

— აღსდგა?! მითხარი, აღსდგა?!—ბოდვით ემუდარებოდა მომაკვდავი უკა-ნასკნელ მნახველს.

— ჭეშმარიტად!—უპასუხა იმან და გულზე გაუსწორა გაცივებული ხელები.

ეს იყო მღვდელ მთავრის ერთგული მოსამსახურე ელიოზი, რომელიც ახლა უკვე ქრისტიანეთა ჯგუფს ეკუთვნოდა.

**ახელი.**

# აღარც ერთი დღე!

ცხოვრებითა და ტანჯვით დაღა-ლულ ქვეყანას ღრმად ჩასძინებოდა, და ამ მძინარ ქვეყანას ფხიზლად სდარაჯობდა სულგანაბული სიჩუმე.

არ ეძინა მხოლოდ ერთ კუთხეს, ლამაზსა და ტურფას.

როცა ქვეყანას ჩაეძინა, იქ მხო-ლოდ მაშინ გაიღვიძა სიცოცხლემ და სიხარულმა: ვარდმა დაიწყო ნა-ზად ფურჩქვნა, მის ფურჩქვნით იმზზედ მოსულმა ბულბულმაც საა-მურად შორთო გალობა და მისმა გალობამ გამოაფხიზლა მიყუჩებული სიო, რომელმაც ნაზად დაჰკოცნა ვარდიც, ბულბულიც და, თითქოს მათის ტრფობით აღგზნებულმა, თვითონაც მორთო არშიყობა: ხან ერთს წასჩურჩულებდა რაღაც საა-მურ-სალცდენს, თანაც შეარხევდა ჰაერში, და ხან მეორეს.

ქარიშხალი-კი დაღალული, მიყუ-ჩებული, შორი-ახლოდან ყურს უგ-დებდა ბულბულის სტვენას, ნიავის სისინს, თითქოს თვითონ ვერ ჰბე-დავდა ახლო მისვლას, ვერ ჰბედავ-და მათ სინაზეს შეჰხებოდა თვის სისასტიკით.

მთვარე კი, მთვარე, ეს მშვენება ცისა და ქვეყნის, სიხარბით დასჩე-რებოდა ამ კუთხის სიტურფეს, თვალ-წარმტაცობას; თავის ფერ-მკრთალ შუქს უხვად აფრქვევდა იმ არე-მარეს, თითქოს უნდოდა თავის მეზობელ ვარსკვლავებისთვის ეჩვე-ნებინა:

— უყურეთ, ქვეყნად რა მშვენე-ბაა, რა სიტურფეა! უყურეთ კარ-გად და იოცნებეთ, რადგან ეს კუთ-ხე თვით ოცნებაა!..

ამ კუთხეში ელოდნენ სტუმრებს, უცნაურ სტუმრებს...

აი, ეხლაც ვარდი თავის სურნე-ლებით, ბულბული ტკბილ-ხმოვანე-ბით და სიო ცქრიალით მიეგებე-ბენ მათ.

სტუმრებსაც ესმით მათი ძახილი და მოეშურებიან მათკენ:

ყველაზე უწინ მოფრინდა და და-ქანცული დაეშვა ვარდის ძირას

**სიხარული.** ოჰ, დავიღალე, და-ვიღალე! რამდენი ვიარე ქვეყნად, ვიფრინე, ვიხეტიალე, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვე ჩემთვის ადგილი. ვერსად ქვეყნად არ დამრჩენია ადამიანის გული, რომლისთვისაც არ მიმემარ-თოს, მაგრამ კარებს კი არავინ მი-ღებდა და თუ როდისმე ძალათი შევიდოდი შიგ, იქ ისეთი ვიწროო-ბა იყო, ისე მეხუთებოდა სული იქ დაბუდებულის მწუხარება-სევ-დით, რომ თვითონვე ვსცდი-ლობდი ჩქარა დამეხწია თავი და არ ჩამხრჩვალიყავ მათით მოწამლულ გულში. მაინც ქვეყნად გამეფებულ-მა მწუხარებამ მომიშხამა არსება: მე სიხარულს, თითქმის დამავიწყდა კიდეც როგორია სიხარული და ქვეყნის მპყრობელმა მწუხარებამ მეც დამიმონა. შენ მაინც მანუგე-შე, ვარდო! დამასვენე ცოტა, მომა-კრეფინე ძალა, იქნება ცოტა მოვ-სულიერდე, სახე გამიმხიარულდეს!

ვარდს ეცოდა, გული აუჩუტდა სიხარულის მწუხარებით და არ იცოდა, როგორ ენუგეშებინა იგი: ხან ერთ კოკორს მისთავაზებდა სა-ყნოსავად, ხან მეორეს, რომ რო-გორმე გაექარვებინა მისი მშმუნვა-რება.

ამ დროს უეცრად გამოჩნდა მწუ-ხარება. მას ისეთი აღტაცება ეტ-ყობოდა სახეზე და ისე მხიარულად ძოლილინებდა, რომ გაოცებულმა სიხარულმა ვერც კი იცნო იგი. იგი ღიმილით მიესალმა სიხარულს და ნეტარებით წამოგორდა ქიქოზე.

**მწუხარება.** მოვსწყდი, მოვი-ქანცე ქვეყნის ამდენი პატრონო-ბით, ამდენი მ-ვლით: მოსვენება არა მქონია არავისგან; არ დამისვე-ნია არას დროს, მაგრამ ხვალ კი დავისვენებ, ხვალ კი დავისვენებ, ჩემო სიხარულო!

**სიხარული.** როგორ? ხვალ კი აღარ უნდა პატრონობა ქვეყანას?

**მწუხარება.** ხვალინდელი დღე შენია! ხვალ დღეა სიხარულისა! ხვალ აღარავის დასჭირდება მწუხა-რება და მეც თავისუფალი ვარ, მიხარია, დავისვენებ.

ამის გაგონებაზე აღტაცებით მთლად გადაირია სიხარული.

იგი გულმოდგინედ შეჰხვედროდა მზეს:

— ოჰ საყვარელო, ნათელო მზეო! ჩქარა ამოდი, ჩქარა გაათენე, ჩქარა გააღვიძე ქვეყანა, რომ ერთ დღეს მაინც ვიგრძნო თავი ქვეყნის პატრონად, იმის ბატონად.

სიხარული ესეთ ნეტარებაში იყო გართული, რომ უეცრად მოფრინდა მშმუნვარებით მოცული

**სიცილ-ხარხარი.** მეც აღარ ვი-ცი, ვის შევჩივლო, ვის შევევედრო! დავიღალე ქვეყნად წანწალით და ხეტიალით, რა უნაყოფოა ჩემი არ-სებობა, რა უსარგებლოა! ცრემლე-ბით არის გაჟღენთილი მთელი ქვე-ყანა, იგინი ხშირად თავიანთ მოსა-მსახურეთაც კი მხდიან მე, სიცილ-ხარხარს. მცირე სიხარულისა და ნეტარების დროსაც კი ცრემლები მეცილებიან ხოლმე: რამდენის სახეს ჩავკონებივარ ტკბილად, ნეტარებით, მაგრამ ცრემლებს ისე ჩამოუშანივარ, რომ ხშირად ჩემი ნასახიც კი არ დარჩენილა არავის სახეზე. მომბეზრ-და არსებობა, მომბეზრდა ქვეყანა. მომბეზრდნენ ცრემლები; მათ, ჩქა-რა ლამის მე თვითონაც დამაწყები-ნონ ტირილი.

ჯერ სიცილ-ხარხარს არც კი გაეთავებინა ლაპარაკი, რომ გამოჩნ-დნენ ცრემლები. ისინი ჰიგოგმან-დნენ და ციურ ნამად დაეწვეთნენ კოხტად თავ-აშვერილ ვარდის კო-კრებს.

**ცრემლები.** შენ რას გვიჩიოდი სიცილ-ხარხარო? ჩვენი ბრალი ხომ არ არის, რომ ქვეყანა ვერა სძლებს უჩვენოდ. ქვეყნის გულიდან რამ-დენი დარდი ამოგვიღლეჯია, რამდენი მწუხარება, ვინ მოსთვლის! ჩვენც დავიღალეთ, დავიქანცეთ! ჩვენც გვჭირდება დასვენება და დავისვე-ნებთ კიდეცა: ხვალინდელი დღე თქვენ გეკუთვნით! ხვალ გათენდება დღე სიხარულის, სიცილ-ხარხარის და თქვენც შეგიძლიანთ იმხიარუ-ლოთ, ჩვენკი აქ დავისვენებთ.

**სიცილ-ხარხარი.** რას ამბობთ, ცრემლებო, მე არა მჯერა!

**ყველანი.** ცრემლები მართალს ამბობენ!

— მართალს ამბობენ!

— მართალს ამბობენ!

სიცილ - ხარხარს სიხარულით ფრთები გამოესხა. ერთი ჩაიკისკისა აღტაცებით, ტკბილად გაუღიმა მთვარეს, გაეხმაურა ბულბულს, შე-უარშიყა ვარდს და მორთო ხტუნა-ობა ჰაერში.

ყველანი ისე გაერთნენ სიცილ-ხარხარის მხიარულობაში, რომ ვერც კი შეამჩნიეს, საიდან და როგორ გაჩნდა მათ გვერდით მოწყენილი.

**სიყვარული.** მე გავიგონე შენი ხმა, ბულბულო! მე ვიგრძენ შენი სურნელება, ვარდო, და გამოვეშუ-რე თქვენსკენ. ისევ თქვენ თუ მა-ნუგეშებთ დაღალულს, დაქანცულს და გულ-გატეხილს.

**ვარდი.** მოდი, გენაცვა, ჩემ კო-კრებზე დაჯექ!

**ქიქო.** არა, გენაცვა, ჩემ კალ-თაზე ჩამოჯექ!

**მთვარე.** მოდი, სიყვარულო, ჩემ შუქზე წამოწექ!

**ბულბული.** მოდი, ჩემო ტურფავ, ჩემ იმაში ჩაჯექ!

სიყვარულმა გაუგონა ბულბულს: შეუერთდა მის ხმას და გულ-ამოს-კვნით მორთო კვნესა:

— რომ იცოდეთ, რა უბედური ვარ! არც ერთი ქვეყნის კუთხე, არც ერთი ადამიანის გული არ და-მრჩენია მოუვლელი, მაგრამ მაინც ვერსად ვერ ვიპოვე ჩემთვის ბინა. ყველგან მეტადა ვგრძნობდი თავს! ყველგან მტრობა და შური მეცი-ლებოდა ადგილს. დავიღალე მასთან ბრძოლით, დავსუსტდი, უთვალავის დამარცხებით. ღმერთო, ღმერთო! არც ერთი გამარჯვება, არც ერთი გამარჯვება! რა უბედურებაა!..

— მეც მაგ დღეში ვარ, ჩემო სი-ყვარულო, მეც მაგ დღეში ვარ! —მოისმა ხმა სიყვარულის უკან მდგომ ბედნიერებისა:—უბედურებამ დამჩაგრა, არსებობა მომიწამლა, არ-სად არ მომცა ადგილი, არსად არ ამომასუნთქა თავისუფლად! ვერსად დავემალე, ყველგან მიპოვა! ყველ-გან მომისპო ბინა და თითონ გაბა-ტონდა. მთელ დროს უგზო-უკვ-ლოდ წანწალს-და ვანდომებ. ნეტავ ერთ დღეს მაინც მეჩვენებინა ქვეყ-ნისთვის ჩემი სიტკბოება, ჩემი სიამე!..

სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ ქვეყნიდან მომავალი მტრობა და შური და უბედურობა.

**უბედურობა.** ბევრს ნუღარ ჰნატ-რობ, ბედნიერებავ! ეგ ერთი დღეც ჩქარა გექნება: ხვალინდელი დღე მთლად შენ გეკუთვნის, მე ხმას არ გაქცევ, არ გედავები.

**მტრობა და შური.** სიყვარულო! ხვალ ჩვენც თავისუფალი ვართ და ჩვენ სანაცვლოთ ქვეყნის პატრო-ნად მთლად შენ იქნები.

**სიყვარული.** სტყუით! დაგვცი-ნით! მაგ სიკეთეს თქვენ არას დროს არ ჩაიდენთ!

**ბედნიერება.** არც მე მჯერა! უნ-და გვაცდინონ, მერე კი დაგვცი-ნონ.

**უბედურება.** მე მართალს ვამ-ბობ!

**მტრობა და შური.** არც ჩვენ გა-ტყუებთ!

სიყვარულს მაინც [illegible] ეჭვი ეპარებოდა, მაგრამ ამ დროს [illegible] წამოხტა სიხარული, მიცქრიალდა მასთან, მაგრა ჩაეკონა მკერდში და დაუწ-ყო ქღმურტული:

— მართალია, ჩემო სიყვარულო! ჩემო სიხარულო! ხვალ ჩვენ ვიქნე-ბით ქვეყნის პატრონებათ...

**ბედნიერება.** მაშ მე მთელ ქვე-ყანას გავაბედნიერებ ხვალ!

**სიხარული.** მე გავახარებ!

**სიცილ ხარხარი.** მე გავამხიარუ-ლებ! ხა-ხა-ხა-ხა-ხა...

**სიყვარული.** რადგან ეგრეა, მაშ ჩქარა წავიდეთ ქვეყნად! აგერ თენ-დება კიდეც. მე სული მიკაწკაწებს მოუთმენლობით!..

**წამსვლელნი.** მაშ, წავიდეთ! აბა, სიხარულო!

— აბა სიყვარულო!

— სიცილ-ხარხარო!

— ბედნიერებავ!

**უბედურება.** გასწით ჩქარა! რა-ღას უყურებთ! ქვეყანაც იღვიძებს. აგერ, კიდეც გეძახიან, მე მგონი, ყური დაუგდეთ!

**შორეული ხმები.** მწუხარებავ, სად წასულხარ!

— მწუხარებავ, რათ დააცარიელე ჩემი გული!

— მწუხარებავ, რათ გაგინებებია თავი: ჩემ გულს სიხარული სულ-ერთიან არ მიეკარება!

— მწუხარებავ, დაგვიბრუნდი ისევ!

— ნუ დაგვტოვებ უპატრონოთ!

— ჩვენთვის სიხარული არ არის! ჩვენთვის მარტო შენ იყავი და შენც თავს გვანებებ.

— მწუხარებავ, დაგვიბრუნდი!

— დაგვიბრუნდი!

— დაგვიბრუნდი!

ამ ძახილზე ყველანი შეკრთნენ.

**სიხარული.** ღმერთო ჩემო, ეს რა ხმა მესმის!

**შორეული ხმები.** ცრემლებიც გაპარულან, რაღა გვეშველება!

— ეხლა რიღათი ამოვბანოთ ჩვენი დარდი და ვარამი?

— ეხლა რიღათი შევიმსუბუქოთ ტანჯვა?

— დაგვიბრუნდით ცრემლებო! უთქვენოდ ვერ გავძლებთ.

— ვერ გავძლებთ უთქვენოდ!..

— ვერ გავძლებთ უთქვენოდ!..

— აღარც მტრობა და შურია!

— აღარც უბედურობაა!

— როგორღა გავსძლოთ მაშ უი-მათოდ!

**უბედურება.** თქვენთან მოდის სიყვარული! თქვენთან მოდის ბედ-ნიერება!..

**შორეული ხმები.** ჩვენ არ ვიც-ნობთ არც ერთს!

— ჩვენ ბატონ-პატრონად მარ-ტო თქვენ გიცნობთ!

— ნუ დაგვტოვებთ უპატრონოდ!

— მტრობა და შურო! თქვენ ძარღვი ხართ ჩვენის ცხოვრებისა, სად გაგვექეცით!

— დაბრუნდით ისევ!

— მოგვხედეთ ისევ!

— ნუ დაგვტოვებთ უპატრონოდ!

**სიხარული.** მაშ აღარც ერთი დღე!.. როგორ გამიცრუვდა იმე-დი!..

**სიყვარული.** აღარც ერთი დღე!..

**ბედნიერება.** აღარც ერთი დღე!..

**შორეული ხმები.** მწუხარებავ!

— ცრემლებო!

— მტრობა და შურო!

— უბედურებავ!

— ჩქარათ, ქვეყანამ გაიღვიძა!

— ჩქარათ!

— ჩქარათ!

რას იზამდნენ! წამოდგა დაღა-ლული მწუხარება, ჩამოგორდნენ დაქანცული ცრემლები, მობრუნ-დნენ უკმაყოფილო მტრობა და შური, უბედურება და გაემზადნენ ისევ ქვეყნისკენ.

მოიწყინა სიხარულმა, დაღონდა სიცილ-ხარხარი, ფრთები დასწყდა სიყვარულს და შავათ მოიღრუბლა ბედნიერება.

გულმოკლულებმა ვედრებით მი-მართეს ქვეყნად გამზადებულ ცრემ-ლებს.

— ცრემლებო! გევედრებით, გე-მუდარებით, ცოტა მაინც დარჩით ჩვენთან, რომ ვიტიროთ, ვიტიროთ ჩვენი ბედი, ჩვენი გაჩენა და ქვე-ყნის უბედურება-უკუღმართობაც! დარჩით ცრემლებო, დარჩით!

ცრემლებმა გაუგონეს თხოვნა და ცოტაოდენ დარჩნენ მათთან, დანა-რჩენნი კი მტრობასა და შურთან,

უბედურებასთან და მწუხარებასთან ერთად გაეშურნენ უპატრონოდ დატოვებულ ქვეყნისაკენ.

აქ კი სტიროდა სიხარული, სტიროდა სიცილ-ხარხარი, სტიროდა სიყვარული და ბედნიერება და მათ ტირილს შესჩერებოდა ვარდი, ბანს აძლევდა ბულბული, ყურს უგდებდა მიმქრალი მთვარე.

მზე კი ამოდიოდა ლიალად, ნელად და ათენებდა აღდგომა დღეს.

ლევ. მეტრეველი.

## „სინიდისი უნდა აღდგეს!“

ლიტანიობის ღამეა.

ნიავი ოდნავ ირხევა. ცა მოწმენდილა. იმის ლურჯს სივრცეში, მოციმციმე ვარსკვლავებს შორის, დინჯად მისცურავს მთვარე. იგი დასავლეთისკენ მიეშურება, ვით დაგვიანებული ხომალდი ნავთ-სადგურისკენ...

ბუნება ხარობს, რა იგემა გაზაფხული. დედამიწამ იგრძნო თოვლის ტვირთის აღგვა და, გაზაფხულის თბილის ჰაერით გაცოცხლებული, სასიამოვნოდ ამწვანდა.

— დინნ, დინნ, დინნ!..

გაისმა სოფლის ეკლესიის ზარის ხმა, რომელიც ნიავმა მთელ ხეობაში მოჰფანტა.

„შუა წირვაა!—წარმოსთქვა თავისთვის შარა-გზაზე მიმავალმა და სამჯერ პირჯვარი გამოისახა.—იქნებ წირვის გამოსვლას მიუსწრო?“—განაგრძო ფიქრი ფეხის აჩქარებით.

მიმავალი თავის აჩრდილს დაჰყურებდა, რომელიც იმის წინ ხან გაწვრილ-გაიჭიმებოდა, ხან-კი დამსხვილ-დამოკლდებოდა, ისე რომ ზოგჯერ აჩრდილის თავს ფეხსაც-კი დაადგამდა ხოლმე.

ამ აჩრდილით იყო გართული მგზავრი, როცა შავ-მიწებს მიუახლოვდა. აქ მიმოიხედა, მახლობლად თვალი მოჰკრა ამწვანებულ ჯეჯილს და გაახსენდა თავისი წარსული.

„ბევრჯელ გამიტარებია აქ ლამის მეხრედ!—წარმოუდგა ყმაწვილობა:—აგერა, აი იმ ხის ძირში იყო, რომ ქიტამ დამახეთქა... ქიტა ყოველთვისა მჯაბნიდა... ახალ თობაშიაც ასის თაობა იმან ირგუნა.. ძალიან მოხერხებული ბიჭი იყო.. არა, ნინუცაც რომ გადაიბირა..—ცოტა არ იყოს გულის ტკივილით მოიგონა ეს ამბავი, მაგრამ მალე თავი ინუგეშა:—ბოლოს ხომ ვაჯობე და გადაუხადე. ღვთის წყალობა გაქვს, მე იმას დღე დავაყენე! ის თუ ასის თავი იყო ახალ თაობისა, მე რამდენიმე სოფლის ბატონი გავხდი!“

სთქვა ეს და ამაყად გადაჰხედა მაღლობზე შეფენილ სოფელს, მაგრამ, რა გაახსენდა მიზეზი დაბრუნებისა, მოღერებული თავი დაჰხარა და ფეხს უკლო, თითქო მოიღალაო.

მგზავრი კვლავ ფიქრებს მიეცა. გაიხსენა, რომ უკვე დათხოვნილი იყო და ამან გული დასწვა.

„სულ ქიტას გამო ჩავიდინე... ყველაფერში მჯაბნიდა. პირველობდა:.. ნინუცამ, რომელიც მე მიყვარდა, დამიწუნა. ქიტას დაენიშნა... მაგრამ ეხლა ხომ ქიტა აღარ არის! ნინოც ნანახია... ეს ყველამ იცის და ამიტომ ვერც გათხოვდება. ნინომ არც-კი იცის, ვინ იყო... მე-კი არ მოვერიდები...—ცოტა დაფიქრდა, მერე თავი მაღლა აიღო და სთქვა:—რა ძაან მოვახერხე, რომ ვერ მიცნო... მეორე დღეს-კი ქიტას ცუდი დღე დავაყენე. ბევრი ითმინა. კერპი კაცი იყო, კერპი!.. რამდენი ვცემე მათრახით... მთელი მდინარეები ყინვაში ფეხშიშველა ვატოპინე და ერთხელაც არა მთხოვა, არც არას მეუბნებოდა, მხოლოდ თავის დიდრონ თვალებს მაშტერებდა“...

ამ ფიქრში იყო მგზავრი, რომ სოფელში შევიდა.

— დინ, დილი, დილი, დონ! დინ, დილი, დილი, დონ!—მოისმა ხელ-ახლა დიდი და პატარა ზარების რეკა.

ეკლესიიდან ხალხი გამოდიოდა და ერთმანეთს მხიარულის სახით „ქრისტე აღდგა“-ს ულოცავდა. მაგრამ ეს სიმხიარულე ეკლესიის კარებამდე ეხატებოდათ, მერე-კი, სასაფლაოს დანახვაზე, ყველას სახე ეღრუბლებოდა. მხოლოდ ბავშვები იყვნენ ჟღავი-ჟღუვში. ესენი დარბოდნენ, ერთმანეთს ელაზღანდარებოდნენ და წითელ კვერცხებს უკრავდნენ.

— ქრისტე აღდგა!—მიულოცა ახლად მოსულმა მგზავრმა სოფლელს, მაგრამ ისე გაუბედავად, თითქო ერიდებაო.

— ჭეშმარიტად აღ...—ჩვეულებისამებრ დაიწყო სოფლელმა, მაგრამ რა დააცქერდა მისულს, ხმა ჩაუწყდა. მერე ზიზღით პირი მიიბრუნა და მწარედ გაიღიმა, რა შეამჩნია ახლად მისულს მხრებზედ უქონლობა ნიშნებისა.

—შენთვის ხომ არა დამიშავებია რა?.. მორცხვად მიმართა მისულმა.

—ჩემთვის არა დაგიშავებია რა?!. მაგრამ ქიტა? ქიტა ხომ აღარ აღდგება.. ნინო, ჩემი დაც, ხომ მას გაჰყვა..

— ნინო?!,..—უცბად წამოიძლავლა ჩუმად მგზავრმა და გულ დაფუფქუივით მთლად მოიკრუნჩხა.

— ჰოო, ნინო!—მოისმა სწორედ აქროს, ცოტა მოშორებით, საფლავზედ დამხობილ დედაკაცის მტირალი—აღდგომაა, შვილო, ქიტოს გვერდითა ხარ, გენაცვალე, შვილო... იქ ხომ მაინც ერთათა ხართ შვილო...

— გესმის?—ანიშნა ნინოს ძმამ—გაიწი, მას მიულოცე აღდგომა...—დუმატ მანვე.—გეგონა მამასახლობას მოგცემდნენ! შენში ქრისტე-კი არა, სინიდისი უნდა აღდგეს, სინდისი..—უთხრა ესა და ზიზღით დატრიალდა დის საფლავისაკენ.

ამ დროს მთვარე ჩაესვენა და არე-მარე სიბნელემ მოიცვა.

ახლად მოსული მარტო დარჩა საფლავებს შორის, ისე როგორც წლიან გზაში. ხოლო წელან სხვა იმედით მოდიოდა და მთვარეც გზას უნათებდა, ეხლა კი სიბნელეში იყო, სასაფლაოზე, მარტო, ყველასაგან მიტოვებული.

„იუდა, იუდა! გამცემელო!“—ჩასჩურჩულებდა იდუმალი ხმა.

ნინოს საფლავზე ამ დროს სანთელი ციმციმებდა. ეს სანთელი ნინოს სახედ წარმოუდგა. იგი ხელს უქნევდა და ეძახდა: „შორს, არ მომეკარო, მკვლელო, მოღალატევ?“

გათენდა, მზე ამობრწყინდა. მან თავის სხივებით მიულოცა არე-მარეს, ყოველ სულდგმულს, ბუნებას. ეს იგრძნეს ფრინველებმა და ჭიკჭიკ-გალობით მიედვნენ მიდამოს.

ყველა მხიარულებდა, არ იყვნენ მხიარულ გუნებაზე მხოლოდ ზემოხსენებულ სოფლის მოძღვარი, დიაკვანი, მნათე და სასაფლაოს მახლობლად მცხოვრები გლეხები, რაკი მნათემ ამ აღდგომა დილას შენიშნა და სხვებმაც იხილეს ახლად გარდაცვალებულ ნინოს საფლავზედ მკვდარი ქიტო ჩაფარი. გიტოს, იმ ღამეს დაბრუნებულს, თავი მოეკლა, რის ნიშნათაც რევოლვერი მარჯვენა ხელში მაგრა ჰქონდა ჩაბღუჯული. ს. გ.

## აპოლლონთან

გაზაფხულია. ოცდა-ცხრა მარტი. მაღალი მთა. დაბლა ისლის ჩაწოლილი. მის ფერდობებზე ქართველი პოეტები, არტისტები და მოღვაწენი მიდიან. დაღლილობა ეტყობათ. ხელში ყველას თავისი თხზულება უჭირავს. ერთს ზურგზე ხურჯინით ბატკანი და ტიკით ღვინო ჰკიდია.

**ყველანი.**

გზა გაგრძელდა, ვერ მივაღწევთ
აპოლლონს!
წინ მივდივართ, ისევ კი ვართ ტყის
ბოლოს!

**სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება.**

აპოლლონს უნდა მსხვერპლი შევ-
| წიროთ,
წყალობის თვალით იქნებ მოგვხედოს
და აწ მწერლობა დამცირებული
კვლავ აღადგინოს და აღაყვაოს.

მას მუზა ტყვედ ჰყავს,
აღარსად უშვებს;
არ ინდობს, სევდით
გულ-მკერდსა უვსებს!

**ყველანი.**

რა გვეშველება,
გაგვიწყრა ზეცა,
მწერლობა ჩვენი
ულვთოდ დაეცა!

**ლევ. მეტრეველი.**

(დიდი ფიქრის შემდეგ შუბლზე თითს მიიდებს)

მიზეზი ჩვენ ვართ,
ჩვენი ბრალია;
წიგნებს არა ვცემთ
ყველა მწყრალია.
მკითხველი არ გვყავს,
ვივიწყებთ წარსულს;
შორს გავურბივართ
საქმეს კულტურულს!

**შალვა დადიანი.**

(დინჯად)

წიგნი დასტამბო,
მასალა არი?
რომ არას ვწერავთ,
ჩვენია ბრალი?!

**დუტუ მეგრელი.**

(სწრაფად)

ება რას ბრძანებთ,
ვით გეკადრებათ:
ხელთ ნაწერთ დათვლაც
გაგიძნელდებათ!
თუნდ, მაგალითად,
ჩემი ტომები,
ავავსე, ვფიცავ,
დიდი ტომრები!
მერე, მეუღლემ
რამდენი სწერა,
რედაქციები
მით შეაჯერა.
მხოლოდ არ არის
გამომცემელი;
რედაქტორს მისცემ—
დაბეჭდვას ელი.
მაგრამ დაბეჭდვა
არ ელისება,
უკანვე მგაქვს,
თან გეტირება.
ვაი საბრალოთ
რა გვეშველება?

(ცრემლებს იწმენდავს)

**რედაქტორები.**

ეგ ტყუილია,
ცილის წამება,
მოწამე არის
მაღლა სამება!

**გოთუა.**

(შემპარავის ღიმილით)

გთხოვთ რუსულად სთქვათ,
არ მეყურება:
რედაქტორებზე
ვინა ჯავრდება?

**რედაქტორები.**

მაგრამ წერილი
თუ არის გრძელი,
დაბეჭდვა მისი
მართლაა ძნელი!

**ყარიბი.**

(ფოთხურად)

გაცხარებული მსჯელობთ საგანზე,
ყველას კი თვალი დაუხუჭია.
მიზეზი ჩვენის დაქვეითების
გესმოდეთ ჩვენიც—მხოლოდ კუჭია!
გამაძღარი ვარ—კარგად ვაზროვნობ,
წერისათვისაც გერჩის გულია.
ნაწერს ბაზარი აღმოვუჩინოთ,
ხელთ ვიგდოთ, ძმებო, ბლომად ფუ-
| ლია!

**რობაქიძე.**

(გულხელ დაკრეფილი)

ფილოსოფიას დაჰშორებიხართ,
სოლოვიოვსა არა სცემთ პატივს,
მიტომაც არის თქვენი კალამი,
რომ მიებარა „ხეთქილად“ არხივს!
სალონებსაცა თქვენ ერიდებით,
„სკვნას“ არ აკეთებთ „გამიზნულა-
და“;
„შეუცნობელი გენიალობა“
გაჰქრა ამიტომ ამა სოფლადა!
მე თქვენ დაგიწერთ დიდ თეორიას,
თუ მადიდებთ და მარად მცემთ თაყვანს,
მაშინ მწერლობა ჩვენი აღსდგება,
დახშული სხივი კვლავ გაბრწყინდება!

**გიგო დიასამიძე.**

(ცმუკავს)

მართალსა ბრძანებს
ჩვენი გრიგორი,
მას ენაცვალოს
ტფილისი, გორი!..

**გვაზავა.**

(ამაყად)

ვინ სთქვა დაეცა
ჩვენი მწერლობა?
ეს სიცრუეა,
მხოლოდ ყბედობა!
ჩემი ლექსები
გადაიკითხეთ
და „დაეცა-თქო“,
შემდეგ იკითხეთ!
აი, ნიმუშსა
აქვე მოგიყვანთ,
მისი მუსიკა
ზეცას აგიყვანთ:
„აგერ ლევანი,
„იქვე მტევანი.
„სუფთა ქუჩები,
„ნაზი ტუჩები.
„დავეკონები,
„შიგ ჩავიქცევი
„და გავიქცევი.
„კეთილი მუზა
„აქ აიტუზა
„ჯანს, ვით ლეჩაქი,
„აცვია ბლუზა...“

**ევდოშვილი.**

(აწყვეტინებს)

და ცრუ გვაზავას
გვერდს წიხლი სდრუზა!
ეს იკმარე ჯერ,
კიდევ დაგიწერ!

(გვაზავასა და ევდოშვილს ჩხუბი მოუვათ, მაგრამ სქელი რედაქტორი შუაში ჩადგება და გააშველებს. გვაზავას ცილინდრი დაუგორდება. რობაქიძე ჯოხით დაიჭერს, მაგრამ იმასაც მოსძვრება ცილინდრი და ფერდობზე დაგორდება)

**სიტყვა**

(შემკრთალი)

საქმე ჩხუბზედა აქ მიდგა რაკი,
თქვენთან აღარ მსურს მე ლაპარიკი.

(განზე გავა და მარტო სიარულს დაიწყებს).

**კრიტიკოსი.**

(ჰამლეტისებურად)

მგოსნებო, ჩხუბი
არ გეკადრებათ!

**ია ეკალაძე.**

(პირში მიჰყარდება)

თქვენ მწერლობისა
რა გაგეგებათ?!
თქვენი ბრალია
ჩვენი დაცემა,
უბრალოდ იცით
ქება და ცემა!
ხშირად კრიტიკი
ნიჭს ახშობს და ჰკლავს.
რა გულწრფელადა
არ განიხილავს!..

**თომაშვილი.**

„მტირალა მწერლებს“ დღეს აღ-
| მერთებენ,
მიტომ დაეცა ჩვენი მწერლობა!

**არტისტები.**

ვაჰ, რომ იცოდეთ, ჩვენ რა დღეში
| ვართ,
ჩვენიცა ნახეთ საცოდაობა:
ძალით დაგვპარსეს ულვაში, წვერი,
კუჭი კი არის მაინც მშიერი!

**რეცენზენტი.**

თქვენ მაგ სასჯელის
სწორედ ღირსნი ხართ:
როლებს არ სწავლობთ,
სცენა არ გაყვართ!

**ვ. გუნია.**

(ბარბაცით)

დასაბამიდან დღევანდელ დღემდე
გადაგვარების გზას დავდგომივართ;
ხალხს ჩვენა ვძულვართ, ხალხი ჩვენა
| გვძულს,
ერთი ერთმანეთს ვერ მივნდობივართ!

**სვიმონ ყიფიანი.**

(გუნიას სიტყვას ჩამოართმევს)

და აბა მითხარ, როგორ აჰყვავდეს
ჩვენი მწერლობა სიტყვა კაზმული,
როცა გულწრფელად არა ვმუშაობთ
და არ მიგვიძღვის წინ სიყვარული!

**ეშმაკი.**

(ჯოჯოხეთიდან ამოძვრება. მოტვლეპილ თავზე რქები ამოსვლია. ტიტველა ტანზე წამოსასხამი აქვს წამოფარებული)

მე დაგიმტკიცებთ, რომ თვით წინა-
| პართ
ჩვენი სამშობლო არ ჰყვარებიათ!

**გოგებაშვილი.**

(პირზე ხელს დააფარებს ეშმაკს)

აბა, რას ამბობ? სხვამ არ გაგიგოს,
მაგის თქმა სწორედ მეტად ძნელია!
ყმაწვილო, ეგ ხმა შორს გავარდება
და „დედა-ენა“ არ გასაღდება!

**აკაკი.**

(ღიმილით)

უჰ, დავილალე!.. ცუდი გზებია!..

**რუხაძე.**

(რიხიანად, მუშტებ მოღერებული)

ამხანაგებო! ვიწამოთ ძმობა,
წითელი დროშა ავაფრიალოთ,
ქვეყნადაც ყველა პროლეტარდება,
მაშ მწერლობაცა კვლავ აყვავდება!

(უცბად მიიმალება)

**სილოვან ხუნდაძე.**

ჩემ ლექსებსა არ ბეჭდავენ,
ყველა მე ერთს მემტერება!
თუ „თანს“ დავწერთ „დონის“
| ნაცვლად,
მსწრაფლ მწერლობა აყვავდება.

**აზიანი.**

„კრუგომ“ საქმე გამიჭირეს,
აღარ ვიცი, „ჩტო მნე დელატ“;
აღარას ვწერ და დაეცა
ეს მწერლობა მიტომ ხელად!

**ილია ნაკაშიძე.**

გოჭებსა ვჭამთ,
ღვინოსა ვსვამთ,
აღარ ვეტრფით მწვანილ-ბალახს,
ტოლსტოი მთლად დაგვავიწყდა...

**ნინო ნაკაშიძე.**

(აწყვეტინებს)

ილო ამბობს სწორედ მართალს!

Bâton.

ვსთქვი: აღსრულდა! და აღსრულდა!
ვამჯობინეთ გიტარა თარს.
რად ვღალატობთ უსირცხვილოდ
სოციალურ დიდ პრობლემას?
წავხდით, ძმებო, გადავგვარდით,
სხვა იჩემებს სიონს, გელათს!
ვაი ჩვენ თავს: რას უშველი
ამდენ უჭკო დეგენერატს?!

**ნ. ლორთქიფანიძე**

ქართველს რჯული დაავიწყდა,
ერთის ნაცვლად ათ ცოლს ირთავს!

**ს. მგალობლიშვილი.**

(დაღლილი ოფლს იწმენდს)

მძიმეთ იარეთ, რა მიგაჩქარებთ:
„სანთელ საკმელი გზას არ დაჰ-
| კარგავს!“

**ახალგაზრდა არტისტისტები.**

სად მივდივართ, რომელ მხარეს?
რად მოგვაკლეთ ჩვენ სიამეს:
„პურ-ღვინო“-ში ვქეიფობდით,
ხან ვმღეროდით, ხან ვჩხუბობდით!

**შიო არაგვისპირელი.**

...ქარი სისინებს!?!?.. ნისლმა
| მოიცვა!!!!!
...ლაღმა ოცნებამ ფრთა შეიკვეცა!!!
და ამიტომაც, მამულიშვილნო,
ჩვენი მწერლობა ასე დაეცა!!..

**შიო მღვიმელი.**

ჩიტები და ჩიორები
ფრთას ფრთას სცემენ, გვიგალობენ;
მწერლობასა ვით აღვადგენთ
ყურს არ ვუგდებთ, ვერ გვატკბობენ.

**გოგიჩაიშვილი.**

(ღრმად დაფიქრებული)

გავამრავლოთ ქართველები,
ამოვკვეთოთ სტუმრობა;
ჰიუმორი არას გვარგებს,
ავუკრძალოთ ხუმრობა!

**ლევ. ყიფიანი.**

(გულზე ხახატუროვის სურათი ჰკიდია)

ჩივით და გოდებთ, ყველას ემდურით
და შეაჯერეთ მთელი დუნია;
ვერ გაგიგიათ, დაქვეითების
მიზეზი არის მხოლოდ გუნია!

**გიგო დიასამიძე.**

(გაბრაზებული)

როგორა ჰბედავ, რომ რობაქიძეს
უშვერი სიტყვით შენ იხსენიებ?

**ლევ ყიფიანი.**

თქვენ მოგელანდათ, კნიაზო გიგო!

**გიგო დიასამიძე.**

დუელში გიწვევ, არ გაპატიებ!

(ხელ და ხელ დუელი გაჩაღდება. ყველანი ყურებში თითს დაიცავენ. ორივე მოპირისპირე ცახცახებს და გულში ნანობს, რომ დუელამდე მივიდა საქმე. შიშისაგან თვალებს დახუჭავენ, კისერს მოიბრუნებენ და ისე გაისვრიან ჰაერში. დუელი უვნებლად გათავდება.)

**ზანგი.**

ტყუილად ეძებთ მიზეზს, მგოსნებო,
მიზეზი თვით ხართ, ცრუ კალმო-
| სნებო!
არ იცით, თქვენი სწავლა-დიდება,
რომ სუსტ კურდღელსაც აეკიდება?!
კულტურულადა არა ვმუშაობთ,
ობიექტიურად გვძულს ჩვენ მსჯე-
ლობა;
სუბიექტიურად დავასკვნათ ხოლმე
და აყვავდება ჩვენი მწერობა!

**ახალგაზრდა მგოსნები.**

(რაღაცა უნდათ სთქვან, მაგრამ ენას ვერა სძრავენ და საცოდავად დუდღუნებენ. ყველას ნისლი დაჰფარავს. საშინელი ჩქამი წამოვარდება. ნისლი გადირბენს და გამოჩნდება საუცხოო სანახავი: მაღლა ოქროს კოშკი სდგას, რომლის გვერდითაც დიდი ბაღია და მუზები დაფრინავენ. რა დაინახავენ, ახალგაზრდა მგოსნები აღტაცებით დაიძახებენ)

აპოლლონის კოშკს მოუახლოვდით!..

**ყველანი.**

როგორ მოვიქცეთ, ვინ დაუძახებს?

**რობაქიძე.**

მოდით, მივგზავნოთ ქალი-მგოსანნი,
ის უფრო მეტად პატივს სცემს ქალებს!

(დემუტაცია ამოარჩევენ და ხმის უმტესობით გაჰგზავნიან გუნდეგილ და ნინო ...)

**ევდოშვილი.**

დავკლათ მსხვერპლი ... ... -
| თოთ,
აპოლლონს კრძალვით მსხვერპლი
| შევწიროთ;
მაგრამ, რა გითხრათ, სულ დაგვა-
| ვიწყდა,
ზედაშეს ვინღა დაამწყალობნებს?

**ყველანი.**

„უიარაღო“ გამოცდილია,
ბიბლიურ ჰანგზე ის იგალობებს!

(ბატკანს ჰკლავენ, ცეცხლს ანთებენ და სამსხვერპლოზედ სდებენ. ბოლი მიწას გაეკვრება, ნიშნად მსხვერპლის აპოლლონისაგან არ მიღებისა. ერთმანეთს შემკრთალნი შეჰყურებენ. შემდეგ ერთმანეთს ხელებს გადაბავენ და სამსხვერპლოს გარშემო უვლიან. „უიარაღო“ მხურვალედ ლოცულობს. ყველანი ერთხმად შეჰღაღადებენ აპოლლონს და თან ტრიალებენ:)

ჰოი აპოლლონ,
მუზათ მფარველო,
რად დაივიწყე
აწ საქართველო!
რისთვის დაეცა
ჩვენი მწერლობა,
რისთვის მოგვაკლე
შენი წყალობა?
ჩვენც გადმოგვხედე,
მოიღე შრომა,
ჩაგრულთ გვაღირსე
კვალად აღდგომა!..

(ბაღიდან აპოლლონი გამოდის. ხელში ჩანგი უჭირავს).

**აპოლლონი.**

რისთვის გარჯილხართ,
რის მთხოვნელნი ხართ,
რა გინდათ ჩემგან,
რა აღგისრულოთ?

**ყველანი.**

(სხვა და სხვა კილოსა და ხმაზედ)

უმორჩილესად გემუდარებით
ჩვენი მწერლობა კვლავ აღადგინო:
მუზა ტყვედა გყავს,
კვლავ დაგვიბრუნე,
სული ჩაგვიდგი
და მოგვაბრუნე!

**აპოლლონი.**

(მრისხანედ)

ცრუ-მორწმუნენო,
წადით გამშორდით,
არა ხართ ღირსნი
მოწყალებისა!
შურით და მტრობით
ხელმძღვანელობდით
დამღუპველნი ხართ
ობოლ ერისა!
მარად ზარმაცნი,
ამპარტავანნი
ჭორით აღვსილნი,
გულით მრუდენი!
ნიჭი ციური
ვერ მოიხმარეთ,
ამაოდ განვლეთ
თქვენ თქვენი დღენი!
ან ეგ პოეტნი,
ახალგაზრდანი,
ხომ მივეც ნიჭი,
რას აკეთებენ?
დაუკრეფიათ გულზე ხელები
ბუზებსა სთვლიან
და ამთქნარებენ!..

(ხელს გაიშვერს)

ჰხედავთ დიდებულ
წმინდა აჩრდილთა?

(უცბად ბაღს ნისლი გადეყრება და მშვენიერ ხეივანში გამოჩნდებიან აჩრდილნი: შექსპირისა, შილლერისა, გიოტესი, ჰეინესი, ბაირონისა, შოთა რუსთაველისა, ბარათაშვილისა, ილია ჭავჭავაძისა და სხვა მგოსნებისა. ეშმაკი რა დაინახავს ამას, საცოდავად დაიკლაკნება).

მაგალითისთვის
მიჰყევით მათ კვალს,
თორემ დაამხობთ
ტურფა ედემსა,
ვერ ეღირსებით
დიად მომავალს!
დღეს კი გამშორდით,
ზევსმა არ გნახოთ,
თუ დაგინახათ—
არ შეგიბრალებთ:
ყველას შესაფერს
ძღვენსა მოგიძღვნით
და მთებს სირბილით
გადაგატარებთ!

(აპოლლონი მძიმედ შორდებათ. ბატკანი და ვაგა თავისთან მიჰყავს. მიიდრუბება. ასტუდება საშინელი ქუხ-ქუხი-

ლი. ზევსი მეხს ჩამოაგდებს. ღვდა მიწა ზანზარებს. ირგვლივ დაბნელდება. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გამოიდარებს და ასტრტეელა გამოჩნდება. ქართველ მოღვაწეთ შესაფერი ჯილდო მიუდიათ: ზოგს სახე გაჭმუჩვია, ზოგს ენა ჩაჭვარდნია, ზოგს კალამი მუაზე გასტეხია და ზოგიც მეხს შთაუნთქავს. რა დაინახავენ აკაკისა და ვაჟას აპოლლონთან, შურით აღიგზნებიან. ზოგი იმუქრება და ზოგიც მუშტს იქნევს. ილია ელეფთერიძე მაღლობზე შემდგარა და რაც ძალი და ღონე აქვს, სჭექს და გრგვინავს, ხოლო მეორე ფერდობზე გ. გუნია, ი. ევდოშვილი, ია ეკალაძე, ნარჟანი, შ. მღვიმელი და ზოგიერთი სხვა არტისტები და პოეტები სამსხვერპლოს მოსხდომიან, ცანჭებით სადღეგრძელოს სვამენ, მაგრამ მღერის ნაცვლად საცოდავად ტირიან).

გარდანქეშანი.

# „ქრისტე აღსდგა!“

გათენდა.

მთებს იქით წითლად ამოვიდა მხიარული ვეებერთელა მზე. სახე მდიმარემ თავისი ოქრო-სხივები უხვად გადააპნია თავისს მოწყენილ მეგობარს, მუდამ დაღვრემილს მიწას, და ღიმილით გადმოსძახა:

— ქრისტე აღსდგა!

მიწამ ხმა არ გასცა, მხოლოდ ერთი მწარედ გაიღიმა და ისევ შეიკრა წარბები.

მზე მაინც მხიარულის სახით გადმოჭყიტოდა. ვეებერთელა შავი მიწა მზის სხივებში სცურავდა, მითი სუნთქავდა და ითბობდა ტანს. იმის ველ-მინდვრებში მწვანე ნაზ-ფეროვანი ხავერდი გაშლილიყო. ხე-ბუჩქები, ყვავილთა კაბებში გამოწყობილნი, ნაზად ეღიმოდნენ ძირს მიწას და ზევით ცას. როცა მათ შეაფრქვია მზემ თავისი ცხოველ-მყოფელი სხივები და მხიარულად გადმოსძახა, „ქრისტე აღსდგაო“, ისინი მორცხვად შეირხნენ და ნაზ-ყვავილთა პირით უჩურჩულეს:

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტადაო.

მიწა მალე ახმაურდა. პირველად გამოვიდნენ ჩიტნი, შეიბერტყეს ფრთები და გავარდნენ მინდვრად.

— ქრისტე აღსდგა!—ახარა ჩიტუნიებს მზემ.

ჩიტებს ეს მეტად გაუხარდათ, შეხტნენ, შეკოპწიალდნენ და შეჭყივილხივილეს მხიარულ მზეს:

— ჭყ-ჭყ-ჭყ! ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად! ჭყ-ჭყ-ჭყ!—და გავარდნენ თავიანთ საქმეზე.

მზემ ღიმილი განაგრძო.

გამოვიდნენ ადამიანნი, მაგრამ არა მხიარულნი, თვით მიწასავით დაღვრემილი ადამიანნი.

— ქრისტე აღსდგა!—ახარა მათ მზემ.

მაგრამ მათ პასუხი არ გასცეს. და ეს იყო სიმართლე, რადგან მათი გული არა გრძნობდა არავითარ „აღდგომას“.

მზემ მაინც განაგრძო თავისი მხიარული ღიმილი.

როცა მზემ კარგა ამოიწია, გამოვიდა მეორე წყება ადამიანთა. მათი სახე კმაყოფილი და მოცინარე იყო, როგორც მზისა. გამოჩნდნენ თუ არა, მზემ მაშინვე მიუღოცა

— ქრისტე აღსდგა!

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად!—უპასუხეს მათ.

და ეს იყო სიცრუე, რადგან გული მათი არ ჭეშმარიტობდა.

მზე მიწას გადმოსცინოდა.

გამოვიდნენ პატარა, მეტად მკვირცხლი, მხიარული ადამიანები. მზემ მათაც გადმოსძახა:

— ქრისტე აღსდგა, ბავშვებო!

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად!—მხიარულად აჭყივლეს და იმის ყვითელ სხივებზე წითელი კვერცხები შეათამაშეს. ეს იყო წმინდა, უანგარო პასუხი.

მზეს გაუხარდა, კიდევ უფრო ფართოდ გაიღიმა და მთელი გულით გადმოაწვა მიწას, უხვად მოჰფინა მისს ზურგზე სხივები და გაუხურა ტანი: უნდოდა გამხიარულებინა და მიეღო იმისაგან პასუხი: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტადაო.“

მაგრამ მიწა სდუმდა და, დაღვრემილი, ჩუმად ბუტბუტებდა:

— მე მაგით გული ცივი მაქვს. მათბობ, მათბობ მაგრამ არა გამოდის რა... ადამიანებსაც შიგ გული ცივი აქვთ: ვინც გეუბნება—ჭეშმარიტადაო, ის ჩემი ცერია, ის გატყუებს, ვინც არა—ის ჩემი ღვიძლი შვილია, ის მართალს ამბობს: მისთვის ჯერ კიდევ არ მოსულა აღდგომა...

მიწამ თვალები გაადო და მოწყენილად აჰხედა მზეს, მაგრამ რა ნახა მისი კვლავ მხიარულად მომცინარე სახე, მწარედ ჩაიცინა, მაგრა ამოიხვნეშა და კვლავ დახუჭა თვალები.

მზე, მხიარული, უველაფერს გადმოსცინოდა და ახარებდა:

— ქრისტე აღსდგაო.

მორტა.

# ნუცა

(თარგმანი)

სახლში არავინ იყო. ყველანი სასყიდლებისთვის წასულიყვნენ. სადღესასწაულოდ ვემზადებოდით. იატაკი ახალი გაპრიალებული იყო და მასტიკის სუნს აყენებდა ოთახში. ფანჯრებიც ახალი დაწმენდილი იყო. სუფთა, თეთრ ჩარჩოებში შუშები აღარ ემჩნეოდა. ღია სარკმლიდან თბილი, ნაზი ნიავი შემოდიოდა.

ეტყობოდა ღამეც ასეთი, თბილი და საამო უნდა დამდგარიყო.

რბილ სარეცელზედ ვიწექი და წარსულზე ვოცნებობდი... ვიგონებდი, რომ იმ წელსაც, როდესაც გიმნაზია გავათავე, აღდგომა ასევე გვიანი იყო.

საშინელი წელიწადი იყო ჩემთვის ეს წელიწადი!

ეგზამენებისა არ მეშინოდა და თვით აღდგომამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ მე ნამდვილად „მომწიფდი“, და მართლაც კარგად ვიცოდი საგნები, „მეცნიერება“. დარწმუნებული ვიყავი, რომ უკვე კარგად ვიცნობდი თვით ცხოვრებასაც და, საერთოდ, ხალხს ყველა მისის ავკარგით, მეტადრე ქალებს მათის სულიერის სალაროთი. სულ ოცის წლისა ვიყავი, მაგრამ ბევრი რამ გადამხდოდა თავს. ერთ-ხანად ნუცას პეტროვას საქმროდაც ვითვლებოდი.

პეტროვიანთ ოჯახში ხშირად მოდიოდა ხოლმე სტუმრად ანჟელიკას ძმის-წული, ოცდა-ათის წლის ნიჭიერი მექანდაკე ჟორჟ ლებრიუმენი. შთამომავლობით, როგორც ნინუცას დედა-ანჟელიკა, ისე ესეც ფრანგი იყო მაგრამ რუსეთში აღიზარდა.

ჟორჟი მხიარული და ცქვიტი იყო. ყველაზედ ძალიან უყვარდა თავისი ხელოვნება და ქალები. იგი თითქმის ნახევარ წელიწადს სცხოვრობდა პარიზში, მხოლოდ დღესასწაულებში და საზაფხულოდ მოდიოდა ხოლმე რუსეთში ნათესავებთან. ყოველთვის მოჰქონდა ხოლმე ნინოსთვის ძვირფასი, საუცხოვო საჩუქრები ტყავისა ან ლითონისა, მომეტებულ ნაწილად როდენის ქანდაკების ასლები.

ერთხანად ჟორჟს ჩემს საუკეთესო მეგობრად ვთვლიდი.

ნინო არა ჰგავდა არც დედას, არც ბიძაშვილს. მუქი ცისფერი თვალები შავისა და გრძელის წამწამებით დაღია, მოწითალო თმა არ უქადდა დიდს სილამაზეს. ამასთან იგი მძიმე, უმოძრავო იყო, ლაპარაკობდა ნელის ხმით, თითქო ყელის ავადმყოფობა ჰქონია როდისმე. არასოდეს არ მინახავს ნინო ერთნაირს გუნებაზე. ხშირად დახუჭავდა ხოლმე თვალებს, აიზზექდა ცხვირს და დიდ-ხანს იჯდა ასე გაუნძრევლად, მხოლოდ ნეტარი ღიმილი-ღა აძლევდა იმის სახეს სიცოცხლის ნიშანს. მოხდებოდა ხოლმე აგრეთვე, რომ ნინო უცებ, უმიზეზო წამოხტებოდა, გაიქცეოდა თავის ოთახში, წაწვებოდა ლოგინზედ და ჩუმად ტიროდა. მე მაშინ მოვუჯდებოდი ხოლმე გვერდით ან დავუჩოქებდი წინ, დავუკოცნიდი ხელს და ოდნავის ჩურჩულით ვეკითხებოდი:

— რა არის ნუცა, რისთვისა სტირი, გენაცვალე?

და ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს ვიღებდი:

— მეც არ ვიცი, ღმერთმანი... ასეა საჭირო.

კარგად არა სწავლობდა, მაგრამ ბევრს კი კითხულობდა და მშვენიერადაც ხატავდა. თავისი ტოლ-ამხანაგები და საერთოდ საზოგადოება ისე რიგად არ უყვარდა, ყველას გულცივად ეკიდებოდა.

ნინოს მშობლები მე ისე მიცქეროდნენ, როგორც ჯერ კიდევ ბავშვს. მოსწონდათ ჩემი სიწყნარე, სისუფთავე და კიდევ ის, რომ კარგად ვლაპარაკობდი ფრანგულად.

ხშირად მე და ნინო სრულიად მარტონი ვრჩებოდით ხოლმე სახლში. ნოემბრის გასვლამდე ჩვენ უკვე კარგად ვიყავით ერთმანეთთან დაახლოვებულნი. შენობითაც ვლაპარაკობდით. ყოველი ჩემი მასთან მისვლა დაიწყებოდა ხოლმე იმით, რომ მე ხმა მაღლა ვუკითხავდი წიგნს, ის კი ამ დროს რამეს ხატავდა. როდესაც დაბნელდებოდა, გადავიდოდით სასტუმრო ოთახში, დავსხდებოდით ერთად სუფრაზედ და დიდხან არ ავანთებდით ხოლმე სანთელს.

არც იმაზედ ვფიქრობდი ბევრს, თუ რა იყო ზრდილობიანი და რა არა. მივაყრდნობდი ხოლმე თავს იმის თბილ, ნაზ გულ-მკერდს და ვგრძნობდი, როგორ მისვამდა ნინო თმაზედ ხელს, მესმოდა, როგორ უცემდა გული... ოჰ, რა კარგი იყო ყველა ეს.

ზოგჯერ ჩამიჯდებოდა ხოლმე ნინო კალთაში, მომეხვეოდა ყელზე და მეტყოდა:

— დახუჭე თვალები!

მეც დავხუჭავდი თვალებს და ვგრძნობდი, როგორ ეხებოდა ნინოს ნაზი ტუჩები ჩემის თვალის ქუთუთოებს. ის-კი ჩურჩულით მეუბნებოდა:

— იცი, რაღაც სულ სხვანაირი გრძნობაა, როცა წამწამები ტუჩებს ქვეშ თრთიან. ეს ჟორჟმა მასწავლა.

მე ამ დროს სრულებით არ ვუგდებდი ყურს იმისს სიტყვებს, ვუსმენდი მხოლოდ ამ სიტყვების მუსიკას და თან ვფიქრობდი: „ოჰ, ღმერთო, რა საუცხოო, რა მშვენიერება რამ არის!.. ამისი სიყვარულიც სულ სხვაა, ვიდრე ყველა დანარჩენისა“.

ხშირად გამიელვებდა ხოლმე აზრი, რომ მე შემიძლიან, ძალიან ადვილადაც ჩავიგდო ხელში ნინო, როგორც ქალი, მაგრამ მაშინვე მოვიკრებდი ხოლმე მთლად ჩემს ძალ-ღონეს, მოვიხმობდი რაც კიდევ დამრჩენოდა პატიოსნება და, თუმცა ეს არც ადვილად მილირდა, მაინც ყოველთვის გამარჯვებული გამოვდიოდი ამ განსაცდელისაგან.

ერთხელ ნინომ მითხრა:

— ამ წუთი-სოფელში ორად-ორს ბედნიერებას შევხარი—ჟორჟს წერილებს და შენ, ყოველივე დანარჩენი თუნდა ერთ დღესაც გამქრალა.

და ატირდა.

ჩემთვის ცხადი იყო, რომ ნინო მიცქეროდა, როგორც ძალიან გულუბრყვილოს და ჯერ სრულიად პატარა კაცუნას, თუმცა მე იმაზედ უკვე სამ წლინახევრით დიდი ვიყავი.

ექვს დეკემბერს, ჩემს სახელწოდების დღეს, ნინო მეტის-მეტად მხიარული დამხვდა. როცა მარტონი დავრჩით, თვალებში მაკოცა, მერე ალტაცებით ტაში დაჰკრა და თან ჩაიღუღუნა.

— შაბათს ჟორჟი მოვა, შაბათს ჟორჟი მოვა!..

— კუზენი ჟორჟი!—ხუმრობით გავუსწორე მე.

— არა, ჩემთვის მარტო ჟორჟია.

იმ დღემ საუცხოოდ ჩაიარა.

ჟორჟი ძალიან მომეწონა, რასაც, სწორედ გითხრათ, არ მოველოდი. იგი იყო ლამაზი, კოპწია, ევროპიულ ტანისამოსში სუფთად გამოწკეპილი. ბევრს ოხუნჯობდა, მხოლოდ, როცა მე და ის მარტონი ვრჩებოდით, უცებ სერიოზულ სახის გამომეტყველებას იღებდა და რაღაცა მწუხარე, მაგრამ ერთგულ და გულწრფელ თანაგრძნობით მელაპარაკებოდა ჩემსა და ნინოს სიყვარულზედ.

— თქვენ ბედნიერი ხართ! ნინო ცოტა შეიძლება არა ბუნებრივი იყოს, მაგრამ მაინც მშვენიერი, საუცხოვო ქალია.

ჟორჟი იმათსა იანვრის გასვლამდე დარჩა. მე და ის ძალიან დავმეგობრდით, მაგრამ მაინც მომეწყინა ნინოს უალერსოდ: ჩვენ სამივენი თითქმის ყოველთვის ერთად ვიყავით. ნინო მიმიხვდა ამას და ერთხელ, როდესაც დრო ჩაიგდო, ალერსიანად ჩამჩურჩულა ყურში:

— ნურც მაგრე ეგოისტი იქნები: ჩქარა ჟორჟი წავა და მაშინ ჩვენ ისევ მარტონი დავრჩებით.

ჟორჟს მხურვალე კოცნით გამოვემშვიდობე, რისთვისაც ბოდიშიც მოვიხადე იმის წინაშე და ტირილიც-კი დავიწყე. სადგურზე ნინო, ცოტა არ იყოს, ფერმიხდილი იყო, თვალებ ქვეშაც შავი ზოლები ეტყობოდა. არც ბევრს ლაპარაკობდა, როგორც ჩვეულება ჰქონდა.

ერთის კვირის შემდეგ ცხოვრება ისევ ძველს კალაპოტში ჩადგა. მხოლოდ ჟორჟის წერილები მოდიოდა ხოლმე ხშირად. მე, მგონია, ყველა წერილსა ვკითხულობდი.

ყველიერში ანჟელიკამ გადასწყვიტა და კიდეც გამართა თავის სახლში ახალგაზრდებისთვის წვეულება საცეკვაო საღამოთი, თუმცა ნინო ამისი წინაამღდეგი იყო.

როდესაც საღამოს შემდეგ გამხიარებული ამხანაგები წავიდ-წამოვიდნენ და სახლში მარტო უფროსები შემოუსხდნენ სუფრას, მეც ვიხელთე დრო და შევედი ნინოს ოთახში. მოვეხვიე, ხელი ხელში გავუყარე და აღტაცებულის ჰიკ-ჰიკით დავიწყე:

— რომ იცოდე, ნუცა, რა მშვენიერი იყავი ამ საღამოს! ყველასა სჯობდი, ყველას. ნუცა, გენაცვალე, გამიგონე. ჩვენ, მართალია, ჯერ სულ ახალგაზრდები ვართ, მაგრამ მე ამ ზაფხულს მაინც სტუდენტი გავხდები. როგორც უნდა დატრიალდეს ჩემი ბედ-იღბალი, მე უშენოდ სიცოცხლე არც მინდა და არც შემიძლიან. დეე, მელირსოს ეს ოთხის, თუნდა ათის წლის შემდეგ, მაგრამ მითხარი, დამპირდი, ნინო, რომ შენ ან ჩემი იქნები და ან არავისი. მე ვიცი, რომ შენ გიყვარვარ და რომ მთელ დედამიწის ზურგზედაც არ მოიპოვება სხვა ქალი, რომელსაც შენსაებრ შეეძლოს სიყვარული, მაგრამ... გაიგონე, გენაცვალე, თუ შენ მიპასუხებ იმაზე, რასაც მე გთხოვ, მაშინ სიცოცხლეც შემიმსუბუქდება, მუშაობასაც გავიორკეცებ და, რა ხალხშიაც უნდა ჩავვარდე, მაინც შენს წინაშე ისეთივე წმინდა დავრჩები, როგორიც ეხლა ვარ, ისევე ძლიერ მეყვარები, როგორც ეხლა და მხოლოდ შენ, მხოლოდ შენ, ჩემო სიცოცხლევ... მე ვუცდი შენს პასუხს.

ნინო გაწითლდა და კარგა ხანს არაფერს არ მიპასუხებდა, მერე ჩუმად მკითხა:

— რად გინდა ყველა ეს, განა უამისოდ კი ბედნიერი არა ხარ?

— აკი გითხარი რადაც...

— ეხ, რახან აგრე ჩამაცივდი, აი, სიმართლეც... მე ტყუილი არ მიყვარს და ამიტომ პირდაპირ გეტყვი, რომ ვერც შენი და ვერც სხვის ცოლი ვერ გავხდები... ეს ნამდვილია...

— როგორ, რატომ, ნინო?

— გიმეორებ, ტყუილს არ ვამბობ, მხოლოდ ეხლა ამის მიზეზების ჩამოთვლა არ მინდა. მაგისთანა კითხვების მოცემაც შენის მხრივ სწორედ არ არის კარგი, ეს სისულელეა.

არ მიამა ასეთი პასუხი, გავუშვი ხელი და ცოტა ნაწყენი მოვიკუნტე რბილ სკამზე. ნინოც გამშორდა და პირქვე წაწვა ლოგინზედ.

მხოლოდ სასადილო ოთახიდან ისმოდა ანჟელიკას მკვახე ლაპარაკი:

— არა, იცით, ეხლანდელ ახალთაობას ბევრს ცილსა სწამებენ, თორემ ყველანი, მოზარდი ქალებიც და ვაჟებიც, ისეთი წმინდანნი, ისეთი გულ-უბრყვილონი არიან...

მივიხედე ნინოსკენ და შევამჩნიე, ქვითინისაგან როგორ ფხტოდა მხრები. ძალიან შემეცოდა და ახლო მივუჯექი.

— ნუცა, გენაცვალე, ნუ... ნუ... თუ გაწყენინე რამე, მაპატიე...

ნინო არაფერს არ მიპასუხებდა, მხოლოდ უფრო უმატებდა ტირილს, უმწეო ტირილს. ტიროდა ისე, როგორც ტირიან ხოლმე საუკეთესო მეგობრის დამარხვაზე.

— ნინო, მითხარი რამე..

— თავი დამანებე!—

მეც განვშორდი და მთლად გამშრალი, კვლავ რბილ სკამში ჩავჯექი. ათიოდე წუთის შემდეგ ნინოც, ცოტა არ იყოს, დაშოშმინდა, ადგა, პირი მოიბანა და ნელნელა შეიწმინდა. სახე უფრო გასწითლებოდა, თვალები კი დაღვრემილი, მეტად მოწყენილი გამოიყურებოდნენ. პირველად მან გამცა ხმა.

— კოლა!

— რა გინდა?

— მოდი ჩემთან.

მომხვია ხელი, მიმიზიდა თავისთან და რამდენჯერმე მაკოცა ტუჩებში. შემდეგ დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ისეთის ხმით, რომლის აღწერაც არ შემიძლიან და რომელიც არას დროს არ დამავიწყდება.

— აი, გკოცნი და შეიძლება უკანასკნელადაც.—დაიწყო ნინომ ხმის კანკალით:—ეხლა გამიგონე რაც გითხარი—არაფერია. საქმე ამაშია, რომ შენ ჯერ სულ ბავშვი ხარ, გულით სუფთა, სულით უმანკო, წმინდა, მე კი ბილწი, მოთხაული, ისეთი საზიზღარი რამ, რომ მე თვითონ მძულს ჩემს თავზე ფიქრი... დამაცადე, მათქმევინე... ნუ მაწყვეტინებ... იქნება გახსოვს, იმ სიწმინდეზე, იმ უმანკოებაზე მიდიოდეს ლაპარაკი, რომელიც აქამომდე ჩვენს სიყვარულს, ჩვენს ალერსს ფარდასავით ეფინებოდა..

— ნინო, ეგ შეუძლებელია!

— თუ მაგრე აღელდები, არასოდეს და არაფერს აღარ გეტყვი.. მომეცი სიტყვა, რომ ყველაფერს დამშვიდებით მოისმენ, ისე, როგორც ნამდვილი ჟუკაცი და აგრეთვე მიპასუხებ, შეეძლება თუ არა ამის შემდეგაც ჩემი სიყვარული ისევ, როგორც აქამდის.

— გაძლევ სიტყვას...

— მაშ კარგი. დაჯექი და ყური დამიგდე,—მორცხვად განაგრძო.—როგორ მოხდა ეს, აღსნას არ მოვყვები, მაგრამ შარშან ზაფხულს და ეხლა დღესასწაულებში მე და ჟორჟი ერთად ვცხოვრობდით, ისე, როგორც სცხოვრობენ ხოლმე ცოლქმარნი... არც სრულიად ისე, მაგრამ მაინც... შეგიძლიან ეს მაპატიო?

თითქოს ყველაფერი შეინძრა... თვალთ დამიბნელდა... ყურებმა წივილი დამიწყეს.. როგორც იყო, მოვიკრიფე მთელი ჩემი ძალ-ღონე და ხრინწიანის ხმით ვუპასუხე:

— შემიძლიან...

ნინოს სახე ცოტათი გაუღიმდა.

— მჯერა,—მითხრა წყნარად. შემდეგ მივიდა, გამოსწია უჯრას, ამოიღო რამდენიმე წერილი უცხოურის მარკით და ერთი გამომიწოდა.

— აი, წაიკითხე.

ჟორჟის ხელი ცოტა გაურჩეველი იყო, სწერდა ფრანგულად. გულის კანკალით და ძალი-ძალად ამოვიკითხე შემდეგი:

„ჩემო კარგო, კუკუნია! ვიცი, უნდა დავიწყო, რომ შენ ჩემთვის კიდევ არსებობ, მაგრამ დღეს ვერ ავიტან ამას. დღეს არ ძალმიძს, აუკრძალო ჩემ თავს სიამოვნება, არ შემიძლიან წერილით მაინც არ გამოგელაპარაკო. პირველადვე მინდა მოგცე რამდენიმე კითხვა, რომლის პასუხიც ცოტად თუ ბევრად მაწუხებს. ნინო, კოლა შეიგნებს, მიჰხვდება ყველა იმას, რაც ჩვენს შორის იყო? არის თუ არა ეგ იქამდე განვითარებული, გაუქრის თუ არა გონება, რომ მიჰხვდეს, რომ ხშირად ვერც ღვიძლს ბიძაშვილს, ვერც ყველაზედ მძლავრს, ნიჭიერს და ჭკვიანს კაცს ვერ შეუძლიან შეიკავოს ის უნებლიეთი გრძნობები ახალგაზრდა ქალისადმი, რომელიც მას ბუნებამ ასე ჩაუნერგა? გაიგებს თუ არა იგი, რომ ჩემის მხრივ ეს საზიზღარი სიმდაბლე არ არის? რომ ეს ისეთივე უბედურებაა, მოულოდნელი და გაუსწორებელი, როგორიცაა, მაგალითად, სიკვდილი? უყვარხარ კოლას შენ იმდენად, რომ ყველა ეს აიტანოს? თუ ჰო, მაშინ მეც, როგორც იქნება, შევიკავებ თავს. სულიერად ისევ ერთმანეთის მახლობელნი ვიქნებით, ხორციელად კი შორეულნი. ღმერთი რომ მწამდეს, დღე და ღამ სულ ამაზე ვილოცებდი. მოიფიქრე ყველაფერი. მიპასუხე ჩქარა, რომ ... ... ... ... ლია. ... მიძლიან მუშაობა და სულ იმაზედა ვფიქრობ, თუ როდის წამოვალ ისევ რუსეთში. ნინო, ღვთის გულისათვის, იმ ღვთისა, რომელიც შენ ძალიანა გრწამს, მიპასუხე ჩქარა.“

წერილი ხელიდან გამივარდა და, მე თვითონ არ ვიცი რად, ავტირდი. ნინო ნაზად მომეხვია და ალერსიანად მისვამდა თავზე ხელს, შემდეგ ჩუმად დაიწყო:

— მართლაც, ეს ხომ უბედურებაა! სამივენი ერთნაირს ცეცხლში ვიწვით და არც ერთი კი არა ვართ დამნაშავე, იმიტომ რომ არც ერთს ჩვენგანს ამითი არავისთვის ბოროტი არა ნდომია. კარგად გესმის ეს?

— კი.

— მაშ მაპატიე... მოიფიქრე კიდევ კარგად და თუ ნამდვილად შეგიძლიან მაპატიო ყოველივე ეს, მოდი ხვალ ექვსს საათზედ, თუ არა და... ეხლა მშვიდობით, თავზრუ მეხვევა.

ჩქარა სახლშიაც წავედი. ვახშამზე თითქოს არაფერი არ დამილევია, გარედ რომ გამოვედი კი მთვრალივით დავხეტიალებდი, სანამ ეტლს არ დაუძახე. ძილით იმ ღამეს სრულებით არ დამიძინია.

გამოუთქმელის გულის ტკივილით მივუახლოვდი მეორე დღეს ნინოს სახლს და ნაცნობ ელექტრონის ღილს თითი დავაჭირე. უცნაური გრძნობა არა მშორდებოდა, თითქოს ამ სახლში გუშინ ვიღაცა ძვირფასი ჩემთვის არსება მომკვდარიყოს.

ნინო დღეს კვლავინდელზედ უფრო დამშვიდებული იყო, მხოლოდ უფრო ფერმიხდილი, დაღლილი, როდესაც მარტონი დავრჩით, ცოტა გაუბედავად გამისწორა თვალი და მკითხა:

— სრულებით მაპატიე?

— სრულებით.

— მე კი მეშინოდა, რომ არ მოხვიდოდი... აი, კიდევ ერთი პირობა,—ნინო კალთაში ჩამიჯდა, კისერზედ ხელები მომხვია და განაგრძო:—არასოდეს და არაფრის გულისთვის ამ საგანზე არ უნდა მელაპარაკო არც მე და არც ჟორჟს. მაშინ ვიქნები ან შენი ან არავისი. თანახმა ხარ?

უსიტყვოდ დაუქნიე თავი და გემრიელად გადავკოცნეთ ერთმანეთი.

მე და ნინომ მოვილაპარაკეთ ლიტანიაზედ ერთად წავსულიყავით უნივერსიტეტის ეკლესიაში. ლიტანიის შემდეგ კი გვესეირნა ქალაქის გაკაშკაშებულ ქუჩებში. ორივეს ერთნაირად გვიყვარდა სიარული მთვარიან ღამეში.

ვნების შაბათის საღამო მშვიდი და საამური დადგა. დიდხანს არა ბნელდებოდა. როგორც იყო, მომწვანო ცის სივრცეზე გამოჩნდა პირველი ვარსკვლავიც, ისეთი მოციმციმე, წყნარი, როგორიც „ტანჰეიზერ“-ში მინახავს.

თუმცა დედა ჩემი მთხოვდა ერთად წავსულიყავით ჩვენს ძველს სამრევლო ეკკლესიაში, მაგრამ მე თითქმის მკვახედ უარი უთხარი საწყალ მოხუცს და ათს საათზედ დავიწყე ჩაცმა. თერთმეტის ნახევარზე უკვე მზად ვიყავი. გიმნაზიის მუნდირი აღარა მწვდებოდა, საყელოც ყელს მიხრავდა, ახალი ტანისამოსის ყიდვა კი ჯერ არ მინდოდ, ველოდი გიმნაზიის გათავებას.

გადავსწყვიტე ცოტა ადრე წავსულიყავი ნინოსთან და იქ მომეცადნა, სანამ ისიც ჩაიცვამდა. სასიარულოც ბევრი არა მქონდა, სულ ორი უბანი მქონდა გასავლელი.

ჩავიცვი პალტო, დედასთან ბოდიში მოვიხადე, მოვუკიდე პაპიროსს და მხიარულად გავედი გარედ.

ჯერ ადრე იყო. არსაიდან ზარების რეკა არ ისმოდა. საყდრებში მიეშურებოდნენ მოხუცნი და მოახლე ქალები გამოკრულ თეთრ ბოხჩებით იდლიაში. ეტლები ნაკლებად სჩანდა. ერთი ხელობა ქვაფენილზე ფეხი წამისხლტა და კინაღამ

დევეცი. თავში გამიელვა—ეს რაღაცა ცუდი ნიშანი უნდა იყოს-მეთქი. მაგრამ მაშინვე ჩემს თავს მე თვითონვე დ ვ ც ნ ე და ისევ მხიარულად გავწიე.

ნინოს სახლსაც მიუახლოვდი. ეტყობოდა მოსამსახურეს ფანჯრები ქუჩის მხრიდან დაერეცხნა და ზოგიერთი ხარაჩო სწორედ ნინოს ოთახის წინ დარჩენოდა. ოთახში სინათლე იყო. რაღამაც წამკრა და სანამ ელექტრონის ზარს დავრეკდი, ავედი ამ ხარაჩოებზე, რომ შემეხედნა, რას აკეთებდა ნინო თავის ოთახში. მარცხენა ფეხი მარგილზე შევდგი, მეორე ხელი ბოძს მოვავლე და ავხტი გარდიგარდმო გადებულ ფიცარზე.

ნინო სარკის წინ იდგა შიგნითა ქვედატანში და თმას ივარცხნიდა. სწორედ ამ წუთში კარებში გაჩნდა ჟორჟი. ნინო მიბრუნდა და გასწია იმისაკენ, მერე მოჰხვია კისერზე თავისი ლამაზი ტიტველა ხელები და მშვენიერი თავი იმის გულზე მიისვენა

აღარ მახსოვს, ამის შემდეგ რა დამემართა. გრძნობა დავკარგე და კარგა ხნის შემდეგ გავიგე, რომ ვიწექი სადღაც მეეზოვესთან, რაღაც ხმელ საოეცელზედ. მუნდირი და ახალი პალტო მთლად გასვრილი მქონდა სისხლით, რომელიც თავიდან კიდევ მდიოდა. უმცროსი მეეზოვე ილია წყლით მაბრუნებდა და როდესაც დაინახა, რომ თვალები გავახილე, ცოტა გულზე მოშვებულმა წაიბუტბუტა:

— კიდევ მადლობა ღმერთს!

ვ—ცა.

# სპარსეთის ამბები

**ეინუდ-დოვლეს მოკვლა.**

„ბაქუ“-ს ატყობინებენ თეირანიდან: „ეინუდ-დოვლეს მოკვლამ ყუმბარით თავზარი დასცა შაჰსა“.

„რუსკოე სლოვო“-ს ატყობინებენ რეშტიდან: 22 მარტს აქ დეპეშა მიიღეს, რომ შაჰის მთავარსარდალი ეინუდ-დოვლე მოჰკლეს ყუმბარითაო.

**რეშტელების მოქმედება.**

რეშტის რევოლიუციონერების სამხედრო შტაბი ადგენს რაზმებს თალიშელ ცხენოსნისგან, რომლებიც ყოველ დღე მოდიან რეშტში თუ შახსევანელი ცხენოსნები ნამდვილად შეუერთდებიან რევოლიუციონერებს, მაშინ რევოლიუციონერები უფრო ჩქარა გაილაშქრებენ თეირანისკენ. 23 მარტს რეშტელ რევოლიუციონერების რაზმები უნდა წასულიყვნენ კაზვინს (როს.).

**შაჰმა თავისი ბრილიანტი დააგირავა.**

მამედ-ალი-შაჰმა ინგლისში დააგირავა თავისი განთქმული ბრილიანტი „ბარგანური“, კაჯართა დინასტიის განძი. შაჰმა ამ ბრილიანტში აიღო ოთხი მილიონი თუმანი (სპარსული თუმანი—2 მან.).

**ბახტიარების ხანის გალაშქრება თეირანისკენ.**

„რუს. სლ.“-ს კორესპონდენტი იუწყება თეირანიდან: 31 მარტს თეირანში ცნობა მიიღეს, რომ ბახტიარების ხანმა დიდი რაზმი გამოგზავნა თეირანისაკენაო.

**რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობის ქცევა.**

იგივე კორესპონდენტი იუწყება: მე და „ნოვოე ვრ.“-ს კორესპონდენტმა ვითხოვეთ, რომ იმ დეპეშებში, რომლებიც სპარსეთის საქმეებს შეეხებიან, ფასი დაგვიკლონ. თეირანში ინგლისელი კორესპონდენტები ნახევარს ფასს იხდიან თავიანთ დეპეშებში. „პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს“ კორესპონდენტი—რუსეთის საელჩოს მოხელეც ნახევარ ფასადა ჰგზავნის დეპეშებს. ინგლისის ინდო-ევროპიულმა ტელეგრაფმა თანაგრძნობით შეხედა ჩვენს თხოვნას, აგრეთვე შეხედა სპარსეთის ტელეგრაფმაც. უარი გვითხრა მხოლოდ რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობამ, რითაც ძლიერ გააკვირვა სპარსელები, რომლებიც დიდის ხალისით უწყობენ ხელს უცხოელთა კულტურულ საქმეებს.

**რეშტის გუბერნატორის დეპეშა.**

რეშტის გუბერნატორმა სეპეხტარმა შემდეგ დეპეშა გაუგზავნა კაზვინის გუბერნატორს:

„1,500 თუმანი გამოგზავნეთ ჯარისთვის, ბანკიდან მიიღეთ თქვენ სახელზედ. გამოგზავნეთ 150 კაცი და ერთი ფურგონი სამხედრო სურსათი. ჩქარა შეუდექით საქმეს. დროა თქვენი შნო გამოიჩინოთ და დაამტკიცოთ, რომ ღირსი ხართ თქვენის თანამდებობისა. მტერი გაწლილ მინდორში დგას და არა ტყესა და ღრეშია. ორასი კაცით შეგიძლიანთ განადგურება მაგ არამზადების. გაძლევთ მთავარ-სარდლის უფლებას.

**რეშტის ენჯუმენის პროტესტი**

რეშტის ენჯუმენმა შემდეგი პროტესტის დეპეშა გაუგზავნა დასაბეჭდად ფრანგულ გაზ. „ტანი“-ს: „ქალ. რეშტში სუფევს სრული წესიერება და ყველას უშიშროება უზრუნველ-ყოფილია. უცხოელთა საკუთრებას არავითარი საფრთხე არ უქადის. უცხოეთის ყველა კონსული, რუსეთის კონსულიც კი, კმაყოფილნი დარჩნენ იმ ღონისძიებით, რომელიც ენჯუმენმა მიიღო წესიერების დასაცველად. ასეთ პირობებში რუსის ჯარის ორის ხარბაზნით მოსვლა რეშტში შეურაცხყოფს სპარსელების ეროვნულ ღირსებას და იქნება სპარსელები გაპრაზოს რუსეთის წინააღმდეგ. ევროპის საზოგადოების წინაშე ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ რუსეთის ასეთის ქცევის წინააღმდეგ“.

**რუსეთის კონსულის რჩევა.**

რუსეთის კონსული დაჰპირდა ასტარის მცხოვრებთ, თუ შაჰის თვითმპყრობელობას და არდაბილის გუბერნატორის უფლებას სცნობთ, დახმარებას გაგიწევთ რეაქციონურ ცხენოსნების წინააღმდეგო. ასტარელებმა უპასუხეს; ჩვენ მხოლოდ სათარ-ხანსა და რეშტის გუბერნატორის საპეხდარს ვიცნობთ და ვემორჩილებით და რეაქციონერ ცხენოსნებს უთქვენოდაც გავცემთ საკადრისს პასუხსაო. მართლაც, და როგორც უკვე ვიცით, ასტარელებმა ძალზე დაამარცხეს რეაქციონერი ცხენოსნები.

**რეაქციონერ ყაჩაღების შეპყრობა.**

14 მარტს ღამით რეაქციონერების ჯგუფმა გაძარცვა რუსეთის სატრანსპორტო სააგენტოს ბიურო და 12 ათას მანეთამდე გაიტაცა. რევოლიუციონერებმა მაშინვე მდევარი გამოუყენეს მძარცველებს, და ყველანი შეიპყრეს, ხოლო მოტაცებული ფული უკლებლივ დაუბრუნეს ბიუროს.

# ოსმალეთი

**გაზ. „სერვეტი ფენუნ“-ის რედაქტორის მოკვლა.**

დეპეშიდან ვიცით, რომ ამ დღეებში სტამბოლში მოჰკლეს ოსმალურ გაზ. „სერვეტი-ფენუნ“-ის რედაქტორი. ამის თაობაზე „კასპი“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: „ირწმუნებიან, რომ „სერვეტი-ფენუნ“-ის რედაქტორი მოკლუ დია ახალგაზდა ოსმალოთა დადგენილებით. მისი გაზეთი ბოლოს დროს გამწვავებით ჰგმობდა ახალგაზდა ოსმალოთა ცენტრალურ კომიტეტს. ამას წინად „სერვეტი“-მ გამოაქვეყნა საიდუმლო ცირკულიარი, რომელიც კომიტეტს ვილაეთების მოხელეებისთვის გაეგზავნა და რომლიდანაც ჩანდა, რომ ოსმალეთის რამდენიმე ბატონები უთვიდან საიდუმლო კომიტეტები. ამ ცირკულიარში გაკიცხული იყო აგრეთვე საფრანგეთის ელჩი და ამიტომ ხსენებულ ცირკულიარის გამოქვეყნებამ ბევრი უსიამოვნება მიაყენა ახალგაზდა ოსმალებს“.

უცხოეთის ზოგიერთი გაზეთი ირწმუნება, რომ გაზ. „სერვეტი“-ს რედაქტორი პროვოკატორების მოკლულია; რეაქციონერებს უნდათ ამ მკვლელობით სახელი გაუტეხონ ახალგაზდა ოსმალებსაო.

**ჯარის მომატება.**

სულთანმა დაამტკიცა კანონ-პროექტი ჯარის შესახებ. მასამდე ოსმალეთის ჯარს მომატება მის ეხლანდელ რიცხვის 25 პროცენტი. ეს მომატებული 25 პროცენტი ამნაირად იქნება განაწილებული სხვა და სხვა ეროვნებას შორის: ბერძნებს შეხვდება $12^1/_2$ პროცენტი, სომხებს—$4^1/_2$ პროცენტი, ქრისტიან სირიელებს და ურიებს—4 პროცენტი და ბოლგარებს—4 პროცენტი.

**ოსმალელი მასონები.**

ამ დღეებში ოსმალელი მასონები, რომლებიც აქამდე საიდუმლოდ მოქმედებდნენ, სათათბიროდ შეკრიბნენ ფუდ-ფუში-ს სახლში. კრებას დაესწრნენ პარლამენტის წევრები და იუსტიციის მინისტრი. გადასწყვიტეს, ოსმალეთში მასონთა ლ'ჟ გაეხსნათო.

**იაპონელი პრინცი სტამბოლში.**

ამ ათიოდე დღის წინად სტამბოლში მივიდა იაპონელი პრინცი კუნი, იაპონიის იმპერატორის ძმისწული და ოსმალეთის მთავრობას სხვა და სხვა საქმეებზე მოელაპარაკა. ამბობენ მალე ოსმალეთი სავაჭრო ხელშეკრულობას დასდებს იაპონიასთან და ამის შემდეგ დაწესებული იქნება ოსმალეთის საელჩო ტოკიოში და იაპონიისა—სტამბოლშიო.

**სულთნის გვარდიის გადაყვანა.**

25 მარტს დაიწყეს ალბანელთაგან შემდგარ გვარდიის გადაყვანა სულთნის სასახლიდან სხვა ადგილებში; იგი გადაჰყავთ მაკედონიასა და უმთავრესად ქალ. ადრიანოპოლში.

**აჯანყება მაკედონიაში.**

მაკედონიაში ბეჯითად მოქმედებენ ბოლგართა რევოლიუციონური რაზმები, რომლებიც თხოულობენ, რომ ხალხმა გადასახადი აღარ მისცეს ოსმალეთის მთავრობას. უკანასკნელ დღეებში მოჰკლეს 11 კაცი.

**ბერძნების განზრახვა.**

ოსმალეთის მთავრობას შეატყობინეს, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომ ბერძნების ჯგუფი, ერთის დიდის სახელმწიფოს რჩევით, წავიდა ბეირუთში და იქიდან ქრისტეს აღდგომის დღეებში წავა იერუსალიმს იმ აზრით, რომ იქ მოახდინოს უწესოება ან იქნება ნამდვილი აჯანყებაც, რომლითაც ისარგებლებენ დიდი სახელმწიფოები და ოსმალეთის საქმეებში ჩაერევიანო. მთავრობამ დეპეშით უბრძანა ბეირუთის გუბერნატორს, ღონისძიება მიიღოს, რომ იერუსალიმში დიდ-ძალმა ბერძნებმა არ მოიყარონ თავი; გაიგოს, ვინ არიან ამ საქმის მოთავენი და მთელი ეს საქმე დაწვრილებით აცნობოს მთავრობას.

# ბალკანეთი

**ავსტრია-ოსმალეთის კავშირი.**

ავსტრიის და გერმანიის გამარჯვებული დიპლომატია ბეჯითად ცდილობს ოსმალეთთან დაშეგობრებასა და, როგორც უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, თვით კავშირის შეკვრასაც.

„რუს. სლოვო“-ს ატყობინებენ პარიზიდან: „დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია აქ ხმამ, ვითომ ბარონი ერენტალი, გერმანიის დახმარებით, ამზადებს ავსტრია-ოსმალეთის კავშირის პროექტსაო. იილდიზ-კიოსკში (სულთნის სასახლეში) კეთილის თვალით უცქერიან თურმე ამ პროექტს. ამ პროექტის თანახმად ოსმალეთმა 250 ათასი ჯარის-კაცი უნდა იყოლიოს არზრუმში და აგრეთვე რიგზე მოაწყოს ბაიაზიდისა. აზრუმისა და ტრაპიზონის ციხეები. ოსმალეთის დანარჩენი ჯარი თავმოყრილ იქნება აღმოსავლეთ რუმელიის საზღვრებზე (ბოლგარიის საზღვარზე). ამას გარდა ავსტრია ხელ-ახლად თხოულობს ნოვობაზარის სანჯაკზე, უსკუბიდან—მიტროვიცამდე, რკინის გზის გაყვანის უფლებას. ამის სამაგიეროდ ავსტრია და გერმანია უზრუნველ-ჰყოფენ ოსმალეთის ხელუხლებლობას. ამბობენ, რომ ამ პროექტს თანაგრძნობით ეკიდება ახალგაზდა ოსმალთა საკმაოდ დიდი ნაწილიო“.

ამავე საყურადღებო პროექტის შესახებ ფრანგულ გაზ. „ეკო დე პარი“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: „ოსმალეთის მთავრობა ამ ჟამად იხილავს ავსტრიისა და გერმანიის წინადადებას, რომლის თანახმად ავსტრიამ, გერმანიამ და ოსმალეთმა კავშირი უნდა შეკრან ერთმანეთთან. ამ კავშირის ძალით ოსმალეთი მოვალე იქნება არზრუმის ოლქში თავი მოუყაროს საკმაოდ ძლიერს ჯარს რუსეთის კავკასიურ ჯარის პასუხის გასაცემად, გაამაგროს არზრუმისა და ტრაპიზონის ციხეები და ერთი კორპუსი ჯარი იყოლიოს ბოლგარიის საზღვარზე“.

რუსულ გაზ. „გ. მოსკვი“-ს სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება: „ახალგაზდა ოსმალთა წრეებს არა სჯერათ, რომ შესაძლებელი იყოს ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირი ოსმალეთის მეთაურობით, ამიტომ მათ ჯგუფში უჯდებათ გერმანიის რჩევა. გერმანია ურჩევს ოსმალეთს: ავსტრიასთან სამხედრო კავშირი შეკრას იმ პირობით, რომ ოსმალეთმა ნოვობაზარის სანჯაკი დაუთმოს ავსტრიას 150,000,000 ფრანკად, სამაგიეროდ ავსტრია უზრუნველჰყოფს ოსმალეთის მთლიანობასა და ხელუხლებლობას.

ოსმალური გაზ. „იკდამ“-ი პირდაპირ სწერს, რომ თუ ოსმალეთის მთავრობა არ დასთანხმდება გერმანიის რჩევას, მაშინ ბოლგარია და სერბია რუსეთის დახმარებით წელსვე დაიჭერენ მაკედონიასა და ძველ სერბიასაო.

ავსტრიის ელჩმა სტამბოლში ხელახლად გამართა მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან სანჯაკის რკინის გზის შესახებ. გერმანიის ელჩიც მხარს უჭერს ავსტრიის ელჩს, ავსტრია სამაგიეროდ განსაკუთრებულ ეკონომიურ უპირატესობას ჰპირდება ოსმალეთს. მეორეს მხრით გერმანია, ოსმალეთთან წინანდელ მეგობრობის აღსადგენად, დახმარებას ჰპირდება ოსმალეთს: ახალ იარაღს ჯარისთვის პირიანად და შეღავათიანის პირობით ჩაგაბარებთო.

ბარონ ერენტალმა აღუთქვა ოსმალეთის მთავრობას: მომავალ კონფერენციის დროს გერმანია და ავსტრია ეცდებიან, რომ ბერლინის ხელშეკრულობის ორი მუხლი მაკედონიის და სომხეთის რეფორმების შესახებ გაუქმდესო. ამ მუხლების გაუქმებას დიდი მნიშვნელობა ექნება ოსმალეთისთვის: მაშინ დიდ სახელმწიფოებს, რომლებიც ეხლა წამდაუწუმ ერევიან ოსმალეთის შინაგან საქმეებში, საბუთი აღარ ექნებათ ნაირ-ნაირ მოთხოვნებით შეაწუხონ ოსმალეთის მთავრობა.

**რა გუნებაზეა რუსეთის დიპლომატია.**

რუსეთის დიპლომატები დღესაც პესიმისტურ გუნებაზე არიან პეტერბურგელი დიპლომატები ჰფიქრობენ, რომ სერბიაში მალე შინაგანი არეულობა მოხდება, ავსტრია საბუთად გამოიყენებს ამ არეულობას და თავის ჯარს შეიყვანს სერბიაშიო. პეტერბურგში ცნობა მიიღეს, რომ ავსტრიის ჯარის რიცხვს სერბიის საზღვარზე არა დააკლდა-რა, თუმცა სერბიამ უკვე აიყარა იარაღიო.

ამავე დროს რუსის დიპლომატებში გაიმარჯვეს გერმანიის მომხრეებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აუცილებლად საჭიროა რუსეთი ისევ გერმანიას დაუახლოვდეს მჭიდროდ და მერე იმის შემწეობით ავსტრიასაო. შესაძლებლად მიაჩნიათ ახალი მეთანხმება ავსტრიასთან.

პარიზში ხმა გავრცელდა, რომ გერმანია ბეჯითად ცდილობს—ავსტრია და რუსეთი მოარიგოს და შეათანხმოს ბალკანეთის საქმეთა შესახებ. ჰფიქრობენ, რომ იზვოლსკის მოადგილედ უთუოდ გერმანიისა და ავსტრიის მომხრეს დანიშნავენო. (რ. ს.)

**ხმები იზვოლსკის გადადგომაზე.**

გერმანულ გ. ზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტი იუწყება ლონდონიდან: აქაურ დიპლომატების ფიქრით, რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის იზვოლსკის გადადგომა თანამდებობიდან აუცილებელია. ლონდონში არა სჯერათ ფრანგულ გაზეთების ცნობა, ვითომ იზვოლსკის ადგილას გენერალი თავადი ენგალიჩევი დაინიშნებაო, რადგან ენგალიჩევი მეტად გულმოდგინე მეგობარია გერმანიის მთავრობისა.

აი რაზე ემდურიან იზვოლსკის: გერმანიის ელჩმა გრაფ პურტალესმა მას ჩააბარა განცხადება, რომელშიაც გერმანია ბეჯითად თხოულობდა, რუსეთი ეხლავე უნდა დასთანხმდეს ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსიას, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ავსტრია ომს გამოუცხადებს სერბიასაო. იზვოლსკიმ ეს განცხადება დაუმალა რუსეთის უმაღლეს წრეებს და ამას გარდა გერმანიის ელჩსაც დიდ ხანს არ მისცა პასუხი. ბოლოს იზვოლსკიმ საჭიროდ დაინახა ეს განცხადება გაეცნა უმაღლეს წრეებისათვის და თავის მხრივ აზრი გამოსთქვა, რომ გერმანიის მოთხოვნა უნდა უარვყოთო, მაგრამ უმაღლეს წრეებს სულ სხვა თვალით შეეხედათ საქმისათვის და იზვოლსკისთვის ებრძანებინათ, გერმანიის მოთხოვნა შეასრულდეთო“.

საფრანგეთის მთავრობის წრეებთან დაახლოვებული ფრანგული გაზ. „პტი პარიზიან“-ი ამნაირად აგწერს იმ გარემოებათ, რომლებმაც აიძულეს რუსეთი ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსიას დასთანხმებოდა: 9 მარტს გერმანიის ელჩმა გრაფ პურტალესმა მოსთხოვა იზვოლსკის, საჩქაროდ უნდა მიმიღოთ მოსალაპარაკებლადაო. იზვოლსკიმ მაშინვე მიიღო ელჩი, რომელმაც შეატყობინა, რომ რუსეთი ეხლავე არ აღიარებს ანექსიას, მაშინ ომი ავსტრიასა და რუსეთს შორის აუცილებელი გახდება და გერმანიაც მხარს დაუჭერს თავის მოკავშირესაო. მეორე დღეს იზვოლსკიმ შეჰკრიბა მინისტრთა საბჭო და საბჭომ თათბირის შემდეგ დაადგინა, უპირობოდ დავსთანხმდეთ ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსიასაო. მიიღო თუ არა გრაფ პურტალესისაგან ასეთ ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი, გერმანიის მთავრობამ ახლა საფრანგეთსა და ინგლისს გაუგზავნა იმნაირივე წინადადება, მხოლოდ მეტად მშვიდობიან კილოთი დაწერილი. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა პიშონმა და ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ უპასუხეს გერმანიის მთავრობას, რომ ისინი წინააღმდეგნი არ არიან ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსიისა, მხოლოდ ზოგიერთს პირობას წარუდგენენ ავსტრიასო. ავსტრია დასთანხმდა ამ პირობებს და ამის შემდეგ ინგლისი და საფრანგეთიც დასთანხმდნენ ანექსიას. ინგლისის და საფრანგეთის დიპლომატიის ხელმძღვანელნი ძლიერ უწყრებიან იზვოლსკის იმაზე, რომ მან ასე საჩქაროდ და უპირობოდ შეასრულა გერმანიისა და ავსტრიის სურვილი“.

გერმანული გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: „იზვოლსკის დამარცხება აუცილებელი შედეგი იყო დიდ სახელმწიფოთა ბრძოლისა. ბოსნია მხოლოდ საბუთი იყო, ნამდვილად კი ამ ბრძოლის მიზანი სულ სხვა იყო: მას უნდა დაემტკიცებინა, რომ სამთა კავშირი (ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი) ძლიერია გერმანიასა და ავსტრიაზე, მაგრამ ეს მეცადინეობა დამარცხებით დასრულდა და ამ დამარცხებამ თან გადაიტანა თითონ იზვოლსკიც“.

**რუსეთ-ოსმალეთის კავშირის პროექტი.**

რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა იზვოლსკიმ წინადადება მისცა ოსმალეთის მთავრობას: რუსეთსა და ოსმალეთს შორის სამხედრო კავშირი შევკრათო.

**რუსეთი ხელ-ახლად მოითხოვს დარდანელის გახსნას.**

პარიზიდან ატყობინებენ „გოლ. მოსკვი“-ს: „შესაძლებელია, რომ ემალე ხელ-ახლად აღძრან დარდანელის საკითხი. იქნება რუსეთმა ისევ მოითხოვოს დარდანელის სრუტის გახსნა. ინგლისი ეხლა კი მხარს დაუჭერს ამ საქმეში რუსეთს, რადგან ინგლისის აზრით, ამ ჟამად გარემოება შეიცვალა და რუსეთს კმაყოფილება უნდა მიეცესო.

# მოწერილი ამბები

**თელავი.** თელავში ვაჟთა გიმნაზიის დაარსების საქმე წინ მიდის. თავ.-აზნაურთა მარშალმა თავ. მ. ზ. ჭავჭავაძემ გუბერნატორისაგან მიიღო კომიტეტის შედგენის ნებართვა. კომიტეტი გიმნაზიის დასაარსებლად შემოწირულებას მიიღებს. კომიტეტში შედიან მოხელენი, ინტელიგენციის წარმომადგენელნი და ქალაქის გამგეობის ხმოსნები. პირველი კრება უკვე მოხდა. აირჩიეს მდივანი, ხაზინადარი და მოილაპარაკეს, რა გვარად მოაწყონ ფულის შეკრეფის საქმე. კომიტეტი სცდილობს მომავალ სამოსწავლო წლიდან გახსნას გიმნაზიის რამდენიმე განყოფილება.

ამავე საგანზე ქალაქის გამგეობაშიაც მოხდა კრება. გამგეობას უნდა გადაეწყვიტა ის, თუ რა ყოველ წლიური დახმარება შეუძლიან ქალაქს. აღვნიშნავთ, რომ ქალაქი სიამოვნებით ეგებება გიმნაზიის დაარსებას და შეძლების და გვარად ხელს უწყობს. მცირე კამათის შემდეგ ერთხმად გადასწყვიტეს 1200 მანეთის გაღება ყოველ წლივ. ამას გარდა პირველში მოსაწყობად მიეცემა გიმნაზიას ერთდროულად 2000 მანეთი.

ამავე საღამოს განიხილეს მოხსენება გიმნაზიის ნებართვის მიღების შესახებ. მოხსენება დასაბუთებულია სტატისტიკურის ცნობებით. აღნიშნულია მისი საჭიროება როგორც ქალაქისთვის, ისე მთელ კუთხისთვის. ეს მოხსენება გაეგზავნება გუბერნატორს შუამდგომლობის აღსაძვრელად.

თელავში გიმნაზიის გარდა სხვაც ბევრი საქმეა გასაკეთებელი. სამწუხაროდ, ქალაქს არა ჰყავს ისეთი კაცები, რომელთაც შეეძლოთ ამ საქმეების სათავეში ჩადგომა და წინ წაწევა. საჭიროა მისვლა-მოსვლა, შუამდგომლობა, პირადად წასვლა ტფილისში, ეხლა დაფარული ალარავისთვისაა, რომ თელავი უთავოა და ეს მაშინ, როცა დიდი სამკალი კარზეა მომდგარი.

მესამე წელიწადია ქალაქს მოურავი არა ჰყავს. იმის თანამდებობას ასრულებს თანაშემწე. მაგრამ [illegible] მყოფობს და თელავი ღვთის ანაბარაა მიტოვებული.

ეს 3-4 თვეა, რაც ხმოსნებს თხოვნა გაუგზავნიათ გუბერნატორისათვის და უთხოვნიათ ქალაქის მოურავად თავ. ა. რ. ვახვახიშვილის დანიშვნა (თავ. ვახვახიშვილი ერთხმად აირჩიეს). როგორც გადმოქვცეს, ცენზის შესახებ ცნობებიც მოუკრეფიათ, მაგრამ აქამდე არაფერი ისმის.

მკითხველს ეხსომება, რომ წელს 25 წელიწადი შესრულდა, რაც არტისტი აწყურელი (დავით გამყრელიძე) ქართულ სცენაზე მოღვაწეობს. აქაურ სცენის მოყვარეთ მოისურვეს ამ ამბის აღნიშვნა, რისთვისაც მიიწვიეს გარეშე პირნი მოსალაპარაკებლად და გადასწყვიტეს იუბილეის გარდახდა 12 აპრილს. საქმის მოწყობა მიენდო 7 კაცისაგან არჩეულ კომისიას. კომისიას შეუდგენია პროგრამა: გაიმართება წარმოდგენა აპოთეოზით. მგალობელთა გუნდი შეასრულებს სიმღერებს. კომისია სცდილობს შინაარსიანად მოაწყოს ეს დღე.

---

**სოფ. საქარა** (იმერეთი). ბევრი ვერაფერი ამბებია ჩვენსკენ. კვირა ისე არ გაივლის, რომ თოფის სროლა არ ასტყდეს და ამას ზედ მსხვერპლი არ მოჰყვეს. ამას წინად ტყეში სასიკვდილოდ დასჭრეს ფილიმონ ბიბილაშვილი. ბზობას კიდევ ერთი უბედურება დატრიალდა, ფარსადან ბარბაქაძის გერმა ფერაძემ თოფით მოჰკლა ერასტი ბარბაქაძის ცოლი. საქმე ასე მოხდა: ფერაძეს მეზობლის სახლიდან, იმის დაუკითხავად, თოფი გამოუტანია და წასულა ერასტის სახლისკენ, სადაც უკითხავს, სად არის ერასტი ცოლიო. როდესაც გაუგია, რომ წყალზეა, წასულა იქ და პირდაპირ გულში დაუხლია თოფი... ფერაძე მოკვლის შემდეგ გაიქცა, მაგრამ მალე დაიჭირეს. ბოქაულმა იგი ყვირილაში გაჰგზავნა.

ელიბარი.

# საზღვარ-გარედ

**სამხრეთ აფრიკის შეერთებული შტატები.** ინგლისის კოლონიებმა სამხრეთ აფრიკაში: კაპის კოლონიამ, ნატალმა, ტრანსვაალმა და ორანჟეს კოლონიამ გადასწყვიტეს ფედერაციის დაარსება ავსტრალიის ფედერაციის მსგავსად. კოლონიების წარმომადგენლებმა კონგრესი მოახდინეს და უკვე შეიმუშავეს კონსტიტუცია „სამხრეთ აფრიკის შეერთებულ შტატებისთვის“. ამ კონსტიტუციის უმთავრესი საფუძველი შემდეგია: სამხრეთ აფრიკის შეერთებულ შტატებს ეყოლებათ საერთო პარლამენტი და სენატი. პარლამენტში ყოველი შტატი თავის მცხოვრებთა რიცხვის დაკვალად ჰგზავნის დეპუტატებს, ხოლო სენატში—8 წარმომადგენელს; ამას გარდა სენატში ინგლისის მთავრობა ჰნიშნავს ყოველ შტატიდან 4 წარმომადგენელს. ოფიციალურ ენებად ითვლებიან ინგლისური და ჰოლანდიური (ბურების ენა); ორსავე ენას თანასწორი უფლება აქვს. საარჩევნო უფლება აქვთ ყველა თეთრ-კანიანს და მხოლოდ იმ შავკანიანებს, რომლებსაც აქამდეც ჰქონდათ ეს უფლება. აღმასრულებელი ძალა ინგლისის გენერალ-გუბერნატორისა და მის საბჭოს ხელში იქნება. კოლონიებს ყველას საკუთარი თვითმმართველობაც ექნება. კანონმდებელთა შორის ტრანსვაალსა და ორანჟეს კოლონიაში არჩეულნი არიან ბურების განთქმული გენერლები ბოტა და დევეტი.

**ლორდ კიტჩინერი.** ინდოეთის ჯარის მთავარ-სარდალი ცნობილი ლორდ კიტჩინერი სამსახურიდან გადადგა და როგორც ისმის, იაპონიაში მიდის იქაურ სამხედრო ორგანიზაციის შესასწავლად. როგორც ზოგიერთი ინგლისური გაზეთი იუწყება, კიტჩინერი ცუდ განწყობილებაში იყო ინგლისის ეხლანდელ სამინისტროსთან და ამიტომ გადადგა თავის თანამდებობიდანაო. კონსერვატორებსა და ზოგიერთ ლიბერალს უნდოდათ, კიტჩინერი დაენიშნათ სამხედრო მინისტრად ინგლისში, რომ მას „რკინის ცოცხით“ გაეგავა ინგლისის სამხედრო ადმინისტრაციის „უწმინდური თავლა“. მაგრამ ლიბერალთა ხელმძღვანელმა წრეებმა ვერ დასთმეს ეხლანდელი სამხედრო მინისტრი ჰოლდენი, ძველი ერთგული ლიბერალი. ამის გამო სამინისტროსა და ლორდ კიტჩინერს უსიამოვნება მოუვიდათ—კიტჩინერი თანამდებობიდან გადადგა. მის მაგივრად ინდოეთის ჯარის მთავარ-სარდლად გენერალი კრიგი დანიშნა ინგლისის მთავრობამ.

**გაფიცულ მუშების გამარჯვება საფრანგეთში.** ამ დღეებში დასრულდა ხანგრძლივი და სერიოზული გაფიცვა ლილის ქარხნებში უაზის დეპარტამენტში. ამ გაფიცვას დიდს ყურადღებას აქცევდა ფრანგული პრესა, რადგან ამ გაფიცვამ მეტად გაამწვავა მუშების განწყობილება კაპიტალისტებთან. ეს გაფიცვა გამოიწვია სამუშაო ქირის დაკლებამ. მუშებმა ისევ წინანდელი ქირა მოითხოვეს და რადგან მრეწველებმა უარი განაცხადეს ამაზე, მუშებმა მუშაობა აღკვეთეს. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 6,000-მდე მუშა. პირველ 25 დღეს გაფიცვა მშვიდობიანად მიმდინარეობდა, მაგრამ 15 მარტს გაფიცულმა მუშებმა დიდი არეულობა მოახდინეს: მათ გაანადგურეს ქარხანა და რამდენიმე შენობა მექარხნეებისა; ამას გარდა

მუშებს შეტაკება მოუვიდათ ჯართან და ჟანდარმებთან, რის გამო რამდენიმე კაცი დაიჭრა ორსავე მხარეს; 15 და 16 მარტს მდგომარეობა მეტად გამწვავებული იყო და გაფიცვას დასასრული არ უჩანდა. მაგრამ 18 მარტს დეპარტამენტის პრეფექტის შუამავლობით მუშების კავშირმა და მექარხნეების სინდიკატმა დასდვეს ხელშეკრულობა, რომელმაც ბოლო მოუღო გაფიცვას. მექარხნეები მეტად მოღალა ხანგრძლივმა გაფიცვამ და ამიტომ ისინი დასთანხმდნენ მუშების თითქმის ყველა მოთხოვნას; მუშები უმთავრესად თხოულობდნენ წინანდელ ქირი მიცემასადა ყველა გაფიცულ მუშის უკან მიღებას.

# რუსეთი

**მოსკოვში მომხდარ ბოროტმოქმედებათა სტატისტიკა.** ეხლახან გამოვიდა მოსკოვის საიდუმლო პოლიციის 1908 წლის მოქმედების ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, 1908 წელს მოსკოვში მომხდარა 11,111 ბოროტ-მოქმედება. ამ წელს მოუკლავთ 99 კაცი. პოლიციას აღმოუჩენია 24 მკვლელი, მომხდარა: 5,743 ქურდობა, 418—ძარცვა-გლეჯა. პოლიციას სულ 1.153 ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენია, რაიც ბოროტ-მოქმედებათა რიცხვის 11%-ს შეადგენს თუ ამ რიცხვებს დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ მოსკოვის საიდუმლო პოლიციას ბევრი ვერაფერი უმუშავნია და მეტი წილი ბოროტ-მოქმედებისა აღმოუჩენელი დარჩენილა და ეს მაშინ, როდესაც მარტო მაძებარ პოლიციაზე წელიწადში 150,000 მანეთი იხარჯება.

**რეინბოტი და მოიესეენკო.** როგორც გწერდით მოსკოვის გრადონაჩალნიკად ნამყოფი გენერალ-რეინბოტს და მოსკოვისა მაძებელ პოლიციის უფროსს მოისეენკოს სამართალში აძლევენ. მათ ბრალდებათ მოსკოვში ყოფნის დროს ქრთამების აღება და სხვა ბოროტ-მოქმედება. საინტერესოა, ჯამაგირად რას აძლევდა მთავრობა ამ მექრთამეებს. „სტოლ. მოლ." სიტყვით, გენერალ რეინბოტს წელიწადში 47,825 მანეთს აძლევდნენ თურმე. აქედან ჯამაგირად—14,000 მანეთს, სახლის გასანათებლად—4,800 მანეთი, სახლის ქირად—8,025 მ., კანცელარიისთვის—9,000 მ. და წასასვლელ-წამოსასვლელად—12,000 მანეთს. მოისეენკოს, სახლის, განათების, გათბობის გარდა, წელიწადში ჯამაგირად ემლეოდა 4,000 მანეთი. წასვლა-წამოსვლისთვის 21,000 მანეთი, სულ 25,000 მანეთი და ეს ამოდენა ფული ორთავეს ეცოტავებოდათ!

**დაუკმაყოფილებელი მადა.** როგორც გწერდით, „ჭეშმარიტ რუსთა" ინჟენერთა და მოიჯარადრეთა ნაციონალურმა კავშირმა ამ რამდენისამე ხნის წინად შუამდგომლობა აღძრა, რკინის გზებიდან არა-რუსი ინჟენრები და მოიჯარადრენი განდევნეთო. მთავრობას არ შეუწყნარებია ნაციონალურ კავშირის შუამდგომლობა.

**სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარე აკიმოვი.** ეს რამდენიმე ხანია ხმა დადის, რომ სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარე აკიმოვი თავჯდომარეობას თავს ანებებსო. „რეჩის" სიტყვით, აკიმოვი ხელმწიფე-იმპერატორთან ყოფილა და შუამდგომლობა აღუძრავს, ნება მომეცით თავჯდომარეობას თავი დავანებოვო. აკიმოვს უთქვამს ეხლანდელმა სამინისტრომ ისე წაიყვანა საქმე, რომ ყოვლად შეუძლებელია სახელმწიფო საბჭოში მუშაობაო. როგორც სჩანს, აკიმოვი იმ ბიუროკრატებს ემხრობა, რომელნიც ეხლანდელი სამინისტროს გადაყენებას თხოულობენ. აკიმოვის შუამდგომლობა არ მიუღიათ.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში—2, ელისავეტპოლში—1, კიევში—1, ხარკოვში—2, ტფილისში—3, ეკატერინოდარში—1, ტომსკში—1 კაცს. სიკვდილით დასაჯეს: მოსკოვში 1, ხარკოვში 1, ეკატერინოსლავში 2, კამენეც-პოდოლსკში 1, ოდესაში 2, იურიევში 1 კაცი.

**რანაირად ხდება რევიზიები.** გაზეთ „რუსკ. სლოვო"-ში საინტერესო დოკუმენტია დაბეჭდილი. პერმის რკინის გზების უფროსს განყოფილებათა უფროსებისთვის შემდეგი წერილი დაუგზავნია; „თუმცა ოფიციალური ცნობები არ არის მაგრამ დანამდვილებით ამბობენ, რომ რკინის გზების დასათვალიერებლად ამ დღეებში მინისტრი ჩამოვა. ამიტომ მიიღეთ ყოველნაირი ზომები, რომ გარეგნობით ყველაფერი სუფთად იყოს, სხვა არაფერია საჭირო. მივიღებ თუ არა ნამდვილ ცნობებს, შეგატყობინებთ. რკინის გზების უფროსი კორძლევი».

**რედაქტორის ცემა.** „რუს. სლ." სიტყვით, ოდესაში შავრაზმელებს უცემიათ „ოდეს. ნოვოსტ." რედაქტორისთვის. ეს მესამე შემთხვევაა, რომ პროგრესიულ გაზეთების თანამშრომლებს სცემენ. როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის ამ რამდენიმე ხნის წინად «ოდესკი რეზინის» რედაქტორმა გლობაჩევმა «ოდეს. ნოვ.»-ის თანამშრომელს სცემა. მასვე თავის თანხლებლებით უცემია „ოდეს. ნოვ."-ს რედაქტორისთვის. ვინ იცის, სადამდის მივიდოდა „ჭეშმარიტ რუსთა" მხეცობა, რომ ხალხი არ ჩარეულიყო საქმეში და რედაქტორი ხელიდან არ გამოეგლიჯათ. საინტერესო ის არის, რომ მოკავშირეებს ტელეფონით უბრძანებიათ «ოდეს. ნოვ.» რედაქციისთვის. ყველაფერი დაწვრილებით დასწერეთ, მოისხენიეთ თუ როგორ გავბედერტეთ თქვენი რედაქტორი, თორემ თქვენც ასეთ საქმეს დაგმართებთო.

**საფრანგეთის წინადადება.** რადგან საფრანგეთში ამ ჟამად აუარებელი რუსი სტუდენტია და დღითი-დღე ამათ რიცხვს კიდევ ემატება, ამიტომ საფრანგეთის მთავრობას რუსეთის მთავრობისთვის წინადადება მიუცია, ხომ არა გჭირდებათ ფრანგი მასწავლებლები, რომ თქვენ მოწაფეებს კარგად შეასწავლონ ფრანგული ენა, რომელიც შემდეგში გამოადგებათო. საერო განათლების მინისტრს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის მიუმართავს, ხომ არ გჭირდებათ ასეთი მასწავლებლებიო. ჯერ არ ვიცით, რა მისწერეს სასწავლებლის უფროსებმა.

**შუამდგომლობა.** ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს საკანონმდებლო დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რვა კლასიან საკომერციო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი უნივერსიტეტში მიღების დროს იმ უფლებით სარგებლობდნენ, როგორითაც რეალურ სასწავლებლის მოწაფენი სარგებლობენო.

**ეპისკოპ. მაკარი და თამბაქო.** იაკუტის ეპისკოპოს მაკარის თურმე ძალიან ეჯავრება თამბაქოს სუნი და ამიტომ იაკუტის კონსისტორიაში, სადაც იგი ხშირად დაიარება, აუკრძალავს თამბაქოს წევა. ეპისკოპოს მის შესახებ შემდეგი განცხადება გაუკრავს: „იაკუტის კონსისტორიაში, მგონი თამბაქოს წევა ძალიან არის გავრცელებული, რადგან ყველა ქაღალდს, რომელიც ხელის მოსაწერად მოაქვთ ჩემთან, თამბაქოს სუნი ასდით. რადგან მე პატარაობიდანვე მძულდა ეს ნეხვი, ამიტომ..." ზრდილობაც და ისიც ეპისკოპოსისაგან ასეთი უნდა!


# განცხადებანი

ბავშვებისათვის საალდგომო საჩუქარი

გამოვიდა ორი სახალხო ზღაპარი ფერადი სურათებით

1

**„მამაცი მგზავრები"**

ფასი 25 კაპ.

2

**„მშიერი მგელი"**

ფასი 10 კაპ.

იყიდება წერა-კითხვისა და ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიაში. მთავარი საწყობი: Тифлисъ, книжный магазин „Общества Грамотности". ვინც ათობით გამოიწერავს საწყობიდან, დაეთმობა 20%, გზის ხარჯი მყიდველისაა. (10—154—8)

პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა

**ნუ რეუნით ქალებს!..**

ანუ

„კაცობრიობის მტერნი"

შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტიქტი და გონება.—მრუშის პსიხოლოგია.—გონს მოდით.

ფასი 65 კაპ.

„დროების" ხელის მომწერთ დაეთმობათ 50 კაპ. შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ტფილისის ქართველ ქალთა წრეს. დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადრესით: Петербургъ, Сергіевская, 51, ф. Каминской.

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე პებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა (წლ.—ნ.—36)

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—58)

**სამკურნალო,** გარეჯან მოსიარულეთათვის ექიმი ა. ი. გრიგორიანისა. [illegible] (.... პირდაპირ.)

**ს. მ. ახპისოვი**—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ს. ზ მირზოევისა**—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ი. ა. ფრიდონოვი**—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.

**ს. ა. თარხანოვი**—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.

**ა. ი. შახ-აზიზოვი**—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.

**ნ. ბ. ნარიმანოვი**—შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.

**ე. მ. ზვიაგინა**—კბილ. 9—11 ს.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.

სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი.** (100—ხალ.—26)



კავკასიის ამხ—ბა სათესლე მეურნეობისა

**პვეეს და ამხ-ბა**

ტფილისი, მიხეილის პრ., 55., ჰყიდ უმაღლეს თვისების საბოსტნე, საყვავ და სასოფლო-სამეურნეო თესლეულობ თესლი იუნჯისა, საუკეთესო თვისებ 1 ფუთი—17 მანეთად, 1 გირვანქა—50

**პრეის-კურანტი უფასოდ**

(10—ხალ.—8

**I-ლი კავკასიის საფუტკრე ადოლფ დიუმასი.**



ტფილისი, მიხეილის პროსპ., N 140.

სკები და მისი ნაწილები საკუთარ ელექტრო-ტექნიკურ სახელოსნოში დამზადებული. ხელოვნური ფიჭი. მეფუტკრეობის იარაღი. თაფლის გამოსაწური, სანთლის გადამდნობი, შესაკრნები, ვალცები და სხვა. დარიგება ხელოვნურად დედა-ფუტკრების გასაშენებლად.

საგანგებო მომშენებელი კავკასიის წმინდა ჯილაგის დედა-ფუტკრებისა.

თაფლი საკუთარ საფუტკრისა. წიგნები და სახელ მძღვანელოები. სურათებიანი პრეისკურანტი უფასოდ. (10—ნას.—6)

**I მანეთიდან** ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილად **I მანეთიდან**

**ხელის მაშინები 25 მანეთიდან**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის პირდაპირ; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (15—გაჟ.—5)

საქციონერო საზოგადოება

**„გრამოფონი"**





ტფილისის განყოფილება, გოლოვინის პროსპექტი, 9,

ნებას აძლევს თავის თავს, მოაგონოს როგორც პატივცემულ მუშტარს, ისე ყველა იმას, ვისაც არა გაუგონია რა მე-XX საუკუნის ახალ გამოგონებაზე—ხმის ამომცემზე, რომ ყველა ოჯახისთვის კმაყოფილებისა და სიხარულის მომგვრელი არის.

**გრამოფონი**

საზოგადოების ფირფიტებით, რომლებზედაც დახატულია საქარხნო ნიშანი

**„მწერავი ანგელოზი".**

მომავალ დღესასწაულებისა გამო ვურჩევთ ყველას შეიძინოს „გ რ ა მ ო ფ ო ნ ი", როგორც საუკეთესო თანამედროვე საჩუქარი.

აპარატები არის 30 მანეთიდან დაწყებული 100-მდე და უფრო ძვირიც; ფირფიტები 75 კაპ.-დან 3 მ.ნ. და უფრო ძვირი.

TRADE MARK "GRAMMOPHON"

ვურჩევთ ყველას შეიძინოს მთელი კომპლექტები ფირფიტებისა, რომლებშიაც სავსებით არის ასრულებული მთელი ოპერები და ოპერეტები, აგრეთვე ცეკვა, რაიცა შეძლებას აძლევს ყველას თავის ოჯახში მოისმინოს ოპერა ან ოპერეტა ან და საორკესტრო მუსიკაზე გამართოს საცეკვაო საღამო.

მოგვყავს აქვე ის ნაწარმოებნი, რომლებისაც სრული კომპლექტებია:

| საოპერეტო | საოპერო: | საცეკვაო: |
| --- | --- | --- |
| „ღ ა მ უ რ ა" | „ფ ა უ ს ტ ი" | „შაკონ" |
| „მხიარული ქვრივი" | „რუსლან და ლიუდმილა" | „ჩ ი ნ უ რ ი" |
| „პრინცესსა დოლარებისა" | „პიკოვაია დამა" | „ლეკური" |
| | „ევგენი ონეგინი" | ცეკვა „ზეც" და სხვა. |

არის მრავალი ფირფიტა ადგილობრივ სიმღერებისა, ცალ-მხრივი და ორ-მხრივი.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საქარხნო ნიშანს მხოლოდ ეს ნიშანია იმის მაჩვენებელი, რომ ფირფიტა კარგია და არა ყალბი.

**პრეისკურანტები,** კატალოგები, სიები, აგრეთვე ეველა დაბეჭდილი მასალა რიგდება და იგზავნება უფასოდ.

მსურველს საზოგადოების სადგომში უფასოდ შეუძლიან მოისმინოს ფირფიტის დაკვრა.

**მაღაზიასთან სახელოსნო. შეკეთება სულ იაფად შეიძლება.** (10—ხალ.—9)

**გაფრთხილება**

რადგან დღემდე ჩვენი ეტიკეტების მსგავს ყალბ ეტიკეტებს ამზადებენ თავიანთ დაბალ საქონლის გასავრცელებლად. კოლოფებზე ხმარობენ იმავე ფერსა და მარკას და ამით აპათილებენ ჩვენ მაღალ **ხარისხოვან პაპიროსებს:**

**„სიმპატიას" 10 ცალი 5 კაპ. № 8 10 ცალი 5 კაპ.**

აგრეთვე ჩვენი ფირმის სხვა პაპიროსებს, ამიტომ ვთხოვთ ჩვენ მუშტარს, ყურადღება მიაქციოს **საქარხნო** მარკას და გვარს **Н. И. Бозарджянцъ съ С-ми.**

(10—ნასყ.—2)

**პროვოდნიკის**

1897 წ. 1888

1908 წ.

**ამხანაგობა რიგაში**

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდად და ცალობით:**

რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,

რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,

რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,

იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,

რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,

რეზინის სათამაშოები და ბურთები,

რეზინის საგალანტერეინო საქონელი,

საშლელი რეზინი „სპილოს" მარკისას

**ცალობით ვაჭრობა დიდა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი"-სა**